[illegible] ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 დეკემბერი **ორშაბათი** 2012 **№304 (13 910)** ფასი 80 თეთრი

# შენგელიამ განვითარების ლიგაში [illegible] 22 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა



## თორნიკეს ადგილი NBA-შია, თქვა ბრუკლინის მწვრთნელმა და უმალ გუნდში დააბრუნა

**წუხელ: პირველი პასი NBA-ში**
**ბრუკლინი-ფილადელფია 95:92**
*თოკო: 3 წუთი, 1 პასი, 1 მოხსნა*

# ეპიცენტრი იმერეთში

## კაჭარავას დინამოსთვის ხეზე ასვლა არ უსწავლებია



| | თ | ქ |
|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 22 | 52 |
| 2. დილა | 22 | 49 |
| 3. ტორპედო | 22 | 45 |
| 4. ჩიხურა | 22 | 43 |
| 5. ზესტაფონი | 22 | 37 |
| 6. ზუგდიდი | 22 | 35 |

**პირველი ეტაპი დასრულდა, ექვსეული ცნობილია**

მერანი-დილა 2:3

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ჟოზე კერპების მსხვრევას შეუდგა

## მოურინიო ნადანი!



იშვიათი კადრი: იკერ კასილიასი (მარცხნივ) სათადარიგოთა სკამზე

# ჩელსის საშობაო საჩუქარი: 8 გოლი რაფა ბენიტესს

ევროთამაშები 5-11

# გაცვლის შერმადინი ყვითელ მაისურას წითელ ფრთებში?



გუშინ ღამით გამოცემა „ევრობასკეტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად **გიორგი შერმადინის** გადაბირება რუსულ „კრასნიე კრილიას" სურს. ევროჩელენჯზე მოასპარეზე კლუბის მესვეურები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას შერმადინის წარმომადგენლებთან.

გიორგის შემცვლელად ისრაელის „მაქაბიში" ხორვატი ცენტრი **დარკო პლანინიჩი** უკვე აიყვანეს.

გუშინვე თელ-ავივის „მაქაბიმ" აშდოდურ სეხნიასთან 104:72 გაიმარჯვა. შერმადინს არ უთამაშია.

■ ■ ■

იტალიის ჩემპიონატში **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ" სტუმრად „მონტეგრანაროს" სძლია - 100:79. მანუმ 19 ქულა, 7 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

**ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკი" ბოლონიას ეწვია და „ვირტუსი" 77:66 დაამარცხა. ქართველი თავდამსხმელი 13 წუთში 5 ქულასა და 3 მოხსნას გამორჩა.

ვაჟა სიმონიშვილი

# გიორგი ჭანტურია: ალანიაში მივდივარ!



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და არნემის „ვიტესის" თავდამსხმელი გიორგი ჭანტურია იჯარის წესით ვლადიკავკაზის „ალანიაში" ითამაშებს.

როგორც ჰოლანდიურ პრესაში იწერება, რუსეთის პრემიერლიგაში მოასპარეზე ვლადიკავკაზელებმა მერაბ ჟორდანიას კლუბთან ქართველის ხუთი თვით გადაბირების თაობაზე მოლაპარაკება წარმატებით უკვე დაასრულეს.

ეს ინფორმაცია თავად ჭანტურიამაც დაადასტურა.

„რუსეთში მივემგზავრები, ვლადიკავკაზის „ალანიაში". ხუთი თვის შემდეგ დავბრუნდები", - უთხრა 19 წლის ქართველმა omroepgelderland.nl-ს.

ჭანტურიამ ჰოლანდიის ერედივიზიეს 2011/2012 წლების სეზონში 28 შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში კი მოედანზე მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა.

sportall.ge

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XXII ტური

23.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
2000 მაყურებელი

ზესტაფონი **2**
დინამო (თბ) **1**

1:0 ბაბუნაშვილი (19), 1:1 ალვარო (38), 2:1 ლონღაძე (75.ბენაშვილის პასით)

| ზესტაფონი 4-5-1 | დინამო (თბ) 4-2-2-2 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ლორია |
| თორ. გრიგალაშვილი | სვითიძე |
| კაჭკაჭიშვილი | გ. კვარაცხელია |
| თედ. გრიგალაშვილი | ხიზანეიშვილი |
| ლონღაძე | რეხვიაშვილი |
| ბენაშვილი | ძარია |
| იელიჩი | ხმალაძე |
| მენთეშაშვილი | ალვარო |
| ბაბუნაშვილი | ჩისკო |
| აფციაური | მერებაშვილი |
| ბოტი გოა | ხოჭოლავა |
| მწვრთნელი: კ. კაჭარავა | მწვრთნელი: დ. უჰრინი |

**ზესტაფონი**

52. მენთეშაშვილი - **გორგიაშვილი**
61. ბოტი გოა - **წინამძღვრიშვილი**
89. იელიჩი - **გაგოშიძე**

*სათადარიგოები: მეშველიანი, ელიავა, სამუშია, ჭანტურიშვილი*

**დინამო (თბ)**

29. ხიზანეიშვილი - **გველესიანი**
90. მერებაშვილი - **გლიშიჩი**
90. ხოჭოლავა - **კოტო**

*სათადარიგოები: ზარქუა, ტვილდიანი, კვეკვესკირი, პარუნაშვილი*

გაფრთხილება: ბენაშვილი (26), ხმალაძე (45), იელიჩი (74), ლონღაძე (75)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

# ზესტაფონმა დინამოს წაგება გაახსენა



ფოტო „დინამოს" ოფიციალური „ფეისბუქის" გვერდიდან

„ზესტაფონისა" და „დინამოს" დაპირისპირებები ბოლო წლებში ქართული ფეხბურთის მშვენებად ითვლებოდა. მართალია, დღეს-დღეობით ეს გუნდები სატურნირო ცხრილში ერთმანეთთან საკმაოდ არიან დაცილებული, თუმცა მოქმედი ჩემპიონისა და გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის დუელი ქართული ფეხბურთის მოყვარულებში კვლავაც დიდ ინტერესს იწვევს. გუშინდელ შეხვედრას დამატებით ინტრიგას მწვრთნელის ფაქტორი სძენდა. მოგეხსენებათ, ახლახან „ზესტაფონის" მწვრთნელ-კონსულტანტად **კახა კაჭარავა** დაინიშნა, რომელიც „დინამოს" წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა. კაჭარავას ხელში ზემოიმერლებმა მანამდე ორი შეხვედრა მოიგეს და ლიდერებთან მატჩსაც შესანიშნავ განწყობაზე ხვდებოდნენ. გუშინდელი მატჩი მიმდინარე ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. ემოციებით დატვირთულ და სანახაობრივ შეხვედრაში ზესტაფონელებმა კარგა ხანს დაუმარცხებელ „დინამოს" მნიშვნელოვანი 3 ქულა აართვეს და ზამთრის არდადეგებზე კარგ ხასიათზე გაემგზავრნენ.

ორივე გუნდის თავკაცმა შემადგენლობაში მცირეოდენი კორექტივები შეიტანა. მასპინძლებს **პატრიკ მილხრაუმი** და **მამუკა კობახიძე** აკლდნენ, რომელთა არყოფნაშიც ძირითადში **თორნიკე გრიგალაშვილი** და **იგორ იელიჩი** გამოჩნდნენ. პოზიციები ჰქონდათ შეცვლილი **თორნიკე აფციაურსა და თეიმურაზ ლონღაძეს**, „დინამოსთან" მატჩში ორივე მარცხენა ფლანგზე მოქმედებდა. დინამოელთა მთავარი დანაკლისი ექსზესტაფონელი **ჯაბა დვალი** გახლდათ, რომელიც შესანიშნავ ფორმაში იმყოფება და „დინამოსთვის" მნიშვნელოვანი ძალაა, მაგრამ კლუბებს შორის შეთანხმების მიხედვით, მას იანვრამდე არ აქვს „ზესტაფონის" წინააღმდეგ თამაშის უფლება. მის ნაცვლად ზესტაფონელთა წინააღმდეგ **დავით ხოჭოლავამ** ითამაშა.

შეხვედრამ მოლოდინი სავსებით გაამართლა. მოედანზე საინტერესო, დაძაბული და სანახაობრივი ფეხბურთი გაჩაღდა. თამაში ორივე გუნდმა საკმაოდ აქტიურად დაიწყო. **ჩისკოს** სახიფათო საჯარიმო დარტყმას, მასპინძლებმა **შოთა ბაბუნაშვილის** შეტევით უპასუხეს. თანდათან მასპინძლების უპირატესობა გამოიკვეთა და მალე ბაბუნაშვილმა პატარა შედევრიც „გამოაცხო". შოთამ **ალექსი ბენაშვილისგან** მიიღო გადაცემა, მეკარესთან პირისპირ გასულმა, კიპერი კი მოატყუა, მაგრამ კარში დარტყმა დააგვიანა და გულშემატკივრებიც ანერვიულდნენ; თუმცა, ბაბუნაშვილი არ დაბნეულა, ფინტების კასკადი გააგრძელა, **ოთარ ხიზანეიშვილი** და **გიორგი ლორია** კიდევ ერთხელ გააცურა და შესანიშნავი გოლიც გაიტანა. ამ ეპიზოდს „დინამოს" ფანების განრისხება მოჰყვა, აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, სადაც ისინი იყვნენ განთავსებული, ვითარება დაიძაბა, თბილისელ და ზესტაფონელ ფანებს შორის დაპირისპირება მოხდა, საქმეში პოლიცია ჩაერია და აგრესიულ გულშემატკივრებს სტადიონის ტერიტორია დაატოვებინა. გოლის შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა გაგრძელდა, თანაგუნდელებმა **ბოტი გოა** ზედიზედ სამჯერ გაიყვანეს ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ კოტდივუარელმა ლეგიონერმა მიზანი ვერა და ვერ გაისწორა. ზესტაფონელები ბურთს აკონტროლებდნენ, მაგრამ თბილისელები, როცა შანსი მიეცემოდათ, ძალიან სახიფათოდ ასრულებდნენ „სტანდარტულებს". ოთარ ხიზანეიშვილის დაბალი ტრაექტორიით დარტყმული საჯარიმო **როინ კვასხვაძემ** კუთხურზე მოიგერია. მოგვიანებით **ალვარომ** საჯარიმოს ხაზიდან „სტანდარტული" ოსტატურად შეასრულა, კვასხვაძემ ბურთს ხელი კი წაჰკრა, მაგრამ საკუთარი გუნდი გოლისგან ველარ იხსნა. ტაიმის ბოლომდე გუნდებმა თითო-თითო მომენტი გაცვალეს. ჯერ ზესტაფონელ ბოტი გოას ჰქონდა გოლის გატანის რეალური შანსი, მაგრამ კვლავ უხეიროდ გაისარჯა. თბილისელთაგან **გველესიანმა** იაქტიურა, თუმცა ჩისკოს კუთხურის შემდეგ მას კვასხვაძემ არ მისცა გატანის საშუალება.

მეორე ტაიმის დებიუტში გოტი ბოას აქტიურობის შემდეგ თემურ ლონღაძეს შეეძლო „ზესტაფონის" დაწინაურება, მას ხელს არავინ უშლიდა, თუმცა ხელსაყრელი პოზიციიდან პირდაპირ ლორიას დაუმიზნა. ამის შემდეგ უპირატესობა თბილისელთა ხელში გადავიდა, დინამოელები ბურთს აკონტროლებდნენ და მწვავედაც უტევდნენ, განსაკუთრებით სახიფათო ჩისკოს საჯარიმო დარტყმა იყო, რომელიც კვასხვაძემ აკრობატულ ნახტომში მოიგერია. მასპინძლები მალევე გამოერკვნენ და ზედიზედ სამი სახიფათო შეტევა განახორციელეს. ბენაშვილის ფლანგურ ჩაწოდების შემდეგ ბურთს კარის წინ მარტოდ დარჩენილი **რატი წინამძღვრიშვილი** ვერ შეწვდა. შემდეგ იელიჩის ძლიერი დარტყმისას გადარჩნენ დინამოელები. ზესტაფონელებმა მესამე ცდაზე მაინც იხეირეს: ბენაშვილმა ბურთზე ბოლომდე იბრძოლა და მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ყველას ლონღაძემ დაასწრო და ვარდნაში მასპინძლები დააწინაურა. **დუშან უჰრინის** შეგირდებმა მარცხის საფრთხე იგრძნეს და შეტევები გაამწვავეს, **გიორგი რიხვიაშვილის** დარტყმას წინ მცველი გადხელობა, ჩისკოს „მზაკვრული გასროლა" კი კვასხვაძემ მოიგერია. სხვა რეალური საგოლე შანსი დინამოელებს არ მისცემიათ. ეგ კი არა, ზესტაფონელებს ვა-ბანკზე წასული სტუმრების დასჯა მართებდათ, მაგრამ იელიჩმა და წინამძღვრიშვილმა თავიანთი შანსები ვერ გამოიყენეს.

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჰრინი( დინამო):** „ძალიან კარგი მატჩი იყო. აქტიურად დავიწყეთ და ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ შეცდომები დავუშვით და დავმარცხდით. წაგების მიუხედავად, მაინც ბედნიერი ვარ, პირველი ადგილი შევინარჩუნეთ და ზამთრის ჩემპიონები გავხდით."

**კახა კაჭარავა(ზესტაფონი):** „რთული მატჩი გამოვიდა. „დინამო" ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია. დღესაც შესანიშნავად ითამაშეს, მაგრამ ფეხბურთი გამართლებაა და ამ შეხვედრაში ბედმა ჩვენ გაგვიღიმა. მომენტები ორივე მხარეს მრავლად იყო, მატჩი ისეთი სცენარით მიმდინარეობდა, რომ ორივე გუნდს თანაბრად ჰქონდა წარმატების შანსი."

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 17 |
| დვალი (დინამო თბ) | 16 |
| ს. ლომია (მერანი) | 12 |
| ალვარო (დინამო) | 11 |
| ნ. საბანაძე (ტორპედო) | 10 |

საავარაუდო ტრანსფერები

## რაზე ლაპარაკობენ კულუარებში: საბანაძე, სალუქვაძე და ხუბუტია დინამოში?



ლაშა სალუქვაძე

დასასრულს მიუახლოვდა ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი. საფეხბურთო კულუარებში რამდენიმე საინტერესო ტრანსფერზე ალაპარაკდნენ.

ამტკიცებენ, რომ ქუთაისის "ტორპედოს" ფეხბურთელის, **ნიკა საბანაძის** თბილისის „დინამოში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია. მიმდინარე სეზონში 21 წლის თავდამსხმელმა, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრების წევრია, ქუთაისის „ტორპედოში" ჩატარებულ 20 მატჩში 10 გოლი გაიტანა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა უკანა ხაზის გაძლიერებით არანაკლებ არის დაინტერესებული, ვიდრე თავდასხმელის მოძიებით. ჯერ არავინ იცის, რა ბედი ელის გორის "დილას", რადგან გუნდის მეპატრონისა და დაფინანსების წყაროებზე მოლაპარაკება მიმდინარეობს და ამ კითხვებზე ჯერ კონკრეტული პასუხები უცნობია. თუმცა, ამტკიცებენ, რომ „დილას" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გუნდის დატოვებას აპირებს. მათ შორის ასახელებენ **ლაშა სალუქვაძეს** და ამტკიცებენ, რომ შესაძლოა, 31 წლის გამოცდილი მცველი "დინამოს" კიდევ ერთ პოტენციური ახალწვეული გახდეს. შეგახსენებთ, რომ ლაშა თბილისურ კლუბში 2004-2005 წლებში თამაშობდა. გორის „დილას" კაპიტანმა ეროვნულ ნაკრებში 2004 წლიდან 30 შეხვედრაში 1 გოლი გაიატანა.

არაა გამორიცხული, "დინამოს" ფორმა მოირგოს საქართველოს ნაკრების და რუმინული "გაზ-მეთანის" უკანახაზელმა **აკაკი ხუბუტიამ.** 26 წლის მცველმა ეროვნული ნაკრების მაისურით რვა მატჩი ჩაატარა, „გაზ–მეთანში" 61 მატჩში ორი გოლი გაიტანა. 2011–2012 წლებში კი თურქულ „სამსუნში" იჯარით ითამაშა და 19 თამაშში 1 ბურთი მიითვალა.

ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ "დინამოს" ხელმძღვანელობა პირველი ლიგის "სასკოს" შედეგიანი თავდამსხმელით, **გიორგი ქვილითაიათიც** დაინტერესდა (22 გოლი 16 მატჩში), მაგრამ ჯერ მოლაპარაკება არ დასრულებულა.

**მერაბ მამულაშვილი**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 17 | 14 |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

## ამონარიდი რეგლამენტიდან

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა

საქართველოს ჩემპიონატი> XXII ტური

# უემოციო სპარინგი

23.12. რუსთავი. ფოლადი. 200 მაყურებელი

მეტალურგი 5

ზუგდიდი 1

1:0 გენაძე (8, ტატანაშვილის პასით), 2:0 ტატანაშვილი (38, გენაძის პასით), 3:0 ტატანაშვილი (47, მიქაბერიძის პასით), 4:0 დობროვოლსკი (63), 5:0 ქავთარაძე (65, გენაძის პასით), 5:1 ლაშქარავა (84)

| მეტალურგი 4-2-3-1 | ზუგდიდი 4-2-3-1 |
|---|---|
| ბათიაშვილი | მაქაცარია |
| ჯაფარიძე | ა. ქომეთიანი |
| მახვილაძე | კანკია |
| ინწკირველი | გ. ქვარცხავა |
| სუხიაშვილი | ბერიშვილი |
| რაზმაძე | ზ. ქვარცხავა |
| დობროვოლსკი | ლ. ქანთარია |
| გ. მიქაბერიძე | ფარჯიკია |
| ი. მაისურაძე | ხუბუა |
| გენაძე | ლაშქარავა |
| ტატანაშვილი | ჩანგელია |
| მწვრთნელი: გ. ყიფიანი | მწვრთნელი: ე. ქომეთიანი |

**მეტალურგი**

21. რაზმაძე — **ქავთარაძე**
65. ინწკირველი — **გავაშელიშვილი**
72. გენაძე — **ხაბელაშვილი**

*სათადარიგოები: ბედიაშვილი, განუგრავა, თექთურმანიძე, კაკუშაძე*

**ზუგდიდი**

46. ბერიშვილი — **ლ. კობერიძე**
63. ზ. ქვარცხავა — **პატარაია**
70. ჩანგელია — **ნ. ქირია**

*სათადარიგოები: შანავა, ბულია, დ. ქირია, ი. ქირია*

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

საკონტროლო მატჩებსა თუ რომელიმე გუნდის ვარჯიშებზე უფრო მეტი ემოცია არის-ხოლმე, ვიდრე გუშინდელ შეხვედრაში ვნახეთ; თანაც, ანგარიში სრულად არ ასახავს მოედანზე არსებულ ვითარებას — მასპინძლებს რომ მოენდომებინათ, ორ ამდენს კიდევ გაიტანდნენ, მაგრამ ოთხბურთიანი სხვაობით „დაკმაყოფილდნენ". რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, როგორ მორჩებოდა მატჩი, სტუმრებს ოპტიმალური შემადგენლობით რომ ეასპარეზათ: „მეტალურგის" წინააღმდეგ ხომ გუშინ „ზუგდიდის" დუბლშემადგენლობის ფეხბურთელები გამოვიდნენ! არახალი ამბავია, რომ „ზუგდიდის" ძირითადი შემადგენლობის თითქმის 100-მა პროცენტმა ფინანსური პრობლემის გამო პირველი ეტაპის ბოლო ტურში ასპარეზობაზე უარი თქვა. ჰოდა, მასპინძლებს რომ 19-20 წლის ბიჭებით დაკომპლექტებული მეტოქის ძლევა არ გაუჭირდებოდა, ყველასათვის ნათელი იყო. ჰო, მართლაც ძნელია ისეთი მატჩის ცქერა, როცა ყველაფერი თამაშის დაწყებამდეა გარკვეულ-გადაწყვეტილი და, ალბათ, ამიტომაც იყო, მასპინძელთა ფეხბურთელები გოლ(ებ)ს ფაქტობრივად რომ არც ზეიმობდნენ. თუმცა, ამ მართლაც უემოციო სპარინგს დამსგავსებულ მატჩში ძნელი იყო „მეტალურგის" მწვრთნელ-ფეხბურთელთათვის მაქსიმალური მოტივაცია მოგეთხოვა. ბოლოს და ბოლოს, ეს შეხვედრა როგორი ანგარიშითაც არ უნდა დასრულებულიყო, „მეტალურგისთვის" არაფერი იცვლებოდა: ბოლო წლების ერთ-ერთი წარმატებული ქართული კლუბი ჩემპიონატის მეორე ეტაპს ხომ ქვედა ექვსეულში გაატარებს.

სტუმრების შემადგენლობაში მეტ-ნაკლებად „ნაცნობი" რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობდა (**არჩილ მაქაცარია, გიორგი და ზურაბ ქვარცხავები, აკაკი ფარჯიკია, მურთაზ ჩანგელია, გიორგი ხუბუა, რომეო კანკია**), აი, დანარჩენებმა კი, თუ არ ვცდებით, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩი ჩაატარეს! მასპინძლები კი, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით თამაშობდნენ (თუ არ ჩავთვლით **ირაკლი სიხარულიძის** არყოფნას) და „ფოლადის" სტადიონზე შეკრებილ მცირერიცხოვან მაყურებელს 2012 წლის ბოლო მატჩში შედეგიანი თამაშით დაემშვიდობნენ. თითოეული გოლის აღწერას აზრი არც აქვს. მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ პირველი სამი გოლი ერთი და იმავე ფეხბურთელების აქტიურობას მოჰყვა; **რევაზ გენაძემ** ანგარიში **დიმიტრი ტატანაშვილის** ზუსტი პასის მერე გახსნა, შემდეგ გენაძემ გაუწია ასისტენტობა ტატანაშვილს, თანაც ორივე ეს შეტევა **გიორგი მიქაბერიძემ** წამოიწყო, რომლის ზუსტ პასსაც მეორე ტაიმის დასაწყისში ტატანაშვილის „დუბლი" მოჰყვა. ჰო, არც ის დაგვავიწყდეს, თუ როგორი ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს პირველ ტაიმში იმავე ტატანაშვილმა თუ **ალექსანდრე ინწკირველმა**, ერთ ეპიზოდში კი სტუმრები ავტოგოლს სასწაულებრივად გადაურჩნენ. რაც შეეხება შეტევას, ჭაბუკ ზუგდიდელებს მეტოქის ნახევარზე გადასვლა უჭირდათ. თუმცა ერთ ეპიზოდში გოლის გატანის შანსი მიეცათ, მაგრამ **აკაკი ფარჯიკიამ** ბურთი, ფაქტობრივად, ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა. მეორე ტაიმში თამაშის სცენარი არ შეცვლილა, უბრალოდ, მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ერთი-მეორეზე ეფექტური გოლები ვიხილეთ: რევაზ გენაძის პასით **გიორგი ქავთარაძემ** თავით ლამაზად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში; თუმცა მანამდე **დენის დობროვოლსკის** შორეული „დაქუხება" იყო: სტუმართა მეკარემ მხოლოდ თვალი გაადევნა, თუ როგორ მიფრინავდა ბურთი თავის კარის „ცხრიანისკენ". ყველაფერი ამით არ დამთავრებულა: **გიორგი ლაშქარავამ**, დაახლოებით 30 მეტრიდან დობროვოლსკიზე არანაკლები სილამაზის გოლი გაიტანა!

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენეთ, მატჩს ინტრიგა არ ჰქონდაო; ასეც იყო, ოღონდ ინტრიგა შეხვედრის მსვლელობისას, უფრო ზუსტად, მიწურულს გაჩნდა: თანაგუნდელები ჰეთ-თრიქის შესასრულებლად მაქსიმალურად ხელს უწყობდნენ დიმიტრი ტატანაშვილს, მაგრამ გამოცდილმა ფორვარდმა ერთ ეპიზოდში ბურთი ძელს გაარტყა, მეორე შემთხვევაში კი **არჩილ მაქაცარიამ** იხსნა თავისი გუნდი.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავიდან

23.12. ფოთი. ფაზისი 500 მაყურებელი

კოლხეთი 1

ვიტ ჯორჯია 1

1:0 კვანტალიანი (63. ბუხაიძის პასით), 1:1 ადამაძე (68)

| კოლხეთი 4-1-3-1-1 | ვიტ ჯორჯია 4-1-3-2 |
|---|---|
| ხარშილაძე | დაუშვილი |
| გ. კილასონია | ხურცილავა |
| ჩადუნელი | ადამაძე |
| ტყეშელაშვილი | გეთიაშვილი |
| ცხვიტარია | კასრაძე |
| გოგონაია | დავლაშელიძე |
| კაკულია | ვასაძე |
| ლორია | ლიბრაძე |
| ქორჩილავა | გურეშიძე |
| ბუხაიძე | ჩიმაკაძე |
| კვანტალიანი | კუხალეიშვილი |
| მწვრთნელი ს. ფილია | მწვრთნელი მ. კოტლაშვილი |

**კოლხეთი**

46. ცხვიტარია - **კრასოვსკი**
55. ბუხაიძე – **მოსიაშვილი**

*სათადარიგოები: ხვიჩია, ჭედია, კახიძე, ხოშტარია, ბარამიძე.*

**ვიტ ჯორჯია**

46. ჩიმაკაძე - **გაბრიჭიძე**
73. კუხალეიშვილი - **გოგიაშვილი**
88. გაბრიჭიძე – **ე. ლოგჯანიძე**

*სათადარიგოები: რეჭია, ტეტუნაშვილი, ჯავაშვილი, კორიფაძე*

გაფრთხილება: გოგონაია, ბუხაიძე, კილასონია

არბიტრი: დ. სანოძე

## კოლხეთმა პირველი ეტაპი მოგების გარეშე დაასრულა

უკვე მეორე შეხვედრაა, რაც ძირითადის მოთამაშეების დათხოვნის შემდეგ ადგილობრივებზე აქცენტგადატანილი „კოლხეთი" ბრძოლისუნარიანობით გვაკვირვებს. წინა ტურში, კოლხებმა ერთ-ერთ ლიდერ „დილასთან" ავტოგოლით წააგეს, ხოლო ამჯერად ვიტელებთან სულაც ფრეს მიაღწიეს.

მეტიც, ფოთელებს მოგებაც შეეძლოთ — 63-ე წუთზე **გიორგი ბუხაიძის** მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ **შალვა კვანტალიანმა** 12-13 მეტრიდან დალაშქრა სტუმართა კარი. მართალია, თბილისელებმა გაქვითვა ხუთიოდ წუთში მოახერხეს, როცა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე გამოსვლისას **მიხეილ ხარშილაძე** შეცდა და **ადამაძემ** ანგარიში გაქვითა, მაგრამ ამის შემდეგ კოლხებს სამი შანსი მიეცათ — სამივეჯერ „ვიტ ჯორჯია" **ნიკა დაუშვილმა** გადაარჩინა: ორჯერ **თორნიკე მოსიაშვილის** თავური გააუვნებელყო, აქედან ერთხელ ურთულესი ბურთის მოგერიება მოუხდა, ხოლო მესამე შემთხვევაში პირისპირ შეყრილ **ბუხაიძეს** არ დანებდა.

რა თქმა უნდა, მოგებას სტუმრებიც ეცადნენ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და წინა ტურის მსგავსად, მეორე აუტსაიდერთანაც დაკარგეს ქულები.

**მათე გურული**

23.12. ქუთაისი. ტორპედო 1 000 მაყურებელი

ტორპედო 4

სიონი 1

1:0 კუხიანიძე (14. პენ.), 2:0 საბანაძე (22), 2:1 ჭანკოტაძე (53), 3:1 ე. გრიგალაშვილი (57), 4:1 ბერიაშვილი (87)

| ტორპედო 4-4-2 | სიონი 4-2-3-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | ბობლიაშვილი |
| გ. გურული | ხუბუა |
| ზ. ჯელიძე | გ. ოქროპირიძე |
| შერგელაშვილი | ქამოკლიძე |
| ტაბატაძე | მ. ოქროპირიძე |
| გიგაური | ჯოჯუა |
| კუხიანიძე | მანწკავა |
| დოლიძე | ნემსაძე |
| ე. გრიგალაშვილი | ჭანკოტაძე |
| ბერიაშვილი | ისიანი |
| საბანაძე | რ. ჯიქია |
| მწვრთნელი გ. გეგუჩაძე | მწვრთნელი ა. ჯელაძე |

**ტორპედო**

35. გიგაური – **ფირცხალავა**
68. კუხიანიძე – **ვ. გოლქვაძე**
71. დოლიძე – **ფანცულაია**

*სათადარიგოები: ქვილითაია, რიგვავა, იოსელიანი, მარკოზაშვილი*

**სიონი**

46. ჯიქია – **ხურციძე**
79. ჯოჯუა – **გორდეზიანი**

სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ტაბიძე, ლაცაბიძე, ვ. უგრეხელიძე

გაფრთხილება: ჭანკოტაძე (20), გურული (41)

არბიტრი: ა. ბასლეპლო (სირია)



ნამატჩევს ბათუმელი გულშემატკივარი კვლავ მსაჯობას აპროტესტებდა
ავტორის ფოტო

23.12. ქობულეთი. ჩელე-არენა 800 მაყურებელი

დინამო (ბთ) 0

ჩიხურა 2

0:1 კირკიტაძე (13. მწყერაშვილის პასით), 0:2 ბაკურაძე (90+2. პენალტით)

| დინამო (ბთ) 4-2-3-1 | ჩიხურა 4-2-3-1 |
|---|---|
| მამინაშვილი | მწყერაშვილი |
| რამიშვილი | ოდიკაძე |
| ხუხია | ბერიანიძე |
| ბაჯელიძე | ლომაშვილი |
| მაკარიანი | ჩიკვაიძე |
| ცანავა | დილმელაშვილი |
| ზ. ლობჟანიძე | ძამსაშვილი |
| ბერიძე | კირკიტაძე |
| მუჯირი | ნ. კვასხვაძე |
| ვ. თევდორაძე | დეკანოიძე |
| სიჭინავა | გ. ჩხეტიანი |
| მწვრთნელი გ. გურული | მწვრთნელი ს. ფრუიძე |

**დინამო (ბთ)**

46. ბერიძე - **დიასამიძე**
64. ცანავა - **ცნოგილაძე**
76. სიჭინავა - **აბუსელიძე**

*სათადარიგოები: ტაკიძე, ვარშანიძე, დ. კაკულია*

**ჩიხურა**

54. კირკიტაძე – **ნ. მაისურაძე**
64. ჩხეტიანი - **ბაკურაძე**
78. ოდიკაძე - ქიმაძე

*სათადარიგო: ბერდელიძე*

გაფრთხილება: მუჯირი (34), კვასხვაძე (87), დეკანოიძე (90), ლობჟანიძე (90), დილმელაშვილი (90), მამინაშვილი (90+2)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

მატჩის პირველივე რეალური ხიფათი საჩხერელებმა გოლად აქციეს — მე-13 წუთზე, საგოლე შეტევა „ჩიხურას" მეკარემ წამოიწყო, რომელსაც საბოლოოდ საგოლე გადაცემა გამოუვიდა: ბურთისთვის ბრძოლაში **დავით კირკიტაძემ** მეტოქეს შეცდომა დააშვებინა (ამ დროს „დინამოს" №13 **არჩილ ბაჯელიძის** დაცემა მსაჯმა წესების დარღვევად არ შეაფასა), თავად სწრაფად გაიჭრა კარისკენ და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **შოთა მამინაშვილს** შანსი არ დაუტოვა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ამ სეზონში „ჩიხურას" მე-13 მოგებისთვის ეს გოლი საკმარისი იყო.

გოლმა ბათუმელები არია და ათწუთიან მონაკვეთში სტუმრებს რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტის შექმნის შანსი მისცეს. მასპინძლები ორჯერ მეკარის საიმედო თამაშმა გადაარჩინა. 28-ე წუთზე კი ერთ ეპიზოდში „დინამო" სამჯერ გადარჩა — ბათუმელ მცველებს თამაშგარეს შექმნისას ვერცხლისწყალივით მოძრავი კირკიტაძე ისევ გაეპარათ მეკარესთან პირისპირ, მას კი ჯერ მამინაშვილმა არ მისცა გატანის საშუალება, მეორედ „ჩიხურას" 7-იანმა ძელს მოარტყა, ხოლო იქიდან გამოვარდნილს უკვე წონასწორობადაკარგულმა დაჰკრა, რომლის დარტყმის ძალა მეკარემ შეანელა, თუმცა საბოლოოდ კარის ხაზიდან **ნიკა ხუხიამ** გამოიტანა ბურთი. იქვე, ერთ წუთში, იმავე კირკიტაძის ჩინებული პასით დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა ნიკა კვასხვაძემ ძელს მოარტყა.

ამ ეპიზოდების შუაში ხიფათი მასპინძლებმაც შექმნეს, მაგრამ **ამირან მუჯირისა** და **თორნიკე ბერიძის** სახიფათო გასროლებიდან ერთი მეკარემ გააუვნებელყო, ხოლო მეორე — კარს გადასცდა; ერთხელაც მოედნის ცენტრში მცველს **დათა სიჭინავამ** აჯობა და მასპინძლებმა მეტოქის კონტრშეტევაზე „დაჭერის" კარგი შანსი გაანიავეს — მუჯირის გადაცემას სიჭინავა მეკარესთან პირისპირ გაჰყავდა, მაგრამ კაპიტანმა პასი დააგვიანა და ფორვარდი უკვე თამაშგარეში იმყოფებოდა; ტაიმის ბოლოსკენ კი იმავე მუჯირმა მცველის შეცდომით კინაღამ ისარგებლა.

მეორე ნახევარიც ხიფათებით დატვირთული აღმოჩნდა. პირველად სიჭინავა დაემუქრა „ჩიხურას" კარს, მაგრამ ბურთი კარის ბადეს ზემოდან დაეცა. იქვე მუჯირის საჯარიმოში ჩაწოდებულს თანაგუნდელებიდან არავინ გამოხმაურებია, თუმცა მეკარეს კი შეუშალეს ხელი, **მწყერაშვილის** იღბლად ბურთი პირდაპირ მისკენ წავიდა და თავადაც საიმედოდ გაისარჯა.

ამის შემდეგ ორი შანსი უკვე **გაგა ჩხეტიანს** მიეცა - პირველად მეკარესთან პირისპირ გასულს მამინაშვილმა ბრძოლაში დაატოვებინა ბურთი, მეორედ კი „დინამოს" მეკარემ მასვე საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დარტყმული არ გაატანინა.

მატჩის გადარჩენის ყველაზე რეალური შანსი კი მასპინძლებს 82-ე წუთზე მიეცათ - **ნიკა დიასამიძის** ჩაწოდებას მცველებისგან თითქმის დაუცველი **ამირან აბუსელიძე** კი გამოეხმაურა, მაგრამ ბურთი კარში როგორც ვერ მოახვედრა, მართლაც გასაკვირია. იქვე მარცხნიდან ჩაწოდებულზე მეკარე ბათუმელ მობურთალს შეეჯახა, თუმცა მასპინძელი არ დაეცა და ამით მსაჯისგან პენალტის დანიშვნის შანსიც დაკარგა.

ამ ეპიზოდამდე ათი წუთით ადრე და შემდეგ კი **ბესიკ დეკანოიძე** აღმოჩნდა მოვლენების ეპიცენტრში — პირველად მისი ძლიერი გასროლა მამინაშვილმა რის ვაი-ვაგლახით მოიგერია, იქვე ბურთი მცველებმა ვერ ამოიტანეს ხეირიანად, მაგრამ ამით სტუმრებმა ვერ ისარგებლეს; 92-ეზე კი დეკანოიძის ჩინებული პასით **ქიმაძე** პირისპირ აღმოჩნდა მამინაშვილთან და ამ უკანასკნელს შეცდომაც დააშვებინა -მეკარემაც „ჩიხურას" მარცხენაფლანგელი ბოლო იმედის ჯარიმით შეაჩერა — პენალტი გოლად **ლევან ბაკურაძემ** აქცია.

ამ ეპიზოდიდან ორი წუთით ადრე მოედანზე გუნდური „გარჩევა" ვიხილეთ — დეკანოიძემ ბურთი სასტვენის შემდეგ გადააგდო, მას ლობჟანიძემ ხელი ჰკრა, ამ ორს შორის შეხლა-შემოხლას მოჰყვა სწორედ ინციდენტი, რომელშიც ჯერ **დავით დილმელაშვილი**, შემდეგ კი ორივე გუნდი ჩაერთო. **არსენ ნონიკაშვილმა** სამივე „მოთავე" მხოლოდ გააფრთხილა, ის კი გადაავიწყდა, რომ დეკანოიძის გაფრთხილებას ბურთის გადაგდებისთვისაც აპირებდა და „ჩიხურას" №51 აშკარად დაინდო, ისევე როგორც უკვე ნახსენებ სულ ბოლო ეპიზოდში მასპინძელთა კარის დარაჯი, რომელსასაც ყვითელი აკმარა.

**მამუკა ქანთარია**
ქობულეთიდან

**P.S** *მატჩის შემდეგ მწვავე. ცრისლიციფლოდ. გინიბის თოლში გუვილის მოიდნილან. პოლიცია ჯომბეზის ლამომზინიბას ლოსმოძლოს. როცა გულშემატკივრებს ერთ-ერთი თერწერთიოლი გამოიკოძავა. რისხვა ნამარხთალოსმლეგილიბის მხრიდან „ორიენ მიმარიოლილი" შეხლა-შემოხლაც მოჰყვა. თუმცა ვითარება იოლად განიმუხა.*

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი> XXII ტური

## ის, რაც ასე ენატრება ქართველ ქომაგს: ბრძოლა, სანახაობა და გოლები!

23.12. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
500 მაყურებელი

მერანი **2**

დილა **3**

1:0 ს .ლომია (7. ფონიავა პასით), 1:1 ახალკაცი (17. ალადაშვილის პასით), 2:1 ს. ლომია (22), 2:2 ახალკაცი (25. ბეჭვაიას პასით), 2:3 მოდებაძე (45+1, პენალტით)

| მერანი 4-4-2 | დილა 4-1-3-2 |
|---|---|
| შეროზია | სკენდერი |
| გეგეჭკორი | შაშიაშვილი |
| იობაშვილი | გ. ონიანი |
| ქარქუზაშვილი | სალუქვაძე |
| მელიავა | კვირკველია |
| დიდავა | ბეჭვაია |
| ბუკია | რამოსი |
| ნ. ნოზაძე | ალადაშვილი |
| ფონიავა | კლიმიაშვილი |
| ს. ლომია | მოდებაძე |
| კუჭუხიძე | ახალკაცი |
| მწვრთნელი: მ. ჟვანია | მწვრთნელი: გ. დარასელია |

**მერანი**

57.ნ.ნოზაძე - **ტორონჯაძე**
65. გეგეჭკორი - **მჭედლიშვილი**
*სათადარიგოები:* ბერია, ამბროლაძე, კიკალიშვილი, გაბისონია, გელაჭეიშვილი

**დილა**

55. შაშიაშვილი -**კახელიშვილი**
75. მოდებაძე - **გორელიშვილი**
83. ახალკაცი - **ჟუნიორი**
*სათადარიგოები:* შეყრილაძე, აბურჯანია, თომაშვილი, გვალია
გაფრთხილება: მელიავა (45+1), კლიმიაშვილი (53), შეროზია (76), ალადაშვილი (87)
გაძევება: ქარქუზაშვილი (76), კლიმიაშვილი (90+2)
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

წლის ბოლო მატჩში „მერანმა" "დილას" სამტრედიაში უმასპინძლა. ამის მიზეზი „ლელოს" მკითხველთათვის კარგადაა ცნობილი: მარტვილის მოედნის საფარი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია. სხვათა შორის, წინა ტურის საშინაო შეხვედრა „დილამ' „კოლხეთთან" სწორედ „ეროსი მანჯგალაძეზე" გამართა. ასე რომ, აღნიშნული არენა უცხო არც მათთვის უნდა ყოფილიყო. თამაშს ორივე გუნდისთვის, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „მერანი" უმაღლეს ლიგაში დარჩენისა და შესაბამისად, ქულათა მარაგის შევსებისათვის იბრძვის, უფრო ამბიციური გეგმები აქვთ შიდა ქართლელებს: მათ ქვეყნის ჩემპიონობა სწადიათ.

მატჩმა მოლოდინი სავსებით გაამართლა: დაძაბულობასთან ერთად იყო ლამაზი ეპიზოდები, გუნდებმა თამაში 10-10 ფეხბურთელით დაასრულეს, დუბლი გაიფორმეს **რომან ახალკაცმა** და **საბა ლომიამ**.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას. საწყის წუთებში ნომინალურმა მასპინძლებმა აქტიურად შეუტიეს და შედეგიც მალევე მოიმკეს. მცველების შეცდომით ჩინებულად ისარგებლა საბა ლომიამ, რომელიც მეკარესთან მარტო დარჩა და ეფექტური გოლით დააწინაურა თავისიანები. ამას სამიოდე წუთში **პაპუნა ფონიავას** სახიფათო დარტყმა მოჰყვა. მოვლენების ასეთ განვითარებას სტუმრები არ ელოდნენ, თავდაპირველად მათ რიგებში დაბნეულობამ იჩინა თავი, თუმცა შემდგომ, მდგომარეობის გამოსწორება მოახერხეს და თამაშიც გათანაბრდა. **ირაკლი მოდებაძის** სუსტად დარტყმული ბურთი შემთხვევით **ირაკლი კლიმიაშვილს** მიუვიდა, რომლის გასროლილი ძელს მოხვდა. მე-17 წუთზე "დილას" ფეხბურთელებმა მაინც მოახერხეს წინასწორობის აღდგენა: მარჯვენა ფლანგიდან **კახა ალადაშვილის** მიერ ჩამოწოდებულ ბურთს რომან ახალკაცმა შეაგება თავი და 1:1. ამის შემდეგ, თამაში კიდევ უფრო გაიხსნა. 22-ე წუთზე მერანელები კიდევ ერთხელ და როგორც გაირკვა, უკანასკნელად დაწინაურდნენ: **მარინ სკენდერის** შეცდომით კარგად ისარგებლა იმავე ლომიამ, რომელმაც ბურთი მეტოქის კარში აუღელვებლად მოათავსა. აქვე ვთქვათ ისიც, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელისთვის ეს მიმდინარე ჩემპიონატში გატანილი მე-13 ბურთია. ის ამჟამად, ბომბარდირთა დავაში, მხოლოდ დინამოელებს, **ჩისკოსა** და **ჯაბა დვალს** ჩამორჩება. მარტვილელთა სიხარულს ცივი შხაპი უმალვე გადაასხვა რომან ახალკაცმა, მან ამჯერად **გიგა ბეჭვაიას** გრძელი გადაცემა აქცია გოლად. ანგარიშის კორექტირების შანსი ჰქონდათ: ირაკლი მოდებაძეს, **გიორგი შაშიაშვილსა და გიორგი ონიანს.** უფრო რეალური მომენტი **ლაშა კუჭუხიძის** გადაცემის შემდეგ ექსგორელს **გივი ქარქუზაშვილს** მიეცა, რომლის თავური მცირედით არაზუსტი გამოდგა. ზედ შესვენებამდე, მეხუთე ბურთიც ვიხილეთ: საკამათო ეპიზოდში არბიტრმა **დავით ხარიტონაშვილმა** წესების დარღვევა დააფიქსირა **კიჭი მელიავაზე** (მისი თქმით, ბურთი მცველს ხელზე მოხვდა), რომელიც ყვითელი ბარათით, ხოლო გუნდი კი თერთმეტმეტრიანით დასაჯა. პენალტი გოლად ირაკლი მოდებაძემ აქცია.

მეორე ტაიმი პირველზე არანაკლებ საინტერესო გამოდგა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მეტი გოლი ველარ ვნახეთ. ამის მიუხედავად, მომენტები ორივე გუნდის კართან მრავლად შეიქმნა, ტემპიც მაღალი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ორმხრივი იერიშებით გაჯერებული თამაში წავიდა. გორელთაგან გამოსაყოფია, ჯერ მოდებაძის, ხოლო მოგვიანებით კლიმიაშვილის დარტყმები. ანგარიშის გათანაბრება შეეძლო პაპუნა ფონიავას, თუმცა სკენდერს ვერ აჯობა. ბევრს მოძრაობდა და მცველებს მუდამ დაძაბულობაში ამყოფებდა ახლადშემოსული **მამუკა ტორონჯაძე.** "მერანი" დიდ უპირატესობას ფლობდა, თამაშის სადავეებიც ხელთ ეპყრა, ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ გოლი მწიფდებოდა, თუმცა სტუმართა მოულოდნელ და სწრაფ კონტრშეტევას გივი ქარქუზაშვილის მოედნიდან გაძევება მოჰყვა. ის **ლეონარდოსთან** ორთაბრძოლაში ბოლო იმედის ჯარიმისათვის დაისაჯა. "მერანის" იერიშები ამის შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა არა იმ ინტენსივობით. ბოლოსკენ მოედნიდან კიდევ ერთი ფეხბურთელი გააძევეს: მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე, მოედნის ცენტრთან ახლოს **გივი დიდავასა** და ირაკლი კლიმიაშვილის ორთაბრძოლა, ამ უკანასკნელის მეორე ყვითელი ბარათითა და შესაბამისად, გაძევებით დასრულდა. დიდავას კი სამედიცინო პერსონალის დახმარება დასჭირდა.

თამაშიც აქ დასრულდა. საერთო ჯამში ვინც ამ შეხვედრას დაესწრო საქმე მოსაწყენად ნამდვილად არ ჰქონია. ეროვნული ჩემპიონატის კვალობაზე მართლაც რომ საინტერესო სანახაობა შედგა. ზედა ექვსეულში ვერმოხვედრის მიუხედავად, "მერანი" უთუოდ იმსახურებს სპეციალისტთა მხრიდან სიმპათიებს და თუ უახლოეს მომავალში გუნდი გაძლიერდა, უკეთეს შედეგსაც აუცილებლად მოიმკის. "დილამ" კი ამ გამარჯვებით ისევ სამ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა თბილისის „დინამოსთან".

**ბესიკ გვაზავა**
სამტრედიიდან

ლეგიონის უქმეები


ართოენული ბიბლიოთეკა

გურამ კაშიამ (№37) ანგარიში ასე გაათანაბრა, მაგრამ „ვიტესი" მაინც დამარცხდა

## ცხადაძეების ინტერი ზამთრის ჩემპიონია

### კაშიას გოლმა ვიტესს ვერ უშველა

გასულ უქმეებზე ჩემპიონატების მატჩები ევროპის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში გაიმართა და შესაბამისად, ქართველი ლეგიონერების მხოლოდ მცირე ნაწილმა ითამაშა.

ჰოლანდიის ჩემპიონატში ნელ-ნელა პოზიციებს თმობს "ვიტესი", რომელსაც ერედივიზიეში გალიდერება შეეძლო, მაგრამ ბოლო სამ ტურში ოდენ ერთ ქულას მოუყარა თავი. შედეგად, არნემელები ლიდერ პსვ-ს უკვე ხუთი ტურით ჩამორჩებიან.

შაბათს "ვიტესმა" სტუმრად "ჰერენვენთან" 1:2 წააგო. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის 39-ე წუთზე არნემელთა ქართველმა კაპიტანმა **გურამ კაშიამ** თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილი ბურთით სამი ქულა მასპინძლებმა ირგუნეს. **გიორგი ჭანტურია** და **ვაკო ყაზაიშვილი** "ვიტესის" განაცხადში კვლავ არ გამოჩენილან.

ქართველებისთვის წარუმატებელი გამოდგა თურქული სუპერლიგის განვლილი ტურიც. **შოთა არველაძის** "ქაშიმფაშა" შინ "ისთანბულთან" 0:1 დამარცხდა, რაც მისი ზედიზედ მეორე მარცხი და ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე ვერმოგებული მატჩია. **ზურაბ ხიზანიშვილის** "ქაისერისფორმა" კი სტამბულში "ბეშიქთაშთან" 1:3 წააგო. ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში ყურადღების ცენტრში მოიქცა ბაქოს "ინტერის" თავდამსხმელი **ბაჩანა ცხადაძე**, რომლის გოლითაც მისმა გუნდმა ზამთრის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. "ინტერმა", რომელსაც ბაჩანას მამა **კახა ცხადაძე** წვრთნის, საკუთარ მოედანზე დედაქალაქურ დერბიში "ბაქის" 1:0 სძლია, ცხადაძე-უმცროსმა კი გამარჯვების გოლი მატჩის 58-ე წუთზე, პენალტით გაიტანა.

"ინტერის" შემადგენლობაში ცხადაძის გარდა, **გიორგი ლომაიამ და ილია კანდელაკმა** ითამაშეს. ქართველთა გუნდმა სეზონის პირველი ნახევარი 33 ქულით დაასრულა. ასევე 33 ქულა აქვს **გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილ "სიმურგს", მაგრამ "ინტერს" უპირატესობა აქვს ბურთების შეფარდებაში და ამას გარდა, კონკურენტზე ერთი შეხვედრით ნაკლებიც ჩაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სალერის თასი

## გამარჯვებული საბურთალოა

**ლევან ჟორდანიას** ფონდისა და საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" ორგანიზებული "სალერის თასის" (1997 წელს დაბადებულთა შორის) გათამაშება გუშინ დასრულდა.

"ბენდელას" სტადიონზე მიმდინარე ტურნირზე, "მალაგა" პირველივე შეხვედრის შემდეგ უპირობო ფავორიტად ითვლებოდა, რადგან ყველა მეტოქე დაამარცხა – "ლოკომოტივი" 4:1, "ვიტესი" 3:1, ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში კი "საბურთალოს" 2:1 სძლია.

ფინალში ერთმანეთს ესპანელები ისევ "საბურთალო" დაუპირისპირდნენ და ამ შემთხვევაშიც ფავორიტად **ანდრეს კარასკოს** გუნდი ითვლებოდა. საინტერესოა, რომ ბოლო წელიწადნახევარია, რაც თავისი ასაკის ესპანეთის ჩემპიონატში "მალაგას" არ წაუგია.

შეხვედრამ თბილისელ გულშემატკივრებში ისეთი უჩვეულო აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ 1800-ადგილიანი ტრიბუნებიც შეივსო და ხალხი თვალს მიმდებარე ტერიტორიებიდანაც ადევნებდა. გესიამოვნებოდა, ისეთი საფეხბურთო ატმოსფერო იყო.

მრავლად იყვნენ საფეხბურთო სკოლების, ფეხბურთის ფედერაციისა და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები და მისვლა არავის უნანია – ქართველი და ესპანელი მოზარდების თამაში ძალიან ლამაზი, დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა.

შეიძლება ითქვას, მატჩის ბედი 31-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც მთავარმა არბიტრმა ესპანელთა მარცხენა მცველი გააძევა. არასათამაშო ვითარებაში "მალაგას" ფეხბურთელმა "საბურთალოს" წაქცეულ მცველს წიხლი უთავაზა და წითელი ბარათი დაიმსახურა.

კაცნაკლული ესპანელები ამანაც არ შეაშინა და არაფერს თმობდნენ, შეხვედრა კი ორმხრივ შეტევებში მიმდინარეობდა. მაგრამ მეორე ნახევარში მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა, რომლებიც სახიფათო შეტევებს ახორციელებდნენ, განსაკუთრებით ფლანგებზე ამწვავებდნენ. **დავით კევლიშვილის** გაწვრთნილებმა 62-ე წუთზე შედეგიანი კომბინაცია გაითამაშეს, მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა **ჯონი გოგლიჩიძემ**, ორი მცველი ჩამოიტოვა და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, რომელსაც **სანდრო ალთუნაშვილმა** მიუსწრო და ზუსტად დაარტყა – 1:0.

დარჩენილ წუთები დაძაბულობამ იმატა, ესპანელებმა ბოლო ძალებით შეუტიეს, მაგრამ ორჯერ მწვავე კონტრშეტევა გამოეპარათ და კინაღამ დაისაჯნენ. საბოლოოდ, "საბურთალომ" 1:0 გაიმარჯვა და "სალერის" თასს დაეუფლა, ტრიბუნებზე კი ემოციები გადმოიღვარა.

ერთადერთი ქართული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ძალიან კარგად იყო ორგანიზებული, ფოიერვერკებითა და გამარჯვებულ-გამორჩეულთა დაჯილდოებით დაიხურა.

■ ■ ■

ორგანიზატორებმა საუკეთესო მოთამაშეებს პრიზები გადასცეს:

მეკარე - **ბექა ქურდაძე** („საბურთალო")

მცველი – **რატი კაკიაშვილი** („საბურთალო")

ნახევარმცველი - **ლადო მამუჩიშვილი** („საბურთალო")

თავდამსხმელი - **გურამ გოშთელიანი** (ორივე „საბურთალო")

ბომბარდირები – **გიორგი არაბიძე, გიორგი ლვინაშვილი** (ორივე "ლოკომოტივი") **გურამ გოშთელიანი** („საბურთალო") - 3-3 გოლი

მაყურებლის სიმპათიის პრიზი – **იბრაჰიმი** ("მალაგა")

საუკეთესო მოთამაშე - **ლუის ნუნიესი** ("მალაგა")




ტურნირის გამარჯვებული - საბურთალოს გუნდი

**მერაბ მამულაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტური



ლემპარდმა და ჩელსიმ 8:0 მეორედ მოიგეს. ფრენკმა მაშინაც გაიტანა და ახლაც

# ჩელსი გაშლილი ფრთებით

## ლიდერმა ლიბერთიზე პაუზა აიღო

"უიგანი" "არსენალთან" მოტივირებული გამოვიდა მოედანზე. მართალია, თამაში ძირითადად მის ნახევარზე მიდიოდა, მაგრამ ლონდონელებს სახიფათო მომენტების შექმნამდე საქმე იშვიათად მიჰყავდათ. როცა ამას მაინც ახერხებდნენ, მაგალითად **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენის** შემთხვევაში, **ალი ალ ჰაბსი** დამაჯერებლად თამაშობდა. მასპინძლები სწრაფი კონტრშეტევების იმედად იყვნენ. აქტიურობდა **არუნა კონე**. 29 წლის აფრიკელი ორჯერ დარჩა მეკარესთან პირისპირ. ერთხელ თამაშგარე დაფიქსირდა, მეორედ კი მას სიზუსტემ უმტყუნა. აფრიკელმა ერთხელ თავადაც დაალალატა გუნდი, როცა **რონი სტამს** ხელსაყრელ სიტუაციაში არ გადააწოდა და შორიდან დარტყმა თავად გადაწყვიტა.

მეორე ნახევარი "არსენალმა" უკეთ დაიწყო. განსაკუთრებით ოქსლეიდ-ჩემბერლენი აქტიურობდა. მან **თეო უოლკოტს** მშვენიერი საგოლე შანსი უბოძა, მაგრამ ალ ჰაბსიმ 4-5 მეტრიდან დარტყმული საოცარ ნახტომში მოიგერია. მე-60 წუთზე უოლკოტმა **ჟან ბოსეჟურს** საჯარიმოში აიძულა წესები დაერღვია. კონტაქტი ფეხბურთელებს შორის მინიმალური, მაგრამ მაინც იყო. არბიტრმა **ჯონ მოსმა** პენალტი უყოყმანოდ დანიშნა. **მიკელ არტეტამ** შეხვედრის ერთადერთი გოლი მშვიდად შეაგდო.

### ერთი და ისიც წესების დარღვევით

"მანჩესტერ სიტი" "ძველი თამრო ალარ არის". ჩემპიონმა ბოლოადგილოსან "რედინგს" უმასპინძლა და ულიმლამო თამაშში მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროშილა გატეხა მისი წინააღმდეგობა. ისიც **მაიკ დინის** წყალობით, რომელმაც გოლის მომენტში **გარეთ ბერის** მიერ **ნიკი შორის** მხრებზე დაყრდნობა ვერ დაინახა. "რედინგი" მრისხანე მოწინააღმდეგეს არ შეუშინდა. ბერის გოლი რომ არა, თამამად დავწერდით, რომ "არისტოკრატები" ამ ქულას ალალად იმსახურებდნენ თავდადებული თამაშისთვის, მაგრამ...

"სიტიმ" პირველ ნახევარში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. გატანა მართებდათ **კარლოს ტევესსა** და გარეთ ბერის, თუმცა **ადამ ფედერიჩი** ორივე შემთხვევაში ფხიზლად იყო. "რედინგი" კი **ჯო ჰარტის** კართან მიახლოებას დრო და დრო თუ ახერხებდა. მეორე ტაიმში **ედინ ჯეკოს** გამოსვლის მიუხედავად, "ქალაქელთა" შეტევებს ბევრი არაფერი დასტყობია. სტუმრები კი კონტრშეტევებზე ბევრად უფრო სახიფათოდ მოქმედებდნენ. ის იყო, **ბრაიან მაკდერმოტის** შეგირდებმა დროის გაყვანაზე ზრუნვა დაიწყეს, რომ **დავიდ სილვას** ჩაწოდების შემდეგ ბერიმ... თუმცა ამაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

### გოლების კორიანტელი

"ენფილდს" მსგავსი დღესასწაული დიდი ხანია არ უნახავს. ვერ გეტყვით, რისი ბრალი იყო, **ბრენდან როჯერსის** მიერ შემადგენლობის გადახალისების, სტუმართა მწვავე კრიზისის თუ ყველაფრისა ერთად, მაგრამ სანახაობა ნამდვილად შედგა.

ანგარიში მე-8 წუთზე **მარტინ შკრტელმა** გახსნა. სლოვაკმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი იოლად დაამუშავა და ძლიერი დარტყმით **მარკ შვარცერს** შანსი არ დაუტოვა. მეორე გოლამდე მასპინძლებმა რამდენიმე კარგი შანსი კიდევ გაუშვეს ხელიდან. უნდა გამოვყოთ **დანიელ აგერის** მომენტი, როცა მან ორი მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა. 36-ე წუთზე **სტივ ჯერარდმა სტიუარტ დაუნინგის** ფანტასტიკური პასის შემდეგ იხეირა. მეორე ტაიმში უკანასკნელმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა, როცა კარაქივით გაჭრა მთელი დაცვა და ახლო კუთხეში დასცხო. **ლუის სუარესმა** ორიოდე შანსის ხელიდან გაშვების შემდეგ ბოლო წუთზე მაინც გამოიჩინა თავი. გადაცემა **ხოსე ენრიკემ** მიითვალა.

### უკბილო ტოტენჰემი და რედნაპის პირველი მარცხი

**ანდრე ვილაშ ბოაშმა** "ტოტენჰემის" სასტარტოში წინა მატჩებისგან განსხვავებით რამდენიმე ცვლილება შეიტანა, მაგრამ საქმეს ამან ვერ უშველა. **ტონი პულისის** "სტოკ სიტიმ" ფავორიტს თავი არ დააჩაგვრინა. მასპინძლები გარკვეულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ მეტოქის საათივით აწყობილ დაცვასთან ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

**ჰარი რედნაპმა** "ქუინზ პარკში" პირველად წააგო. მართალია, "სენტ ჯეიმს პარკზე" გუნდებს თანაბარი შანსები ჰქონდათ, მაგრამ **შოლა ამეობის** მიერ ტექნიკურად სრულყოფილ გოლს "რეინჯერებმა" ვერაფრით უპასუხეს. მეტიც, **სილვენ მარვოს** კონტრშეტევაზე მეორე ბურთის გატანაც შეეძლო, მაგრამ ფრანგის დარტყმას გრძელი რეიდის შემდეგ ძალა დააკლდა.

"ვესტ ჰემი"-"ევერტონის" შეხვედრაში **ენტონი ტეილორმა ლეონ ოსმანს** ერთი გოლი გაუუქმა, რადგან **ვიქტორ ანიჩებე იუსი იასკელაინენზე** თამაშის წესებს არღვევდა. ნიგერიელმა მეორე ტაიმში "ევერტონს" წართმეული გოლი დაუბრუნა. გაიტანა პიენაარმაც, მაგრამ შემთხვევით. მას მცველმა ორთაბრძოლაში ბურთი მოარტყა. არბიტრმა იდენტურ სიტუაციებში სახიფათო თამაშისთვის ჯერ **კარლტონ კოული** გააგდო, მერე **დარონ გიბსონი**.

"სანდერლენდის" ლიდერი **სტივენ ფლეტჩერი** ფორმაში შედის. მან სეზონში უკვე მე-8 ბურთი შეაგდო. ამჯერადაც ყველაფერი "ტრადიციულად" იყო: საჯარიმოში უყურადღებოდ მიტოვებულმა შოტლანდიელმა შანსი ხელიდან არ გაუშვა.

როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, "ნორვიჩის" ხანგრძლივ წაუგებელ სერიას ვესტ ბრომვიჩში დაესვა წერტილი. **სტივ კლარკის** გუნდი ევროთასების ზონისთვის ბრძოლაში ხელახლა ჩაერთო.

### კვირა საღამოს

სუონსის "ლიბერთი სთედიუმზე" საოცარი თამაში გაჩაღდა. მართალია, ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა, მაგრამ სანახავად ნამდვილად მეორე ჯობდა. "ეშმაკებმა" ბოლო ნახევარი საათი უკანმოუხედავ შეტევებში გაატარეს, მაგრამ "გედები" წაგებისგან მხოლოდ დაცვისა და მეკარის თავდადებამ იხსნა.

"ჩელსიმ" "ასტონ ვილას" ტურის უკანასკნელ შეხვედრაში უმასპინძლა და პირველივე ტაიმში გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედი (3:0). მეორე ტაიმში ბირმინგემელებს კიდევ უარესი დღე დაადგათ, რადგან კიდევ 5 გოლი გაუშვეს. "ჩელსიმ" უკანასკნელად მსგავსი ანგარიშით 2009/10 წლების სეზონის ბოლო ტურში იმარჯვა "უიგანთან". ცხადია, "ლურჯებმა" კუთვნილი მესამე ადგილი დაიბრუნეს. "საუთჰემპტონთან" გადადებული თამაშის მოგების შემთხვევაში კი **რაფა ბენიტესის** გუნდი ლიდერთან სხვაობას 8 ქულამდე შეამცირებს. ასე რომ, საჩემპიონო მარათონიდან მათი ჩამოწერა ჯერ ძალიან ადრეა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

**მომდევნო ტური**

26 დეკემბერი: ევერტონი-უიგანი, ფულჰემი-საუთჰემპტონი, მანჩესტერ იუნაიტედი-ნიუკასლი, ნორვიჩი-ჩელსი, ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვიჩი, რედინგი-სუონსი, სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი, ასტონ ვილა-ტოტენჰემი, სტოკ სიტი-ლივერპული, არსენალი-ვესტ ჰემი გადაიდო

**უიგანი-არსენალი 0:1**

**გოლი:** 0:1 არტეტა (60-პენ)

**უიგანი** (3-4-1-2): ალ ჰაბსი – ფიგეროა, მაკარტი, ბოისი – ბოსეჟური, ჯონსი, მაკარტური, სტამი – მელონი (89. გომესი) – კონე, დი სანტო (76. მაკმანამანი)

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი – სანია, მერტეზაკერი, ვერმალენი, გიბსი – უილშირი, არტეტა – კაზორლა (90+1. კოშელნი), ოქსლეიდ-ჩემბერლენი (75. რემსი), პოდოლსკი (79. კოკლენი) - უოლკოტი

**გაფრთხილება:** მელონი - უილშირი

**კარში დარტყმა:** 12-6 (4-4) **კუთხური:** 4-4 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 17-9 **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 21 754

**სიტი-რედინგი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბერი (93)

**სიტი** (4-2-3-1): ჯ. ჰარტი – რეკიკი (84. მილნერი), ნასტასიჩი, კ. ტურე, საბალეტა – ბერი, ხ. გარსია (58. ჯეკო) – ი. ტურე, დ. სილვა, აგუერო – ტევესი (74. სინკლერი)

**რედინგი** (4-5-1): ფედერიჩი – განტერი, პირსი, მარიაპა, ი. ჰარტი (87. შორი) – კებე, ლიგერტვუდი, კარაჯანი (71. გატრი), ტაბი, მაკანუფი - პოგრებნიაკი

**გაფრთხილება:** აგუერო, ი. ტურე – მარიაპა, განტერი, ლიგერტვუდი

**კარში დარტყმა:** 14-5 (5-2) **კუთხური:** 12-3 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 12-14 **ბურთის ფლობა:** 73%-27%

**მაყურებელი:** 47 007

**ნიუკასლი-ქუინზ პარკი 1:0**

**გოლი:** 1:0 შ. ამეობი (81)

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სანტონი, უილიამსონი, კოლოჩინი, სიმსონი – პერჩი, ტიოტე (77. მარვო), ხონასი (60. ობერტანი), ანიტა – სისე (61. შ. ამეობი), ბა

**ქუინზ პარკი** (4-5-1): გრინი – ფაბიო, ა. ფერდინანდი, ნელსენი, ჰილი – მბია, ფორლინი (78. დერი), გრანერო (56. რაიტ-ფილიპსი), მაკი, ტაარაბტი – სისე (64. ჰოილეტი)

**გაფრთხილება:** ტიოტე, პერჩი, ამეობი – ა. ფერდინანდი, ჰილი

**კარში დარტყმა:** 13-4 (6-3) **კუთხური:** 10-3 **თამაშგარე:** 2-6 **ჯარიმა:** 9-18 **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 50 180

**საუთჰემპტ-სანდერლ. 0:1**

**გოლი:** 0:1 ფლეტჩერი (42)

**საუთჰემპტონი** (4-4-2): კ. დევისი – შოუ, ფონტე, იოშიდა, კლაინი – მაიუკა (55. დე რიდერი), შნაიდერლინი (60. ს. დევისი), კორკი, პანჩეონი (81. დო პრადო) – რამირესი, ლამბერტი

**სანდერლენდი** (4-5-1): მინიოლე – გარდნერი, კუელიარი, ოში, როუზი – ა. ჯონსონი (75. ფ. კემპბელი), კოლბეკი, ლარსონი (70. ბერდსლი), მაკლინი – სესინიონი (89. ვონი) - ფლეტჩერი

**გაფრთხილება:** - ლარსონი, ა. ჯონსონი, ბერდსლი

**კარში დარტყმა:** 6-9 (2-5) **კუთხური:** 8-5 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 13-17 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 31 275

**ტოტენჰემი-სტოკ სიტი 0:0**

**ტოტენჰემი** (4-4-2): ლორისი – ვერტონგენი, კოლკერი, გალასი, უოლკერი – სანდრო, დემბელე (85. პარკერი), ბეილი, ლენონი (78. სიგურდსონი) – ადებაიორი, დეფო

**სტოკ სიტი** (4-4-2): ბეგოვიჩი – უილკინსონი, შოუკროსი, ჰუთი კემერონი – ნზონზი, უელანი, შოტონი (64. უაიტჰედი), ეთერინგტონი (69. კრაუჩი) – ჯონსი (66. ჯერომი), უოლტერსი

**გაფრთხილება:** სანდრო, ვერტონგენი – უილკინსონი, უაიტჰედი, კემერონი, ნზონზი, უოლტერსი

**კარში დარტყმა:** 14-5 (6-3) **კუთხური:** 11-4 **თამაშგარე:** 1-3 **ჯარიმა:** 9-12 **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 35 702

**ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი 2:1**

**გოლები:** 0:1 სნოდგრასი (23), 1:1 გერა (43), 2:1 ლუკაკუ (82)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-5-1): ფოსტერი – პოპოვი, ოლსონი, მაკოლი, ბ. ჯონსი – დორანსი (46. ფორჩუნი), გერა (62. ლონგი), ბრანტი, ჯ. მორისონი, ოდემვინგე – ლუკაკუ (84. ტამაში)

**ნორვიჩი** (4-4-1-1): ბენი – უიტეკერი (55. რ. მარტინი), ბასონგი, ტერნერი, გარიდო – ტეტი (86. ჯექსონი), ჰულაჰანი (72. ჰოუსონი), სნოდგრასი, ბ. ჯონსონი - პიკლინგტონი – ს. მორისონი

**გაფრთხილება:** პოპოვი - ტერნერი

**კარში დარტყმა:** 9-8 (5-3) **კუთხური:** 6-5 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 13-8 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 27 799

**ვესტ ჰემი-ევერტონი 1:2**

**გოლები:** 1:0 კ. კოული (14), 1:1 ანიჩებე (64), 1:2 პიენაარი (73)

**ვესტ ჰემი** (4-2-3-1): იასკელაინენი – ობრაიენი (81. სპენსი), რიდი, კოლინსი, ტომკინსი – ონილი (58. მაიგა), ნოუბლი – ჯარვისი (88. კოლისონი), ნოლანი, მ. ტეილორი – კ. კოული

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – ჰეიტინგა, იაგიელკა, დისტენი, ბეინსი – გიბსონი, ნევილი (85. ნეისმიტი), ოსმანი, პიენაარი (89. ოვიედო) – იელავიჩი, ანიჩებე (90+3. დაფი)

**გაფრთხილება:** მაიგა -

**გაძევება:** კ. კოული (67) – გიბსონი (90+1)

**კარში დარტყმა:** 5-13 (3-8) **კუთხური:** 3-5 **თამაშგარე:** 2-6 **ჯარიმა:** 15-8 **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 35 005

**ლივერპული-ფულჰემი 4:0**

**გოლები:** 1:0 შკრტელი (8), 2:0 ჯერარდი (36), 3:0 დაუნინგი (51), 4:0 სუარესი (90)

**ლივერპული** (4-3-3): რეინა – გ. ჯონსონი, შკრტელი, აგერი, ხ. ენრიკე – ჯერარდი, ლუკასი (83. კარაგერი), შელვი (71. ალენი) – დაუნინგი, სუსო (71. სტერლინგი), სუარესი

**ფულჰემი** (4-4-1-1): შვარცერი – რიტერი, ჰანგელანდი, ჰიუზი, რიისე – კარაგუნისი, ბერდი, დეჟაგა, კაჩანიკლიჩი (46. როდალიეგა) – რიჩარდსონი (54. ფრეი) - ბერბატოვი

**გაფრთხილება:** გ. ჯონსონი – დეჟაგა, კარაგუნისი

**კარში დარტყმა:** 16-5 (8-5) **კუთხური:** 8-2 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 13-6 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 44 570

**სუონსი-იუნაიტედი 1:1**

**გოლები:** 0:1 ევრა (16-პენ), 1:1 მიჩუ (29)

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი – ბ. დევისი, უილიამსი, ჩიკო, ტინდალი – აგუსტიენი (87. შეხტერი), ბრიტონი (62. კი) – რუტლეჯი, დე გუზმანი (70. მური), დაიერი - მიჩუ

**იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – ევრა, ვიდიჩი, ევანსი, ფ. ჯონსი – კერიკი, კლევერლი (85. სქოულზი), ვალენსია (62. ხ. ერნანდესი), იანგი – რუნი (78. გიგზი), ვან პერსი

**გაფრთხილება:** ჩიკო, უილიამსი - ფ. ჯონსი, რუნი, ვან პერსი, სქოულზი

**კარში დარტყმა:** 14-12 (9-8) **კუთხური:** 3-6 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 11-16 **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 20 650

**ჩელსი-ასტონ ვილა 8:0**

**გოლები:** 1:0 ტორესი (3), 2:0 ლუისი (29), 3:0 ივანოვიჩი (34), 4:0 ლემპარდი (59), 5:0 რამირესი (75), 6:0 ოსკარი (79-პენ), 7:0 აზარი (83), 8:0 რამირესი (91)

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – [illegible], კეჰილი, ივანოვიჩი, ასპილიკუეტა - ლუისი, ლემპარდი (60. რამირესი) – აზარი, მატა (74. [illegible]), მოზესი – ტორესი (67. ოსკარი)

**ასტონ ვილა** (4-3-3): გუზანი – ლოუტონი, ჰერდი, კლარკი, ბეიკერი, ლიშაი (80. ჯ. ბენეტი) – ვესტვუდი (56. აირლანდი), ჰოლმენი (80. ბოუერი), ბენანი – ბენტეკე, ვაიმანი

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კარში დარტყმა:** 20-4 (15-2) **კუთხური:** 8-4 **თამაშგარე:** 4-5 **ჯარიმა:** 6-9 **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 41 363

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 18 | 14 | 1 | 3 | 44-25 | 43 |
| 2. სიტი | 18 | 11 | 6 | 1 | 34-15 | 39 |
| 3. ჩელსი | 17 | 9 | 5 | 3 | 36-17 | 32 |
| 4. არსენალი | 18 | 8 | 6 | 4 | 32-18 | 30 |
| 5. ევერტონი | 18 | 7 | 9 | 2 | 30-22 | 30 |
| 6. ტოტენჰემი | 18 | 9 | 3 | 6 | 30-25 | 30 |
| 7. ვესტ ბრომვიჩი | 18 | 9 | 3 | 6 | 26-22 | 30 |
| 8. ლივერპული | 18 | 6 | 7 | 5 | 27-23 | 25 |
| 9. სტოკ სიტი | 18 | 5 | 10 | 3 | 15-13 | 25 |
| 10. ნორვიჩი | 18 | 6 | 7 | 5 | 20-27 | 25 |
| 11. სუონსი | 18 | 6 | 6 | 6 | 27-23 | 24 |
| 12. ვესტ ჰემი | 18 | 6 | 5 | 7 | 22-22 | 23 |
| 13. ფულჰემი | 18 | 5 | 5 | 8 | 28-33 | 20 |
| 14. ნიუკასლი | 18 | 5 | 5 | 8 | 20-26 | 20 |
| 15. სანდერლენდი | 18 | 4 | 7 | 7 | 19-24 | 19 |
| 16. ასტონ ვილა | 18 | 4 | 6 | 8 | 15-32 | 18 |
| 17. საუთჰემპტონი | 17 | 4 | 3 | 10 | 22-33 | 15 |
| 18. უიგანი | 18 | 4 | 3 | 11 | 18-33 | 15 |
| 19. ქუინზ პარკი | 18 | 1 | 7 | 10 | 15-31 | 10 |
| 20. რედინგი | 18 | 1 | 6 | 11 | 21-37 | 9 |

**ბომბარდირები:** 13 - მიგელ მიჩუ (სუონსი); 12 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი); 11 - დემბა ბა (ნიუკასლი), ლუის სუარესი (ლივერპული).

**ჩემპიონშიპი. XXIII ტური**

**ბლექპული-ვულვზი 1:2**

**გოლები:** 0:1 ებანს-ბლეიკი (3), 0:2 ებანს-ბლეიკი (72-პენ), 1:2 ბაპტისტი (89)

**დერბი-ჰალ სიტი 1:2**

**გოლები:** 0:1 კორენი (26), 1:1 ჯეიკობსი (45), 1:2 ფაიე (50)

**ბირმინგემი-ბარნლი 2:2**

**გოლები:** 1:0 კ. დევისი (30), 1:1 ინგსი (66), 1:2 უოლასი (68), 2:2 ჟიგიჩი (89)

**იპსვიჩი-ბრისტოლ ს. 1:1**

**გოლები:** 0:1 დენსი (11), 1:1 სმიტი (32)

**ლიდსი-მიდლსბრო 2:1**

**გოლები:** 0:1 იუტკევიჩი (30), 1:1 ბეკიო (45), 2:1 ბეკიო (73)

**ლესტერი-კარდიფი 0:1**

**გოლი:** 0:1 კ. ბელამი (25)

**მილუოლი-ბარნსლი 1:2**

**გოლები:** 0:1 დოუსონი (31), 1:1 ვუდი (80), 1:2 ტავჯი (90)

**გაძევება:** ს. ადამი (54) -

**პიტერბორო-ბოლტონი 5:4**

**გოლები:** 1:0 ტომლინი (2), 2:0 გეილი (6), 2:1 ენდრიუსი (45-პენ), 3:1 ტორნი (47), 3:2 ენდრიუსი (56-პენ), 4:2 ლიტლი (69), 5:2 ზაკუანი (83), 5:3 აფობე (85), 5:4 მ. პეტროვი (87)

**შეფილდ უენ-ჩარლტონი 2:0**

**გოლები:** 1:0 მაკეიბი (20), 2:0 ელანი (90)

**უოტფორდი-ნოტინგემი 2:0**

**გოლები:** 1:0 ვიდრა (15), 2:0 ვიდრა (40)

**გაძევება:** - დ. აიალა (54)

**კრისტალ პალ-ჰადერსფ. 1:1**

**გოლები:** 1:0 ზაჰა (40), 1:1 საუთერნი (75)

**გაძევება:** დელეინი (11) – ჯერარდი (80)

**ბლექბერნი-ბრაიტონი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 23 | 15 | 2 | 6 | 44-28 | 47 |
| 2. ჰალ სიტი | 23 | 14 | 2 | 7 | 35-27 | 44 |
| 3. კრისტალ პალ. | 23 | 12 | 7 | 4 | 44-29 | 43 |
| 4. მიდლსბრო | 23 | 13 | 2 | 8 | 40-31 | 41 |
| 5. ლესტერი | 23 | 11 | 4 | 8 | 37-22 | 37 |
| 6. უოტფორდი | 23 | 11 | 4 | 8 | 41-31 | 37 |
| 7. მილუოლი | 24 | 10 | 7 | 7 | 37-33 | 37 |
| 8. ლიდსი | 23 | 10 | 5 | 8 | 35-36 | 35 |
| 9. ბრაიტონი | 23 | 8 | 10 | 5 | 31-23 | 34 |
| 10. დერბი | 23 | 9 | 6 | 8 | 36-34 | 33 |
| 11. ნოტინგემი | 23 | 8 | 9 | 6 | 30-28 | 33 |
| 12. ბლექპული | 23 | 8 | 8 | 7 | 40-33 | 32 |
| 13. ვულვზი | 23 | 9 | 4 | 10 | 31-30 | 31 |
| 14. ბარნლი | 23 | 8 | 6 | 9 | 36-39 | 30 |
| 15. ჰადერსფილდი | 23 | 8 | 6 | 9 | 29-36 | 30 |
| 16. ბოლტონი | 23 | 7 | 8 | 8 | 36-37 | 29 |
| 17. ბლექბერნი | 22 | 7 | 8 | 7 | 29-31 | 29 |
| 18. ჩარლტონი | 23 | 7 | 8 | 8 | 28-30 | 29 |
| 19. ბირმინგემი | 23 | 6 | 8 | 9 | 30-37 | 26 |
| 20. იპსვიჩი | 23 | 6 | 6 | 11 | 23-44 | 24 |
| 21. შეფილდ უენ. | 23 | 6 | 3 | 14 | 27-40 | 21 |
| 22. ბარნსლი | 23 | 5 | 6 | 12 | 23-36 | 21 |
| 23. ბრისტოლ ს. | 23 | 5 | 4 | 14 | 33-46 | 19 |
| 24. პიტერბორო | 23 | 6 | 1 | 16 | 30-44 | 19 |

**ბომბარდირები:** 20 – გლენ მარი (კრისტალ პალასი); 19 - ჩარლი ოსტინი (ბარნლი).

**ლიგა ერთი. XXIII ტური**

ბერი-შრიუსბერი 2:2, სუინდონი-ტრანმერი 5:0, ქოვენთრი-პრესტონი 1:1, ქროული-შეფილდ იუნ 0:2, უოლსოლი-კოლჩესტერი 1:0, იოვილი-ოლდჰემი 4:1 გადაიდო ბრენტფორდი-სტივენეიჯი, ქრიუ-ბორნმუთი, დონკასტერი-მილტონი, ჰარტლპული, ნოთს ქაუნთი-ლეიტონი, სკანტორპი

**ლიგა ორი. XXIII ტური**

როჩდეილი-ჩელტენჰემი 4:1, საუთენდი-ჩესტერფილდი 3:0, ბარნეტი-ბარტონი 3:2, ნორთჰემპტონი-ალდერშოტი 2:0, აკრინგტონი-პლიმუთი 1:1 გადაიდო მორკემბი-დაგენჰემი, ბრისტოლ რ-როტერჰემი, ოქსფორდი-ფლიტვუდი, პორტ ვეილი-უიმბლდონი, ტორკი-ექსეტერი, უიკომბი-ბრედფორდი, იორკი-ჯილინგემი

**შოტლანდია**

**პრემიერლიგა. XIX ტური**

| | |
|---|---|
| სტ. მირენი-მოზერველი | 2:1 |
| აბერდინი-სტ. ჯონსტონი | 2:0 |
| სელტიკი-როს ქაუნთი | 4:0 |
| ინვერნესი-დანდი | 4:1 |
| კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1:1 |
| ჰართსი-დანდი იუნ | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 18 | 11 | 4 | 3 | 37-14 | 37 |
| 2. ინვერნესი | 19 | 8 | 8 | 3 | 42-33 | 32 |
| 3. მოზერველი | 19 | 8 | 6 | 5 | 31-26 | 30 |
| 4. ჰიბერნიანი | 19 | 8 | 4 | 7 | 30-28 | 28 |
| 5. აბერდინი | 19 | 7 | 6 | 6 | 24-21 | 27 |
| 6. ჰართსი | 19 | 6 | 7 | 6 | 20-21 | 25 |
| 7. სტ. ჯონსტონი | 19 | 6 | 7 | 6 | 22-25 | 25 |
| 8. დანდი იუნ | 18 | 6 | 6 | 6 | 27-27 | 24 |
| 9. კილმარნოკი | 18 | 6 | 5 | 7 | 28-24 | 23 |
| 10. სტ. მირენი | 19 | 5 | 5 | 9 | 23-32 | 20 |
| 11. როს ქაუნთი | 19 | 3 | 9 | 7 | 20-30 | 18 |
| 12. დანდი | 18 | 3 | 3 | 12 | 12-35 | 12 |

## უცხოური ფეხბურთი

ვოლფსბურგი

# უარი შუსტერს, მგლებს ჰეკინგი მიხედავს!

### ვოლფსბურგმა დიტერი ნიურნბერგიდან 750 000 ევროდ იყიდა

პარასკევის ნომერში ვწერდით, რომ **ბერნდ შუსტერის** „ვოლფსბურგში“ დანიშვნა თითქმის გადაწყვეტილი იყო და „ქერათმიან ანგელოზად“ წოდებული სპეციალისტი ბუნდესლიგაში პირველ სამწვრთნელო ერას დაიწყებდა, მაგრამ შაბათს ყველაფერი შეიცვალა. შაბათს შუსტერს დაბადების დღე ჰქონდა, ბერნდი 53 წლის გახდა და როგორც ირკვევა, საკუთარი იუბილეთი გათამამებულმა, „ვოლფსბურგის“ სპორტულ დირექტორ **კლაუს ალოფსს** დამატებითი მოთხოვნები წაუყენა, რაზეც ამ უკანასკნელმა მტკიცე უარი უთხრა. ერთი სიტყვით, შუსტერის ვოლფსბურგში დანიშვნიდან არაფერი გამოვიდა, გუშინ კი გადაწყდა და საბოლოოდ დადასტურდა, რომ „ვოლფსბურგს“ 48 წლის **დიტერ ჰეკინგი** მიხედავს - სწორედ ის ჰეკინგი, რომელიც პირველ წრეში „ნიურნბერგის“ თავკაცი გახლდათ.

*„დიახ, ჩვენ მართლაც შევუთანხმდით დიტერ ჰეკინგს და მას „ვოლფსბურგის“ მთავარ მწვრთნელად ამ დღეებში წარვადგენთ,“* - დაუდასტურა ალოფსმა „ბილდს“. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიტერი „მგლებთან“ კონტრაქტს 2016 წლის ზაფხულამდე გააფორმებს. ჰეკინგს „ნიურნბერგთან“ ხელშეკრულება 2014 წლამდე ჰქონდა გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ვოლფსბურგელებს ფრანკებისთვის მისი კონტრაქტის გამოსასყიდი



დიტერ ჰეკინგი ბუნდესლიგის მეორე წრიდან ვოლფსბურგს უხელმძღვანელებს

თანხის გადახდა მოუწევთ. „ბილდის“ ცნობით, ეს თანხა 750 000 ევროა.

*„დიტერის კონტრაქტში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც მას ჩვენი გუნდიდან ვადამდე ადრე წასვლა გარკვეული თანხის გადახდის შემთხვევაში შეეძლო. რომ არა ეს პუნქტი, ჰეკინგს არაფრისდიდებით არ დავთმობდით, რადგან დიტერი ძალიან მაგარი სპეციალისტია,“* - ეს „ნიურნბერგის“ მენეჯერ **მარტინ ბადერის** სიტყვებია. მოკლედ, ახალი მწვრთნელის ძებნას ახლა ნიურნბერგელები იწყებენ.

დიტერ ჰეკინგის ოჯახი ბად ნენდორფში, „ვოლფსბურგიდან“ 110 კილომეტრში ცხოვრობს, რამაც მის გადაწყვეტილებაში ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. *„ნიურნბერგიდან“ წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ საკუთარ თავს ვეუბნებოდი, ახლა მხოლოდ შენს თავსა და შენს ოჯახზე უნდა იფიქრო-მეთქი. ამასთან ერთად, „ვოლფსბურგი“ ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა და მიმაჩნია, რომ ამ კლუბში როგორც მწვრთნელი უფრო განვვითარდები. კლაუს ალოფსი თავისი კონცეფციის შესახებ მესაუბრა და დამარწმუნა, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადამედგა,“* - უთხრა ჰეკინგმა „ბილდ ამ ზონთაგს“.

### მაინც რას ითხოვდა შუსტერი?

და მაინც: რატომ ვერ შეთანხმდნენ შუსტერი და ალოფსი? მთელმა საფეხბურთო გერმანიამ იცოდა, რომ კლაუსის ფავორიტი ბერნდი გახლდათ, რაც თავად „ვოლფების“ ახალმა მენეჯერმა წინა კვირაში არაერთხელ დაადასტურა. ცნობილია, რომ 17 დეკემბერს კლაუსი და ბერნდი ერთმანეთს მიუნხენში შეხვდნენ და ფაქტობრივად ყველაფერზე შეთანხმდნენ. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ შუსტერი „მგლებთან“ კონტრაქტს გააფორმებდა - მის ოფიციალურ წარდგენას ვოლფსბურგელები პარასკევს გეგმავდნენ. ახლა ირკვევა, რომ შუსტერმა ალოფსს ახალი მოთხოვნები წაუყენა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მან სამწვრთნელო შტაბის მთლიანად ახლებურად, თავისი ნება-სურვილით დაკომპლექტება მოისურვა, ალოფსი კი „ვოლფსბურგში“ მხოლოდ ერთი ასისტენტის ჩაყვანას სთავაზობდა. სწორედ ამ მოთხოვნის შემდეგ შევიდა ჩიხში შუსტერთან მოლაპარაკებები და ალოფსიც მაშინვე სათადარიგო ვარიანტს, ჰეკინგს მიუბრუნდა. ეს უკანასკნელი ზედმეტს არაფერს ითხოვს - ჰეკინგი „ვოლფსბურგში“ მხოლოდ ერთ ასისტენტს, 47 წლის **დირკ ბრემზერს** ჩაიყვანს. ამრიგად, 3 იანვარს, ბელეკის შეკრებაზე „ვოლფსბურგს“ სწორედ დიტერ ჰეკინგი წაიყვანს.

48 წლის სპეციალისტმა „ნიურნბერგში“ ზუსტად სამი წელი იმუშავა და ფრანკენლანდელები მას ძალიან აფასებდნენ. ჰეკინგმა „ფრანკები“ 2009/2010 წლების სეზონის ზამთრის შესვენებაზე ჩაიბარა - მაშინ გუნდი მე-17 ადგილზე იყო და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებოდა. ჰეკინგმა გუნდი ელიტიდან გავარდნისგან რელეგაციით იხსნა, მომდევნო სეზონში კი „ნიურნბერგი“ მის ხელში სტაბილურად თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკები თითქმის ყოველ ზაფხულს კარგავენ წამყვან ფეხბურთელებს, ჰეკინგის ხელში „ნიურნბერგს“ სერიოზული კრიზისი არ ჰქონია. „ვოლფსბურგში“ მას გაცილებით მეტი (როგორც ფინანსური, ასევე სპორტული) შესაძლებლობები ექნება.

### ტრიო წავა, არნაუტოვიჩი ვოლფსბურგში?

რაც შეეხება „ვოლფსბურგის“ სატრანსფერო გეგმებს: გერმანული მედიის ცნობით, ალოფსმა იანვარში სამი ფეხბურთელის გაშვება უკვე გადაწყვიტა. ესენი არიან საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიან ტრეში** და მცველები **მარკო რუსი** და **ალექსანდერ მადლუნგი**. 25 წლის ტრეში სავარაუდოდ „შტუტგარტში“ დაბრუნდება - კლუბებს შორის მოლაპარაკებები დაწყებულია, „ვოლფსბურგი“ 7 მილიონ ევროს ითხოვს, „შტუტგარტი“ ევაჭრება. რუსი ისევ ფრანკფურტის „აინტრახტში“ დაბრუნდება - ოლონდ არენდით. მადლუნგის მომავალი კი ჯერ გაურკვეველია - ცნობილია, რომ მას „ფულჰემი“ ეპატიჟება.

ამასობაში, „ვოლფსბურგერ ნახრიხთენი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომლის მიხედვით ალოფსს თავისი ყოფილი კლუბიდან, ბრემენის „ვერდერიდან“ „ვოლფსბურგში“ ავსტრიელი **მარკო არნაუტოვიჩის** გადაყვანა უნდა. ხსენებული გამოცემის ცნობით, კლუბებს ვოლფსბურგელებსა და ბრემენელებს შორის ამ საკითხზე პირველი საუბარი უკვე შედგა. 23 წლის არნაუტოვიჩს „მუსიკოსებთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული. ბუნდესლიგის პირველ წრეში მის ანგარიშზე ხუთი გოლი და ამდენივე საგოლე პასია.

**გოტფრიდ ლენცი**

რეკორდმაისტერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფინია, კლაუდიო პისარო, ჯერდან შაჩირი და ანატოლი ტიმოშჩუკი „გლადბახთან“ პირველი წრის ბოლო მატჩის დროს ბაიერნის სათადარიგოთა სკამზე

# ბაიერნის წარმატების საიდუმლო

### სათადარიგოთა სკამზე ყოველთვის იდეალური განწყობაა

ზედიზედ ორჯერ უტიტულოდ დარჩენის შემდეგ, მიუნხენის „ბაიერნი“ მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს: ბავარიულმა გრანდმა ბუნდესლიგის პირველი წრე პირველ ადგილზე, მეორეადგილოსან „ლევერკუზენთან“ 9-ქულიანი უპირატესობით დაასრულა და ეჭვი ფაქტობრივად არავის ეპარება იმაში, რომ რეკორდმაისტერი „ვერცხლის სინს“ დაიბრუნებს. საფეხბურთო გერმანია ახლა იმაზე ბჭობს, თუ რა არის „ბაიერნის“ ასეთი გარდაქმნის, წარმატების მთავარი საიდუმლო.

გაზეთ „ბილდის“ ვერსია: მიუნხენელთა სათადარიგოთა სკამზე სეზონის პირველ ნახევარში ყოველთვის შესანიშნავი განწყობა იყო! ამის დასტურად გერმანულმა ტაბლოიდმა გუშინ რეკორდმაისტერის სათადარიგოთა სკამის ფოტოები გამოაქვეყნა. იმ დროს, როცა სხვა კლუბების სკამებზე მოლუშულობაა და ინტრიგებიც კი იხლართება, „ბაიერნის“ თადარიგში მყოფი მოთამაშეები მუდმივად ჩინებულ ხასიათზე არიან.

ეს პირველ რიგში „ბაიერნის“ თავკაც **იუპ ჰაინკესის** დამსახურებაა. 67 წლის „დონ იუპმა“ ამ სეზონში როტაციას მიჰყო ხელი, რადგან ზაფხულში გუნდის გაძლიერების შემდეგ კონკურენტუნარიანი შემადგენლობა ჰყავს. გერმანელი ექსპერტები როტაციის სრულყოფილ პრინციპზე საუბრობენ: ჰაინკესი ფეხბურთელებს ისე ცვლის, რომ არცერთს არ ტოვებს უკმაყოფილოს!

*„ფეხბურთელებმა იციან და კარგად მიიღეს ის, რომ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 11 ფეხბურთელის ადგილია და ყოველთვის ყველა ვერ ითამაშებს. რაც მთავარია, თითოეულმა იცის, რომ უშანსოდ არავის დავტოვებ,“* - აცხადებს „დონ იუპი“.

ჰაინკესის მიდგომით და სათადარიგო ფეხბურთელების ქცევით კმაყოფილია რეკორდმაისტერის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერიც**: *„თადარიგში მყოფი ფეხბურთელები ამ სეზონში შესანიშნავად იქცევიან! პირველ რიგში იმ მოთამაშეებს ვგულისხმობ, რომლებიც ყველაზე იშვიათად ასპარეზობენ ხოლმე - რაფინიას, ტომ შტარკეს, კლაუდიო პისაროს, ანატოლი ტიმოშჩუკს და დანიელ ვან ბუიტენს. მწვრთნელი მათ თავის გამოჩენის შანსს მოსალოდნელზე ხშირად აძლევს, ჰაინკესის როტაციით კმაყოფილები ვართ.“*

**გოტფრიდ ლენცი**

ახალი კონტრაქტი

# ჰუნტელაარი შალკეში რჩება

„შალკეს“ გულშემატკივრების ხანგრძლივ მოლოდინს ბოლო მოეღო: გელზენკირხენული კლუბის ჰოლანდიელი გოლეადორი **კლაას-იან ჰუნტელაარი**, როგორც იქნა ახალი კონტრაქტის გაფორმებას დათანხმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „შალკედან“ არ წავა. 29 წლის ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ახალ კონტრაქტს ხელი გუშინ მოაწერა და თავისი ბედი „შალკეს“ 2015 წლამდე დაუკავშირა. შეგახსენებთ, რომ ძველ ხელშეკრულებას ვადა სეზონის ბოლოს გასდიოდა, რის გამოც „შალკეში“ ძალიან ნერვიულობდნენ.

*„ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, გადავწყვიტე, „შალკეში“ დავრჩე. მადლობა კლუბის ხელმძღვანელებს, რომლებიც ნდობას მიცხადებენ და ფანებს იმის გამო, რომ ძალიან ვუყვარვარ,“* - უთხრა ჰუნტელაარმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

**გოტფრიდ ლენცი**





კლაას-იან ჰუნტელაარმა ახალი კონტრაქტი გააფორმა

ამბები



ხოსეპ გვარდიოლა სამშობლოში

### გვარდიოლა ბარსელონაში დაბრუნდა

შაბათ დილით, ნიუ იორკიდან ბარსელონაში „ბარსელონას“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ხოსეპ გვარდიოლა** დაბრუნდა. პირველი რასაც პეპი გააკეთებს, ეწვევა **ტიტო ვილანოვას**. რომელიც საავადმყოფოდან საშობაოდ შინ გაწერეს, გვარდიოლა მას დღეს ინახულებს. როგორც ექიმებმა თქვეს, ვილანოვას გამოჯანმრთელების პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, ყველაფერი ნორმალურადაა, თუმცა ტიტო კლინიკაში არ იყო მზად მნახველების მისაღებად.

### ლეო ესპანეთის ნაკრებში?

20 წლის ბრაზილიელი **ლეო კარილიო ბაპტიშტაო** ამ სეზონის ნამდვილი აღმოჩენაა, „რაიო ვალეკანოს“ შემტევი დიდებულად თამაშობს და პროგრესირებს. ეს კი შეუმჩნეველი არ დარჩა... ესპანეთის ნაკრების შტაბს. 16 მატჩში ბრაზილიელმა 6 გოლი გაიტანა. იტალიური წარმოშობის ბრაზილიელი 1992 წელს სანტოსში დაიბადა, ის 16 წლის ასაკში ჩავიდა მადრიდში, „ელვების“ ახალგაზრდულ გუნდში. გასულ ზაფხულში ლეომ განცხადება შეიტანა ესპანეთის მოქალაქეობის მიღებაზე. თუკი ყველაფერი კარგად იქნება, ლეოს ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში უახლოეს ამხანაგურ მატჩში ვიხილავთ.

### სუპერჯანმრთელი რონალდო

**კრიშტიანო რონალდომ** 2012 წელს ლა ლიგის ერთი ტურიც კი არ გამოტოვა. 27 წლის პორტუგალიელმა ფორვარდმა ითამაშა 39-ივე შეხვედრაში. აქედან „რეალმა“ 29 მატჩში იმარჯვა, 6 კი ფრედ დაასრულა. სხვათა შორის, 39-დან 35 შეხვედრაში პორტუგალიელი არ შეუცვლიათ, ჯამში კი მან მხოლოდ 82 წუთი გამოტოვა წლის განმავლობაში. როგორც ხედავთ, მას ტრავმა ახლოსაც არ გაჰკარებია. რაც შეეხება დისკვალიფიკაციას, იანვრის ბოლოს მან მე-4 ყვითელი ბარათი მიიღო, მომდევნო უკვე 1 მატჩის გაცდენას ნიშნავდა, მაგრამ პორტუგალიელმა სეზონი ისე ჩაამთავრა, მეტჯერ აღარ გაუფრთხილებიათ.

### ბარსა მეკარეს შეუთანხმდა

„ბარსელონამ“ კიდევ ერთ ფეხბურთელთან შეათანხმა კონტრაქტის გაგრძელების საკითხი - 37 წლის **ხოსე მანუელ პინტო**, გუნდის სარეზერვო მეკარე 2014 წლის ივნისამდე რჩება „ბლაუგრანას“ შემადგენლობაში. კონტრაქტს ხელი უკვე ამ კვირაში მოეწერება. უკვე გავრცელდა ცნობა, რომ შესაძლოა, **ერიკ აბიდალთანაც** გაგრძელდეს ხელშეკრულება. გამოდის, რომ სეზონის ბოლოს „ბარსელონადან“ თავისუფალი აგენტი მხოლოდ 20 წლის მცველი **მარკ მუნიესა** ხდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XVII ტური



ბარსელონა ტიტო ვილანოვას მხარდამჭერი მაისურებით გამოვიდა

# აშკარა დაუჯერებელი: ჟოზეს მტკიცებით კასილიასს ადანი სჯობს

## ლეომ 2012 წელი 91 გოლით დაასრულა

წლის ბოლო ტური ჩვეულად სრულდებოდა, „ბარსამ" მორიგი გამარჯვება იზეიმა და ტიტო ვილანოვაც გაამხნევა სიმსივნესთან ბრძოლაში; მოხდა ერთი-ორი მოულოდნელობა (როგორც წესია) და გუნდები საშობაო არდადეგებზე გავიდნენ. მაგრამ ჟოზე მოურინიომ ყველაფერი არია! საქმე იმაში არაა, რომ მისმა „რეალმა" „მალაგასთან" წააგო. პორტუგალიელმა პირდაპირ ომი გამოუცხადა გუნდის კაპიტან იკერ კასილიასს, რომელიც სათადარიგოთა სკამზე დასვა. თამაშის მერე კი განაცხადა, ჩემი აზრით, კასილიასს მისი შემცვლელი ადანი სჯობსო! ვფიქრობთ, ამ სკანდალს შეიძლება მართლა გადაჰყვეს „განსაკუთრებულის" მადრიდული კარიერა...

### სამთვიანი შიმშილის მერე

ბალეარულმა კლუბმა შეწყვიტა 14-მატჩიანი მოუგებელი სერია და ეს „მალიორკამ" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ „ბეტისთან" მოახერხა მისსავე მოედანზე. თანაც, თამაშის განმავლობაში სტუმრები აგებდნენ კიდევაც. სევილიელები **ბენიატ ეჩებარიამ** საჯარიმო დარტყმით, რომელიც ძალზე კურიოზული გამოდგა, დააწინაურა, მაგრამ კუნძულელებმა ანდალუსიელებს **ვიქტორ კასადესუსის** შესანიშნავი თავურით უპასუხეს. ყველაფერი მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა, როცა ვიქტორისა და **მარიოს** ორთაბრძოლის შემდეგ, მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც **ხავი მარკესმა** ასე ნანატრ, გამარჯვების გოლად აქცია. მსაჯი, **უნდიანო მალენკო** შეცდა, რადგან თამაშის წესი აშკარად საჯარიმოს გარეთ დაირღვა. აი, ამ შეცდომამ **ხოაკინ კაპაროსს**. შესაძლოა, ბალეარული კარიერა გადაურჩინა.

**პეპე მელი** (ბეტისი): „*მსაჯის შეცდომამ საბოლოო შედეგზე პირდაპირი გავლენა მოახდინა. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, მოგვიგო მეტოქემ, რომელმაც კარში ერთხელ დაგვირტყა, მაგრამ 2 გოლი გაგვიტანა*".

**ხოაკინ კაპაროსი** (მალიორკა): „*ჩვენ ორი საგოლე მომენტი შევქმენით და ორივე გამოვიყენეთ. ეს არის ფეხბურთის არსიც. ფეხბურთში მთავარი გოლია და არა კარგი თამაში*".

### ბარსამ ავტოპილოტით მოიგო

მიუხედავად იმისა, რომ გუნდს არ ჰყავდა მთავარი მწვრთნელი **ტიტო ვილანოვა** (რომელსაც ბარსელონელებმა თამაშამდე საჯაროდ გამოუცხადეს მხარდაჭერა დაავადებასთან ბრძოლაში) კატალონიურმა გრანდმა „ავტოპილოტით მოიგო „ვალიადოლიდთან" - 3:1. ტაიმის მიწურულს სტუმრები **ჩავი ერნანდესმა ხორდი ალბას** ჩაწოდების შემდეგ დააწინაურა. მეორე ტაიმში **ლეო მესიმ** წლის 91-ე (!) და უკანასკნელი გოლი გაიტანა. ალბათ დიდ ხანს გაუჭირდებათ მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდებს ამ მიღწევის გამეორება, თავად მესისაც კი. თამაში ოდნავ დაიძაბა ბოლოსკენ, როცა დამატებაზე გოლი შეცვლაზე შესულმა **ხავი გერამ** გაიტანა. საბოლოო წერტილი წუთის წინ შესულმა **ტელიომ** დასვა, რომელმაც კონტრშეტევაზე მეტოქის დაცვა გაარღვია.

**მიროსლავ ჯუკიჩი** (ვალიადოლიდი): „*შესანიშნავი თამაში იყო ჭკუის სასწავლებლად. ჩვენი მეტოქე იყო ყველა დროის საუკეთესო გუნდი. ჩვენთვის კი 2012 წელი მეტად პოზიტიური გამოდგა*".

**ჟორდი როურა** (ბარსელონა): „*ყველა ჩვენგანისთვის განსაკუთრებული მატჩი იყო და განსაკუთრებულადაც მივუდექით*".

### მოურინიო! ვერ გაგიგეთ...

**ჟოზე მოურინიომ** მთელი ესპანეთი გააკვირვა, როცა 10 სეზონის განმავლობაში პირველად დასვა კაპიტანი **იკერ კასილიასი** სათადარიგოთა სკამზე, კარში კი **ადანი** ჩააყენა. მოურინიოს ამ ქმედებას ალბათ მოჰყვება ბევრი კუდი. ყველა (ხუთივე) გოლი მეორე ტაიმში გავიდა, ჯერ **ხოაკინ სანჩესის** პასით ისარგებლა **ისკომ**, შემდეგ **ქარიმ ბენზემას** დარტყმა არ აცალა **სერხიო სანჩესმა** და ავტოგოლი გაიტანა. ამის შემდეგ იმავე ხოაკინის მოწადინებით **როკე სანტა კრუსმა**"რეალის" კარში დუბლი შეასრულა. თამაშის დასრულებამდე 8 წუთით ადრე მასპინძლები დაცვაში უხეშად შეცდნენ და **იოზილმა** ბენზემას გაატანინა, მაგრამ „რეალმა" მარცხისგან თავი მაინც ვერ იხსნა.

**მანუელ პელეგრინი** (მალაგა): „*პერსონალური მოტივაცია არ მქონია ამ თამაშის წინ. ჩემთვის მთავარი გუნდია, რომელსაც მე ვწვრთნი. „მალაგაში" თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ*".

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): „*არც გადადგომას ვაპირებ და არც ჩემი სამსახურის დაკარგვის შიში მაქვს. რაც შეეხება მეკარის საკითხს, ეს სუფთა ტექნიკური დეტალია - ჩემი აზრით, კასილიასს ადანი სჯობს*".

### გრანადამ კუდი მოიქნია

„გრანადამ" ბოლო 7 მატჩში მხოლოდ მეორედ მოიგო. თანაც, ანდალუსიურმა კლუბმა ეს „რეინო დე ნავარაზე" შეძლო. მართალია, თავიდან **ნინომ** თავურით დააწინაურა ნავარელები, მაგრამ „გრანადა" აშკარად სჯობდა მეტოქეს, რაც **მაინსის** და **ბენიტესის** გოლებში აისახა. აღსანიშნავია, დანი ბენიტესის დიდებული თამაში, რომელმაც ჩემპიონატის საწყისი ნაწილი დისკვალიფიკაციის გამო (გასულ სეზონში მსაჯს ფიზიკურად შეეხო) გამოტოვა. 25 წლის გარემარბი ორივე გუნდში საუკეთესო იყო.

### ბიელსას გასაჭირი

**მანოლო ხიმენესის** „სარაგოსა" აშკარად სხვა გუნდია, არაგონელები აღარ არიან ხელწამოსაკრავი მეტოქეები არავისთვის. თუნდაც თამაში „სან მამესზე" მიმდინარეობდეს. პირველ ტაიმში **აპონიოს** (პენალტით) და **პოშტიგას** გოლები საკმარისი აღმოჩნდა მონდომებული, მაგრამ ფანტაზიასმოკლებული ბასკების დასამარცხებლად.

**მარსელო ბიელსა** (ბილბაო): „*ანგარიში არ არის სამართლიანი. ჩვენ ცუდ სიტუაციაში ვართ და ყველაფრის თავიდან დაწყება გვმართებს. ჩვენ ეს ერთხელ უკვე გამოგვივიდა, გამოგვივა მეორედაც*".

**მანოლო ხიმენესი** (სარაგოსა): „*ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ*".

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

#### მომდევნო ტური

6 იანვარი: სელტა-ვალიადოლიდი, ბარსელონა-ესპანიოლი, გრანადა-ვალენსია, ლევანტე-ბილბაო, მალიორკა-ატლეტიკო, რაიო ვალეკანო-ხეტაფე, რეალი-რეალ სოსიედადი, სევილია-ოსასუნა, სარაგოსა-ბეტისი, დეპორტივო-მალაგა.

#### ბეტისი-მალიორკა 1:2

**გოლები:** 1:0 ბენიატი (5), 1:1 ვიქტორი (30), 1:2 მარკესი (47-პენ)

**ბეტისი (4-3-3):** ადრიანი - ჩიკა, ამაია, მარიო, ნაჩო - ბენიატი, რ. პერესი (48. პოსუელო), კანიასი - რ. კასტრო, მოლინა (62. აგრა), კემპბელი (53. ვადილიო).

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ნსუე, ნუნიეში, ბიგასი, კევინი - პინა, მარტი - არისმენდი (81. ჩ. ნავარო), მარკესი, ჯოვანი დოს სანტოსი (74. ჰემედი) - ვიქტორი (88. კონსეისაო).

**გაფრთხილება:** ნაჩო, ბენიატი, ჩიკა - არისმენდი, ვიქტორი, დოს სანტოსი, მარკესი

**კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 17-3 (7-2); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 33 000

#### ვალიადოლიდი-ბარსელონა 1:3

**გოლები:** 0:1 ჩავი (43), 0:2 მესი (58), 1:2 გერა (89), 1:3 ტელიო (93)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, სერენო, ვალიენტე, ბალენსიაგა - სასტრე (81. ბარახა), ვ. პერესი - ომარი, ოსკარი, ბუენო (64. პენია) - მანუჩო (74. გერა).

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ტ. ალკანტარა (83. ინიესტა) - პედრო (92. ტელიო), მესი, ა. სანჩესი (76. ვილია).

**გაფრთხილება:** ბუენო, სერენო, სასტრე, ოსკარი - ალკანტარა

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 15-4; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 5-11 (2-5); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 22 000

#### მალაგა-რეალი 3:2

**გოლები:** 1:0 ისკო (48), 1:1 ს. სანჩესი (64 ს.კ.), 2:1 სანტა კრუსი (72), 3:1 სანტა კრუსი (75), 3:2 ბენზემა (81)

**მალაგა (4-1-4-1):** კაბალიერო - გამესი, ს. სანჩესი, დემიკელისი, მონრეალი - ნაჩო კამაჩო - ხოაკინი (82. სება ფერნანდესი), ისკო, პორტილიო (69. იტურა), ელიზეუ - სავიოლა (65. სანტა კრუსი).

**რეალი (4-2-3-1):** ადანი - ესიენი, პეპე, სერხიო რამოსი, არბელოა (57. კალეხონი) - ხედირა, ჩაბი ალონსო (76. მოდრიჩი) - დი მარია (63. კაკა), იოზილი, რონალდო - ბენზემა.

**გაფრთხილება:** ხოაკინი - რამოსი, რონალდო, პეპე, ხედირა

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 9-12; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 11-18 (6-5); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 27 500

#### ოსასუნა-გრანადა 1:2

**გოლები:** 1:0 ნინო (7), 1:1 მაინსი (41), 1:2 ბენიტესი (48)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - დამია, არიბასი, ფლანიო, ნანო (76. ბერტრანი) - პუნიალი, ლო - სეხუდო (64. ხ. ლორენტე), ნინო, ლამა (46. რ. ტორესი) - კიკე სოლა.

**გრანადა (4-2-3-1):** რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, მაინსი, სიკეირა - ირინეი, მ. რიკო - ტორჟე (69. ხუანმა ორტისი), ელ-არაბი (74. იებდა), ბენიტესი (87. ანგულო) - იგჰალო.

**გაფრთხილება:** არიბასი, დამია - ბენიტესი, ნიომი, რობერტო

**კუთხური:** 9-7; **ჯარიმა:** 11-7; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 11-12 (4-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 21 000

#### ბილბაო-სარაგოსა 0:2

**გოლები:** 0:1 აპონიო (31-პენ), 0:2 პოშტიგა (41)

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ლაპორტე, აურტენეჩე (46. ი. მარტინესი) - ანდერი, სან ხოსე, დე მარკოსი - ი. გომესი, ადურისი, მუნიაინი (68. ფ. ლორენტე).

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სეპუნარუ, ლოოვენსი, ალვარო, აბრაამი - მოვილია, აპონიო - სუკულინი (73. ბაბოვიჩი), ვ. როდრიგესი (70. ედუ ორიოლი), მონტანიესი (85. ხოსე მარი)- პოშტიგა.

**გაფრთხილება:** ანდერი - სეპუნარუ, მონტანიესი, ბაბოვიჩი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 7-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-13 (3-4); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 17 | 16 | 1 | 0 | 57-19 | 49 |
| 2. ატლეტიკო | 17 | 13 | 1 | 3 | 37-17 | 40 |
| 3. რეალი | 17 | 10 | 3 | 4 | 41-17 | 33 |
| 4. მალაგა | 17 | 9 | 4 | 4 | 28-12 | 31 |
| 5. ბეტისი | 17 | 9 | 1 | 7 | 26-28 | 28 |
| 6. ლევანტე | 17 | 8 | 3 | 6 | 21-24 | 27 |
| 7. სოსიედადი | 17 | 7 | 4 | 6 | 24-20 | 25 |
| 8. ვალეკანო | 17 | 8 | 1 | 8 | 22-32 | 25 |
| 9. ვალენსია | 17 | 7 | 3 | 7 | 23-26 | 24 |
| 10. ხეტაფე | 17 | 7 | 3 | 7 | 21-25 | 24 |
| 11. ვალიადოლიდი | 17 | 6 | 4 | 7 | 23-21 | 22 |
| 12. სარაგოსა | 17 | 7 | 1 | 9 | 20-24 | 22 |
| 13. ბილბაო | 17 | 6 | 3 | 8 | 21-34 | 21 |
| 14. სევილია | 17 | 5 | 4 | 8 | 22-26 | 19 |
| 15. გრანადა | 17 | 4 | 4 | 9 | 13-25 | 16 |
| 16. მალიორკა | 17 | 4 | 4 | 9 | 16-29 | 16 |
| 17. სელტა | 17 | 4 | 3 | 10 | 16-22 | 15 |
| 18. ესპანიოლი | 17 | 3 | 6 | 8 | 19-26 | 15 |
| 19. ოსასუნა | 17 | 3 | 5 | 9 | 14-19 | 14 |
| 20. დეპორტივო | 17 | 2 | 6 | 9 | 21-39 | 12 |

ბომბარდირები: 26 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 14 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 10 - არიც ადურისი (ბილბაო).

#### სეგუნდა დივიზიონი. XIX ტური

**ხერესი-ვილიარეალი** 0:0

**რეალი II-ელჩე** 0:1

**გოლი:** 0:1 ალბაკარი (89)
**გაძევება:** რივერა (80. ელჩე)

**ალმერია-ალკორკონი** 0:1

**გოლი:** 0:1 ნაგორე (10)
**გაძევება:** კ. ლოპესი (89. ალკორკონი)

**ბარსელონა II-ჟირონა** 4:4

**გოლები:** 1:0 არაუჟო (42), 2:0 დეულოფეუ (53), 2:1 ბენხა (55), 3:1 დეულოფეუ (67), 4:1 რაფინია (75), 4:2 აკუნია (78), 4:3 აკუნია (88), 4:4 ლუსო (90)
**გაძევება:** ოიერი (90. ბარსელონა II)

**კორდობა-უელვა** 0:2

**გოლები:** 0:1 ჩული (37), 0:2 მორსილიო (66)
**გაძევება:** ალბერტო (75. კორდობა)

**ერკულესი-ნუმანსია** 1:3

**გოლები:** 0:1 პოკეტი (14), 0:2 პოკეტი (18), 0:3 მარერო (41), 1:3 ხ. პორტილიო (45)

**ლას პალმასი-მირანდესი** 2:0

**გოლები:** 1:0 ვიტოლო (28), 2:0 ტიევი (84)

**საბადელი-ლუგო** 0:1

**გოლი:** 0:1 ო. დიასი (37)

**პონფერადინა-მურსია** 1:0

**გოლი:** 1:0 ვ. სილვა (84)

**გვადალახარა-რასინგი** 1:1

**გოლები:** 0:1 კონე (6), 1:1 ვისენტე (29)

**სპორტინგი-უესკა** 1:0

**გოლი:** 1:0 სანგოი (62)
**გაძევება:** გრეგორი (90. სპორტინგი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 19 | 14 | 3 | 2 | 28-9 | 45 |
| 2. ჟირონა | 19 | 11 | 4 | 4 | 37-20 | 37 |
| 3. ალკორკონი | 19 | 11 | 2 | 6 | 30-23 | 35 |
| 4. ალმერია | 19 | 10 | 4 | 5 | 30-21 | 34 |
| 5. ვილიარეალი | 19 | 8 | 7 | 4 | 23-15 | 31 |
| 6. პონფერადინა | 19 | 10 | 1 | 8 | 28-25 | 31 |
| 7. ლას პალმასი | 19 | 8 | 6 | 5 | 28-24 | 30 |
| 8. ბარსელონა II | 19 | 8 | 5 | 6 | 40-31 | 29 |
| 9. საბადელი | 19 | 7 | 6 | 6 | 25-20 | 27 |
| 10. უელვა | 19 | 8 | 3 | 8 | 24-30 | 27 |
| 11. კორდობა | 19 | 7 | 5 | 7 | 21-23 | 26 |
| 12. ლუგო | 19 | 7 | 5 | 7 | 20-24 | 26 |
| 13. ნუმანსია | 19 | 6 | 7 | 6 | 23-26 | 25 |
| 14. სპორტინგი | 19 | 6 | 6 | 7 | 25-26 | 24 |
| 15. მურსია | 19 | 6 | 5 | 8 | 21-21 | 23 |
| 16. რეალი II | 19 | 6 | 3 | 10 | 33-35 | 21 |
| 17. ხერესი | 19 | 5 | 6 | 8 | 19-28 | 21 |
| 18. გვადალახარა | 19 | 5 | 5 | 9 | 23-29 | 20 |
| 19. მირანდესი | 19 | 3 | 7 | 9 | 16-24 | 16 |
| 20. უესკა | 19 | 3 | 7 | 9 | 17-28 | 16 |
| 21. რასინგი | 19 | 3 | 6 | 10 | 14-27 | 15 |
| 22. ერკულესი | 19 | 3 | 5 | 11 | 16-32 | 14 |

ბომბარდირები: 11 - ჟერარდ დეულოფეუ (ბარსელონა II), იური (პონფერადინა); 10 - ორიოლი (ალკორკონი), ხესე როდრიგესი (რეალი II).



კანალ პლუსმა დააფიქსირა მომენტი, როცა ფლორენტინო პერესმა იკერ კასილიასის სკამზე დასმა შეიტყო

პარლამენტის ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1. XIX ტური

# პსჟ შემოდგომის ჩემპიონია



ნიცას განადგურებას სათავე ლისადრო ლოპესმა დაუდო

**ბრესტი–პსჟ 0:3**

გოლები: 0:1 იბრაჰიმოვიჩი (55), 0:2 გამეირო (74), 0:3 ბ. მენდი (90-საკ. კარში).

**ლილი–მონპელიე 4:1**

გოლები: 1:0 კონგრე (24-საკ. კარში), 2:0 პაიე (43), 3:0 რუ (63), 4:0 რ. მენდესი (75), 4:1 ს. კამარა (83).

**აიაჩო–რენი 2:4**

გოლები: 1:0 მუტუ (2), 1:1 ფერე (17-პენ), 2:1 ფ. დიავარა (42), 2:2 ალესანდრინი (44), 2:3 შ. დიარა (60), 2:4 ფერე (72).

**ლორიანი–რეიმსი 2:2**

გოლები: 0:1 ფორტესი (6), 1:1 ბარტელმი (48), 1:2 კურტე (70), 2:2 პედრინიო (90).

**ლიონი–ნიცა 3:0**

გოლები: 1:0 ლისანდრო ლოპესი (40), 2:0 რევეიე (56), 3:0 გომისი (77-პენ).

**ბასტია–ნანსი 4:2**

გოლები: 1:0 როტენი (9), 2:0 მოდესტი (13), 3:0 იატაბარე (26), 3:1 მუკანჯო (51), 4:1 მოდესტი (63), 4:2 ანდრელუისი (77).

**ვალანსიენი–ევიანი 2:1**

გოლები: 1:0 პუჟოლი (14), 1:1 ხელიფა (32), 2:1 საესი (74).

**ტულუზი–სოშო 2:0**

გოლები: 1:0 რეგატენი (26), 2:0 რივიერი (85).

**ბორდო-ტრუა 0:0**

**მარსელი-სტ. ეტიენი 1:0**

გოლი: 1:0 ა. აიუ (45)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 19 | 11 | 5 | 3 | 36-12 | 38 |
| 2. ლიონი | 19 | 11 | 5 | 3 | 33-17 | 38 |
| 3. მარსელი | 19 | 12 | 2 | 5 | 24-20 | 38 |
| 4. რენი | 19 | 10 | 2 | 7 | 29-24 | 32 |
| 5. ლორიანი | 19 | 8 | 7 | 4 | 32-29 | 31 |
| 6. ვალანსიენი | 19 | 8 | 5 | 6 | 31-24 | 29 |
| 7. ბორდო | 19 | 6 | 11 | 2 | 21-14 | 29 |
| 8. ლილი | 19 | 7 | 8 | 4 | 24-18 | 29 |
| 9. ნიცა | 19 | 7 | 8 | 4 | 26-26 | 29 |
| 10. სენტ ეტიენი | 19 | 7 | 6 | 6 | 24-14 | 27 |
| 11. მონპელიე | 19 | 7 | 5 | 7 | 29-24 | 26 |
| 12. ტულუზი | 19 | 7 | 5 | 7 | 25-20 | 26 |
| 13. ბასტია | 19 | 6 | 4 | 9 | 26-41 | 22 |
| 14. ბრესტი | 19 | 6 | 3 | 10 | 20-28 | 21 |
| 15. რეიმსი | 19 | 4 | 7 | 8 | 16-20 | 19 |
| 16. აიაჩო | 19 | 5 | 6 | 8 | 21-29 | 19 |
| 17. ევიანი | 19 | 5 | 4 | 10 | 22-32 | 19 |
| 18. სოშო | 19 | 4 | 4 | 11 | 17-29 | 16 |
| 19. ტრუა | 19 | 2 | 7 | 10 | 20-37 | 13 |
| 20. ნანსი | 19 | 1 | 8 | 10 | 15-33 | 11 |

**შენიშვნა:** "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 18 – იბრაჰიმოვიჩი (პარისენჟერმენი); 11 – გომისი (ლიონი); 10 – ცვიტანიჩი (ნიცა); 9 – ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი), ფერე (რენი).

**საფრანგეთის შემოდგომის ჩემპიონი "პარი სენ-ჟერმენი" გახდა, რომელმაც პარასკევს სტუმრად "ბრესტი" გაანადგურა და პირველი წრე 38 ქულით პირველ ადგილზე დაასრულა.**

შეხვედრა "პარი სენ-ჟერმენის" უპირატესობით წარიმართა და გოლის გატანა სტუმრებს პირველ ტაიმშიც შეეძლოთ, მაგრამ **კარლო ანჩელოტის** შეგირდებს ხან არ უმართლებდათ, ხან კი შესანიშნავად თამაშობდა მასპინძელთა მეკარე **ალექსის ტებო**, რომელმაც რამდენიმე კარგი "სეივი" შეასრულა.

მატჩის 34-ე წუთზე "ბრესტს" **აბდულვაჰიდ სისოკო** გაუძევეს, რის შემდეგაც სტუმართა უპირატესობა უფრო მეტად გამოიკვეთა. ანგარიში 55-ე წუთზე გაიხსნა – თავისი მორიგი, უკვე მე-18 გოლი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** გაიტანა და საკუთარი გუნდი დააწინაურა. სხვაობა ორამდე **კევინ გამეირომ** გაზარდა, რომელიც მოედანზე რამდენიმე წუთის შესული იყო, საბოლოო შედეგი კი **ბერნარ მენდიმ** დააფიქსირა – პსჟ-ს ყოფილმა ფეხბურთელმა საკუთარი კარი დალაშქრა. საბოლოოდ 0:3 და პარიზელები საშობაო არდადეგებზე კარგი განწყობით გაემგზავრნენ.

*"სატურნირო ცხრილის სათავეში ვართ, ამიტომ შობას კარგ ხასიათზე ვხვდებით. დღეს საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და კმაყოფილი ვარ, რომ საბოლოოდ დიდი ანგარიშით მოვიგეთ, თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩვენთვის მთავარი სამი ქულის აღება და ლიდერობის შენარჩუნება იყო. ცოტა ხნის წინ გარკვეული პრობლემები გვქონდა, მაგრამ მოთამაშეებმა სწორი დასკვნები გააკეთეს და დღეს ძალიან კარგად ითამაშეს. თუ მომავალშიც ასევე გავირჯებით, მაშინ თამამად ვიტყვი, რომ წინ შესანიშნავი 2013 წელი გველის,"* – განაცხადა კმაყოფილმა კარლო ანჩელოტიმ.

ტურის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ლიონში გაიმართა, სადაც 10-მატჩიანი წაუგებელი სერიის მქონე "ნიცა" ჩავიდა და საამაყო სერია დაასრულა. მასპინძლებმა, ვისაც ბოლო ორი ტური ჩაგდებული ჰქონდათ (ფრე "ნანსისთან" და წაგება "პარი სენ ჟერმენთან"), შესანიშნავად ითამაშეს და მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს.

ანგარიში მე-40 წუთზე **ლისანდრო ლოპესმა** გახსნა, რომელმაც მეორე ტაიმის დებიუტში **ანტონი რევეის** საგოლე გადაცემა გაუკეთა. სტუმართა განადგურებას წერტილი **ბაფეტიმბი გომისმა** თერთმეტმეტრიანით დაუსვა. აღსანიშნავია, რომ გომისმა, ვინც ჩემპიონატში უკვე 11 გოლი გაიტანა, პირველი გოლის დროს ლისანდროს საგოლე გადაცემა გაუკეთა. "ნიცას" მხრიდან თამაში არ წაუვიდა **დარიო ცვიტანიჩს**, რომელსაც ბოლო 7 შეხვედრაში 7 გოლი ჰქონდა გატანილი.

**რემი გარდის** გუნდმა, "პარი სენ ჟერმენის" მსგავსად, 38 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობის მთავარ ფავორიტს ქულებით ისევ გაუთანაბრდა. ლიდერებს კი 6 ქულით ჩამორჩება "რენი", რომელიც კორსიკაზე "აიაჩოსთან" ორჯერ აგებდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა. საკუთარი გუნდის წარმატებაში უდიდესი წვლილი **ჟულიენ ფერემ** შეიტანა, ვისაც უკვე 8 გოლი აქვს გატანილი.

სენსაცია დაფიქსირდა ბორდოში. "ტრუამ", რომელიც ბოლოსწინა ადგილზე იყო და სტუმრად ჩატარებული რვა შეხვედრაში მხოლოდ ქულა ჰქონდა მოპოვებული, მასპინძლების არც თუ ისე სახიფათო შეტევებს გაუძლო და შინ ქულით დაბრუნდა. "ბორდოს" მოუგებელი სერია კი გრძელდება – **გიომ ჟიოს** გუნდს უკვე ექვსი თამაშია არ მოუგია, აქედან ბოლო 5 მატჩი ჟირონდელებმა ფრედ დაასრულეს.

საფრანგეთის 2011 წლის ჩემპიონმა, ლიგა 1-ის მოქმედ გამარჯვებულს უმასპინძლა და დიდი ანგარიშით მოუგო. მასპინძელთა მხრიდან თითო გოლი **დმიტრი პაიემ, ნოლან რუმ** და ცვლილებაზე გამოსულმა **რაიან მენდესმა** გაიტანეს. ანგარიში კი "ტულუზის" ყოფილმა ლიდერმა და კაპიტანმა **დანიელ კონგრემ** გახსნა, რომელმაც საკუთარი კარი დალაშქრა. "ძაღლები" ბოლო დროს კარგ ფორმაში არიან – **რუდი გარსიას** გუნდს უკვე ხუთი ტურია არ წაუგია და მერვე ადგილზე მყოფი გუნდის კვალობაზე, ჩემპიონატის ლიდერს არც თუ ისე ბევრით, მხოლოდ 8 ქულით ჩამორჩება.

*"ჩვენ დღეს ჩავისვარეთ. მათ ორი თავით გვაჯობეს და სათქმელიც ბევრი არაფერი მაქვს. ახლა მხოლოდ სირილ ჟონშამზე ვფიქრობ,"* – მატჩის შემდეგ განაცხადა "მონპელიეს" ექსცენტრულმა მწვრთნელმა **რენე ჟირარმა.**

**სირილ ჟონშამს** რაც შეეხება: დეკემბრის დასაწყისში 37 წლის მცველს ერთ-ერთი ჟურნალისტის სტატია არ მოეწონა, რის გამოც მას ხელი გაარტყა. ამის შედეგად, ვეტერანი ფეხბურთელი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ ფეხბურთიდან ერთი წლით მოკვეთა.

**ტატო ბაციკაძე**


ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ჩვენ ბრუქნით წიგნებს!
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" ნებისმიერი ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



## უცხოური ფეხბურთი

### იტალია. სერია A. XVIII ტური



სალომე ხარატიშვილის ფოტო რომიდან, ექსკლუზიურად ლელოსთვის

# რომამ მილანს გადაუარბინა

## ბებერი ქალბატონის წელიწადი

**იშვიათად, სატურნირო ცხრილში მე-6 და მე-7 ადგილზე მყოფი გუნდების ჯახი ცენტრალურად მიიჩნეოდეს, მაგრამ როდესაც ერთმანეთის პირისპირ "რომა" და "მილანი" დგანან, ინტერესი ყოველთვის მაღალია. თანაც, ზდენეკ ზემანის "რომა" იმდენად მხიარულ ფეხბურთს თამაშობს, რომ შოუ გარანტირებული იყო...**

### მილანის დაცვა მისახედია

თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ მატჩი სანახაობრივი, სახიფათო მომენტებით და გოლებით დახუნძლული გამოდგა. მართალია, მომენტები ორივე კართან ბლომად შეიქმნა, მაგრამ მასპინძელთა უპირატესობა ერთი წუთითაც არ დამდგარა ეჭქვეშ. თამაშის ბედი პირველ ნახევარ საათში გადაწყდა, როდესაც რომაელებმა მეტოქეს სამი ბურთი მიართვეს და ანგარიში გამანადგურებელი გახადეს. მართალია, "რომას" მოგებული მატჩების ხელიდან გაშვება ეხერხება, მაგრამ ეს "მილანი" სასწაულის მომხდენი ნამდვილად არ გახლდათ...

დიახ, "მილანი" არ იყო თუნდაც ერთი ქულის ამღები, რადგან არც შეტევა უვარგოდა, არც ნახევარდაცვა და დაცვა საერთოდ ცალკე სალაპარაკო თემაა. ის, რაც "როსონერის" დაცვაში ხდებოდა, რთულია რაიმეს შეადარო – რომაელებმა თავის გემოზე ისეირნეს სტუმართა საჯარიმოში და ისე შეყარეს გოლები, თითქოს არა "მილანს", რომელიმე სამოყვარულო გუნდს ეთამაშებოდნენ. გოლები მეტად ეფექტური გამოვიდა - ანგარიში **ნიკოლას ბურდისომ** გახსნა, რომელიც კუთხურისას ჩავიდა მეტოქის საჯარიმოში და თავური დარტყმით **მარკო ამელიას** შანსი არ დაუტოვა, 1:0. მეორე გოლი ასევე თავური დარტყმით **პაბლო ოსვალდომ** გაიტანა, რომელსაც შესანიშნავი პასი **ფრანჩესკო ტოტიმ** მისცა, 2:0. მესამე გოლი **ერიკ ლამელას** ანგარიშზეა, რომელიც მეკარეს პირისპირ **დანიელე დე როსის** იდეალურმა პასმა შეჰყარა, 3:0. მეორე ტაიმში რომაელებმა ერთი გოლი იკმარეს და ისევ თავით გაიტანეს, ამჯერად მეორე სართულზე ლამელამ ივარგა და ტაბლოზე მილანელთათვის სამარცხვინო ანგარიში დააფიქსირა, 4:0.

მატჩის დასრულებამდე ათ წუთზე ოდნავ მეტი იყო დარჩენილი, როდესაც **მარკინიოსი** მოედნიდან გააძევეს და "რომა" კაცნაკლული დარჩა. **მასიმილიანო ალეგრიმ** ცვლილებებს მიმართა, **ჯამპაოლო პაცინი და ბოიან კრკიჩი** ჩართო თამაშში, რამაც სტუმართა იერიშებს სიმწვავე შემატა - "ჯალოროსიც" ჩვეულად აიჭრა და თამაშის მიწურულს ორი გოლი გაუშვა, თუმცა ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. "მილანმა" უშანსოდ წააგო და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ მასიმილიანო ალეგრის უამრავი სამუშაო აქვს. ერთი ცხადია, ასეთ "მილანს" "ბარსელონასთან" არაფერი ესაქმება.

**ზდენეკ ზემანი (რომა):** *"კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი იდეალურად იყო. თამაშის დასკვნით ნაწილში, უკანა ხაზი აგვერია და დიდი ფორა რომ არ გვქონოდა, ნამდვილად დავისჯებოდით. თავიდანვე ვიცოდი, რომ "მილანისთვის" ნახევარდაცვაში სივრცეები უნდა მოგვესპო – ამიტომ, შუა ხაზში დანიელე დე როსი და მაიკლ ბრედლი დავაყენე, რომლებსაც ჩაშლა ალესანდრო ფლორენციზე უკეთ ეხერხებათ. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩავიწერეთ აქტივში. წელი მაჟორულ ნოტზე დავასრულეთ, ყველაზე კარგი კი ის არის, რომ მეტი შეგვიძლია".*

### იუვე ბეწვის ხიდზე

ტურინის "იუვენტუსი" "კალიარის" ნეიტრალურ მოედანზე, პარმაში ეპაექრა, რაც ისედაც ფავორიტად შერაცხილი ლიდერის დამატებითი პლუსი იყო... თუმცა, ბევრისთვის მოულოდნელად, სარდინიელებმა მრისხანე მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და ცოტა რომ გამართლებოდათ, მინიმუმ ქულას აიღებდნენ. თავად განსაჯეთ, ტურინელებმა მხოლოდ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაიტანეს ორი გოლი, 75-ე წუთამდე კი სულაც აგებდნენ შეხვედრას.

მატჩის გმირი **ალესანდრო მატრი** გახლავთ, რომელიც შეცვლაზე ჩაერთო თამაშში და დუბლი გაახერხა. როგორც ნამატჩევს განაცხადა, ამ გოლებს დიდხანს ელოდა. შეგახსენებთ, რომ მატრი "იუვენტუსში" სწორედ "კალიარიდან" გადავიდა. მართალია, ტურინელებს იდეალური ფეხბურთი არ უჩვენებიათ, მაგრამ გამარჯვება სწორედაც რომ საჩემპიონო იყო.

### ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის

**ვლადიმირ პეტკოვიჩი** დაჟინებით გვიმტკიცებს, რომ მისი "ლაციო" "იუვენტუსის" კონკურენტი არაა და მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებს. "ბიანკოჩელესტემ" "სამპდორია" დაამარცხა, "ინტერის" წაფორხილებით ისარგებლა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მოკალათდა. ერთადერთი და გამარჯვების გოლი **ერნანესის** ანგარიშზეა. "ინტერის" ბორძიკი აღარ გვიკვირს, **ანდრეა სტრამაჩონის** გუნდი ვერაფერ ფეხბურთს თამაშობს და შედეგებიც შესაბამისი აქვს. მილანური გრანდი მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა და რომ არა "ნაპოლისთვის" ქულების დაკლება, სულაც მეხუთეზე იქნებოდა. სამაგიეროდ, "ფიორენტინაა" მონოდების სიმაღლეზე – **ვინჩენცო მონტელას** შეგირდებმა ამჯერად "პალერმო" დაჩაგრეს და თანაც, სიცილიაზე. თუ წინა ტურში **ლუკა ტონიმ** გამოიდო თავი, ამ შემთხვევაში დუბლით **სტევან იოვეტიჩი** გამოირჩა. ფლორენციელთა თავკაცმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მისი გუნდის რეალური ძალა იხილა. თუმცა, იქვე დაამატა, მომატება კიდევ შეგვიძლია და საუკეთესო "ფიორენტინას" 2013 წლიდან იხილავთო. სერია A სწორედ იმ დრომდე დაგვემშვიდობა.

**ლაშა წიკლაური**

**მომდევნო ტური**

6 იანვარი: **კატანია-ტორინო, კიევო-ატალანტა, ფიორენტინა-პესკარა, ჯენოა-ბოლონია, იუვენტუსი-სამპდორია, ლაციო-კალიარი, მილანი-სიენა, ნაპოლი-რომა, პარმა-პალერმო, უდინეზე-ინტერი.**

## მატჩის შემდეგ

### ალეგრი VS ზემანი

**მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს პირველი "მილანის" თავკაცი მასიმილიანო ალეგრი გაესაუბრა. ის კითხვებს საკმაოდ დინჯი და დამწუხრებული ხმით პასუხობდა.**

- ეს იყო წინასაშობაო შეხვედრა. ვიცოდით, რომ "რომა" გამართულ ტაქტიკურ გუნდს დაგვახვედრებდა, რაც გამოჩნდა კიდეც. ისინი ყველა სათამაშო პოზიციაზე თავისუფლად და მშვიდად მოძრაობდნენ. შეხვედრის პირველი ნახევარი კარგად დავიწყეთ, განსაკუთრებით დადებით მუხტს გვძენდა ელ შაარავის მოედანზე ყოფნა. დავუშვით შეცდომები და საკუთარ კარში ოთხი გოლი მივიღეთ.

**- "მილანმა" რამდენად შეძლო გადამწყვეტ წუთებში თამაშის გაკონტროლება?**

- ამ შეხვედრას თუ ეტაპებად დავყოფთ, ვიტყვი, რომ ცუდად არ გვითამაშია. შეხვედრის პირველ ნახევარში ჩვენი შეცდომა ნაკლებად აგრესიული თამაში იყო. "მილანმა" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო, მაგრამ 10 შეხვედრაში 20 ქულის მოპოვება შევძელით. ვწუხვარ, რომ "რომას" სათამაშო სტილს თავი ვერ გავართვით და ესოდენ მნიშვნელოვან შეხვედრაში დავმარცხდით.

**- როგორ შეაფასებთ ამ შეხვედრაში "მილანის" დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზს?**

- ის ფეხბურთელები, რომელთაც ამ პოზიციებს ვანდობთ, საკმაოდ გამოცდილნი არიან. მაგრამ იმისათვის, რომ ჩემპიონატი მოიგო, საკუთარ კარში ნაკლები გოლი უნდა მიიღო.

**- როგორ ფიქრობთ, გუნდმა კრიზისი თუ გადალახა?**

- ვერ ვიტყვი რომ დასრულდა, ან სულაც დაიწყო. ამ გუნდმა ბევრი ცვლილება განიცადა. გუნდის პრეზიდენტმა ახალგაზრდულ გუნდზე გააკეთა არჩევანი და ეს შემადგენლობა ნელ-ნელა იზრდება კიდეც.

**ალეგრის შემდეგ ჟურნალისტებს ზდენეკ ზემანი გაესაუბრა:**

- მატჩის პირველ ნახევარში ვიყოჩაღეთ, მეორე ნახევარი ალბათ შედეგის შენარჩუნებაზე ფიქრში დავხარჯეთ. "მილანი", ყოველთვის "მილანად" დარჩება, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში შექმნას პრობლემა და თამაშიც შეცვალოს.

**- თქვენი აზრით, "რომამ" სეზონის საუკეთესო თამაში ითამაშა?**

- დღეს მართლაც კარგი სანახაობითი ფეხბურთი ვითამაშეთ. პირველ ნახევარში პრესინგი შევინარჩუნეთ და ბურთისა და მეტოქის კონტროლიც შევძელით, რამაც საშუალება მოგვცა ისე გვემოქმედა, როგორც გვჩვევია.

**- დე როსიზე რა გვეტყვით?**

- დე როსიმ კარგად ითამაშა, განსაკუთრებით პირველ ნახევარში გამოირჩეოდა და მომზადების მაღალი დონეც წარმოაჩინა.

**- თუ შეგეძლოთ მისი მოედანზე დაბრუნების გადაწყვეტილების ადრე მიღება?**

- თქვენ შეიძლება თქვენი აზრი გაქვთ და მიგაჩნიათ საუკეთესო არჩევნად, მაგრამ მე ჩემი საქმის კეთებას ვცდილობ და ჩემთვის დამახასიათებელ ფეხბურთს ვქმნი.

**- ნახევარდაცვის ხაზში პიანიჩის, დე როსისა და ბრედლის განლაგება რატომ გადაწყვიტეთ?**

- მინდოდა მბრუნავი, ცენტრალური ხაზის ეფექტი შემექმნა და ამით "მილანი" გამენეიტრალებინა. ამ ხერხით ბურთის ხანგრძლივად დაჭერაც შევძელით და დაცვის ხაზის მოხერხებულ თამაშზეც ვიზრუნეთ. მე ვქმნი ფეხბურთს და მსიამოვნებს როდესაც ჩემი შედეგებით გულშემატკივარი კმაყოფილია. ისე, როგორც ეს დღეს შევძელით.

**სალომე ხარატიშვილი**
რომიდან, სპეციალურად ლელოსთვის

**პესკარა-კატანია 2:1**

**გოლები:** 1:0 სელიკი (23), 1:1 ბარიენტოსი (36), 2:1 ტონი (49).

**კალიარი-იუვენტუსი 1:3**

**გოლები:** 1:0 პინილია (16-პენ.), 1:1 მატრი (75), 1:2 მატრი (90), 1:3 ვუჩინიჩი (90).
**გაძევება:** ასტორი (65. კალიარი).

**ინტერი-ჯენოა 1:1**

**გოლები:** 0:1 იმობილე (77), 1:1 კამბიასო (85).
**ინტერი (4-2-3-1):** ჰანდანოვიჩი – ძანეტი, სამუელი, რანოკია, ჟუან ჟესუსი (46. კივუ) - კამბიასო, გარგანო (78. ლივაია) – პალასიო, ალვარესი (31. პერეირა), კასანო - მილიტო.
**ჯენოა (4-1-4-1):** ფრეი - კანინი, გრანკვისტი, სამპირიზი, ანტონელი – ტოზსერი – ბერტოლაჩი (69. ანსელიმო – 90. კრაინჩი), როსი (73. პიშიტელა), ვარგასი, კუჩკა - იმობილე.
**გაფრთხილება:** რანოკია, კივუ – ბერტოლაჩი, ანსელიმო.
**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 19-11; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 10-6(4-2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.
**მაყურებელი:** 42 000

**ატალანტა-უდინეზე 1:1**

**გოლები:** 0:1 მურიელი (33), 1:1 დენისი (40-პენ.).
**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – ბელინი, სტენდარდო, ლუკინი, პელუზო - რაიმონდი, ჩიგარინი, ბონავენტურა, კარმონა – დე ლუკა (62. მორალესი), დენისი.
**უდინეზე (3-5-1-1):** ბრკიჩი – ანჯელა, დანილო, დომიცი – ბასტა, პერეირა, პინცი, ბადუ, პასკუალე – ფაბრინი (68. დი ნატალე) – მურიელი (62. ლაძარი).
**გაფრთხილება:** კარმონა, მორალესი – დანილო, დომიცი, პინცი, მურიელი.
**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 11-5(5-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.
**მაყურებელი:** 15 000

**ბოლონია-პარმა 1:2**

**გოლები:** 1:0 სორენსენი (54), 1:1 ვალდესი (56), 1:2 სანსონე (66).
**ბოლონია (4-4-2):** ალიარდი – მოტა, პორტანოვა, სორენსენი, კერუბინი (78. პასკუატო) – პერესი (51. მორლეო), კრხინი, ტაიდერი, დიამანტი – გაბიადინი (51. კონე), ჯილარდინო.
**პარმა (4-4-2):** პავარინი – ბენალოუანე, ლუკარელი, სანტაკროჩე, გობი - მარკიონი, ვალდესი, პაროლო, ბიაბიანი (80. ამაური) – სანსონე (70. ასკუა), ბელფოდილი.
**გაფრთხილება:** კერუბინი, პერესი – სანტაკროჩე, ვალდესი, ბიაბიანი, სანსონე.
**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 24-10; **თამაშგარე:** 9-0; **კარში დარტყმა:** 9-16(4-8); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.
**მაყურებელი:** 20 000

**პალერმო-ფიორენტინა 0:3**

**გოლები:** 0:1 იოვეტიჩი (50), 0:2 იოვეტიჩი (83-პენ.), 0:3 გონსალო (89).
**პალერმო (3-5-2):** უიკანი – მუნიოსი (63. დიბალა), დონატი, გარსია – ჯორჯი (55. კურტიჩი), ბარეტო, პიზანო, რიოსი, მორგანელა - მიკოლი, ბრიენცა (78. ზაპავი).
**ფიორენტინა (3-5-2):** ნეტო – ტომოვიჩი, გონსალო, სავიჩი – კუადრადო (87. კასანი), აკვილანი (70. პისარო), მილიაჩო, ბორხა ვალერო (81. ფერნანდესი), პასკუალი – იოვეტიჩი, ტონი.
**გაფრთხილება:** მუნიოსი, დონატი, პიზანო – გონსალო, კუადრადო, მილიაჩო, კასანი.
**კუთხური:** 2-10; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 4-15(1-10); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.
**მაყურებელი:** 17 000

**სამპდორია-ლაციო 0:1**

**გოლი:** 0:1 ერნანესი (28).
**სამპდორია (4-3-1-2):** რომერო – ბერარდი (58. დე სილვესტრი), გასტალდელო, როსინი, კოსტა – კრსტიჩიჩი (46. სორიანო), მუნარი, ობიანგი – პოლი – ედერი, იკარდი (68. პოცი).
**ლაციო (4-5-1):** მარკეტი – კონკო, ბიავა, დიასი, რადუ – ლულიჩი, ერნანესი (82. კავანდა), ლედესმა, გონსალესი, მაური (88. სიანი) – კლოზე (90. ფლოკარი).
**გაფრთხილება:** იკარდი, სორიანო – ბიავა, გონსალესი, ლულიჩი.
**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 21-11; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 7-7(2-1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.
**მაყურებელი:** 23 000

**სიენა-ნაპოლი 0:2**

**გოლები:** 0:1 მაჯო (86), 0:2 კავანი (90-პენ.).
**სიენა (3-5-2):** პეგოლო – ფელიპე, დელაფიორე, კონტინი – ბელმონტე (69. მანინი), დაგოსტინო, ბოლცონი, რუბინი, ვალიანი – როზინა (75. რეჯინალდო), კალაიო.
**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – გამბერინი (68. პანდევი), კამპანიარო, ბრიტოსი – მაჯო, ბერამი, დონადელი, ცუნიგა (81. მესტო) – ჰამშიკი – ინსინიე (68. ელ ქადური), კავანი.
**გაფრთხილება:** კონტინი (სიენა).
**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 2-9(0-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 10 000

**ტორინო-კიევო 2:0**

**გოლები:** 1:0 სარდო (12-საკ. კარში), 2:0 გაცი (26).
**ტორინო (4-4-2):** ჟილე – დარმიანი, გლიკი, როდრიგესი, მაზიელო – ვივესი, გაცი, ბირსა (83. დამბროზიო), სანსონე (81. სგრინია) – ჩერჩი (90. ბაშა), ბიანკი.
**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო - სარდო, დაინელი, ანდრეოლი, დრამე (30. იოკიჩი) - გუანა, ლ. ლიგონი (76. დი მიკელე), კოფიე – ჰეტემაი - თერეუ, პალოსკი (54. პელისიერი).
**გაფრთხილება:** გლიკი, ვივესი, ჩერჩი, ბირსა – ჰეტემაი, პელისიერი.
**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 11-10; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 7-4(2-1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.
**მაყურებელი:** 15 000

**რომა-მილანი 4:2**

**გოლები:** 1:0 ბურდისო (13), 2:0 ოსვალდო (23), 3:0 ლამელა (30), 4:0 ლამელა (61), 4:1 პაცინი (87-პენ.), 4:2 ბოიანი (88).
**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა – პიროსი, მარკინიოსი, ბურდისო, ბალცარეტი – ბრედლი, პიანიჩი, დე როსი – ლამელა (68. ფლორენცი), ოსვალდო (69. დესტრო), ტოტი (81. რომანიოლი).
**მილანი (4-3-3):** ამელია – დე შილიო, მექსე, იეპესი, კონსტანტი - მონტოლივო, ამბროზინი (77. მუნტარი), ნოჩერინო (56. პაცინი) – რობინიო (70. ბოიანი), ელ შაარავი, ბოატენგი.
**გაფრთხილება:** გოიკოეჩეა, ბურდისო – მექსე, იეპესი, ამბროზინი.
**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 11-13(7-10); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.
**მაყურებელი:** 60 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 18 | 14 | 2 | 2 | 39-11 | 44 |
| 2. ლაციო | 18 | 11 | 3 | 4 | 25-17 | 36 |
| 3. ფიორენტინა | 18 | 10 | 5 | 3 | 36-19 | 35 |
| 4. ინტერი | 18 | 11 | 2 | 5 | 30-19 | 35 |
| 5. ნაპოლი | 18 | 11 | 3 | 4 | 33-17 | 34 |
| 6. რომა | 18 | 10 | 2 | 6 | 41-29 | 32 |
| 7. მილანი | 18 | 8 | 3 | 7 | 34-26 | 27 |
| 8. პარმა | 18 | 7 | 5 | 6 | 25-24 | 26 |
| 9. კატანია | 18 | 7 | 4 | 7 | 26-27 | 25 |
| 10. უდინეზე | 18 | 5 | 9 | 4 | 26-26 | 24 |
| 11. ატალანტა | 18 | 7 | 3 | 8 | 18-27 | 22 |
| 12. კიევო | 18 | 6 | 3 | 9 | 20-29 | 21 |
| 13. ტორინო | 18 | 4 | 8 | 6 | 20-22 | 19 |
| 14. ბოლონია | 18 | 5 | 3 | 10 | 21-24 | 18 |
| 15. სამპდორია | 18 | 5 | 3 | 10 | 20-27 | 17 |
| 16. პესკარა | 18 | 5 | 2 | 11 | 15-35 | 17 |
| 17. კალიარი | 18 | 4 | 4 | 10 | 16-33 | 16 |
| 18. პალერმო | 18 | 3 | 6 | 9 | 15-27 | 15 |
| 19. ჯენოა | 18 | 3 | 5 | 10 | 18-29 | 14 |
| 20. სიენა | 18 | 4 | 5 | 9 | 16-26 | 11 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ნაპოლი – 2, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 14 – ელ შაარავი (მილანი); 13 - კავანი (ნაპოლი); 10 - კლოზე (ლაციო), დი ნატალე (უდინეზე), ლამელა (რომა); 9 - ოსვალდო (რომა).

### სერია B. XX ტური

**ჩეზენა-ბარი 1:1**
გოლები: 1:0 დეფრელი (3), 1:1 ბელომო (48).

**ბრეშა-ლივორნო 0:0**

**ჩიტადელა-ემპოლი 0:0**

**კროტონე-ვარეზე 1:0**
გოლი: 1:0 გაბიონეტა (89).

**გროსეტო-რეჯინა 0:1**
გოლი: 0:1 კომი (74).

**სასუოლო-ლანჩანო 2:0**
გოლები: 1:0 მისიროლი (28), 2:0 პავოლეტი (62).

**სპეცია-პადოვა 2:3**
გოლები: 0:1 ფარიასი (5), 1:1 ოკაკა ჩუკა (19), 1:2 კუტოლო (32), 1:3 ფარიასი (43), 2:3 გოლანი (63).

**ტერნანა-ასკოლი 1:2**
გოლები: 1:0 ნოლე (35), 1:1 ძაძა (55), 1:2 ბროსკო (60-საკ. კარში).

**ვერონა-იუვე სტაბია 1:0**
გოლები: 1:0 კაჩა (54-პენ.).

**ვიჩენცა-მოდენა 3:3**
გოლები: 1:0 კასტილია (4), 1:1 ლაზარევიჩი (30), 2:1 პინარდი (34-პენ.), 2:2 გრეკო (44-პენ.), 3:2 ჯაკომელი (50), 3:3 გროცი (84).

**ნოვარა-პრო ვერჩელი 2:0**
გოლები: 1:0 პერტიკონე (11), 2:0 პ. გონსალესი (90-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 20 | 15 | 3 | 2 | 39:12 | 48 |
| 2. ლივორნო | 20 | 13 | 4 | 3 | 40:25 | 43 |
| 3. ვერონა | 20 | 11 | 6 | 3 | 31:16 | 39 |
| 4. ჩიტადელა | 20 | 8 | 5 | 7 | 24:24 | 29 |
| 5 მოდენა | 20 | 8 | 7 | 5 | 28:21 | 29 |
| 6. ვარეზე | 19 | 8 | 6 | 5 | 22:22 | 29 |
| 7. პადოვა | 20 | 8 | 7 | 5 | 27:25 | 29 |
| 8. ემპოლი | 20 | 8 | 6 | 6 | 34:34 | 29 |
| 9. ბრეშა | 20 | 6 | 10 | 4 | 26:23 | 28 |
| 10. იუვე სტაბია | 20 | 7 | 5 | 8 | 29:29 | 26 |
| 11. სპეცია | 20 | 6 | 7 | 7 | 27:28 | 25 |
| 12. ასკოლი | 20 | 7 | 4 | 9 | 24:28 | 24 |
| 13. კროტონე | 20 | 6 | 6 | 8 | 19:22 | 22 |
| 14. ტერნანა | 20 | 5 | 6 | 9 | 19:24 | 21 |
| 15. ბარი | 20 | 7 | 6 | 7 | 30:26 | 20 |
| 16. ნოვარა | 20 | 6 | 5 | 9 | 26:25 | 19 |
| 17. ვიჩენცა | 20 | 3 | 10 | 7 | 23:28 | 19 |
| 18. რეჯინა | 20 | 5 | 7 | 8 | 19:24 | 19 |
| 19. ჩეზენა | 20 | 3 | 9 | 8 | 20:34 | 18 |
| 20. ლანჩანო | 20 | 2 | 10 | 8 | 16:29 | 16 |
| 21. პრო ვერჩელი | 20 | 4 | 3 | 13 | 16:33 | 15 |
| 22. გროსეტო | 19 | 3 | 8 | 8 | 22:29 | 11 |

*შენიშვნა: ბარი – 7, გროსეტო – 6 ქულა, ნოვარა – 4, რეჯინა – 3, პადოვა – 2, მოდენა – 2, კროტონე – 2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1 ქულა.*

ბომბარდირები: 14 — სანსოვინი (სპეცია); 11 — არდემანი (მოდენა), კაჩა (ვერონა), სილიგარდი (ლივორნო); 10 — სფორცინი (გროსეტო)

### სერია C1/A

კომო-კარპი 0:0, კუნეო-ფერალპიზალო 2:0, ლეჩე-ალბინოლეფე 0:0, პორტოგრუარო-პავია 2:2, სან მარინო-ლუმეცანე 1:1, ტრაპანი-კრემონეზე 0:0, ტრევიზო-რეჯანა 2:1, ტრიტიუმი-სუდტიროლი 1:1.

### სერია C1/B

პიზა-აველინო 0:3, ანდრია-პრატო 2:0, ბარლეტა-ბენევენტო 2:2, კატანძარო-გუბიო 5:2, ფროზინონე-ვიარეჯო 1:1, ლატინა-კარარეზე 1:0, ნოჩერინა-სორენტო 3:1, პერუჯა-პაგანეზე 3:0.

## უცხოური ფეხბურთი

ტრანსფერი



# ლანდრო ბასტიაში

"ლილიდან" წასული **მიკელ ლანდრო** უგუნდოდ დიდხანს არ ყოფილა – 33 წლის კიპერმა "ბასტიასთან" 6-თვიანი კონტრაქტი გააფორმა და კორსიკულ გუნდს სეზონის ბოლომდე დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ლანდრომ, ვისაც საფრანგეთის ნაკრებში 11 მატჩი აქვს ჩატარებული, "ლილთან" კონტრაქტი 6 დეკემბერს გაწყვიტა.

*"გვინდა, ჩვენს გუნდში მიკელ ლანდროს ჩარიცხვის შესახებ გამცნოთ. კონტრაქტი მომავალ კვირას გაფორმდება, ფეხბურთელის პრეზენტაცია კი 31 დეკემბრს შედგება,"* – წერია "ბასტიას" ოფიციალურ საიტზე.

კორსიკული კლუბი სატურნირო ცხრილში მე-13 პოზიციას იკავებს და გასავარდნ ზონაში მყოფ "სოშოს" 6 ქულით უსწრებს.

**ტატო ბაციკაძე**

### ჰოლანდია. ერედივიზიე. XVIII ტური

**ალკმაარი–ტვენტე 0:3**

გოლები: 0:1 ჩადლი (47), 0:2 კასტაინოსი (75), 0:3 ჩადლი (82).

**ჰერენვენი–ვიტესი 2:1**

გოლები: 1:0 ჯურიჩიჩი (30), 1:1 კაშია (39), 2:1 ფინბოგასონი (50).

**ჰერაკლესი–ზვოლე 1:1**

გოლები: 1:0 არმენტეროსი (15), 1:1 მოხტარი (27).

**დენჰააგი–ნაიმეგენი 2:0**

გოლები: 1:0 ტოორნსტრა (33), 2:0 ტოორნსტრა (87).

**ბრედა–პსვ 1:6**

გოლები: 0:1 ლენსი (11), 0:2 ლენსი (17), 1:2 ბუისი (18), 1:3 ვაინალდუმი (29), 1:4 იორგენსენი (37), 1:5 ნარსინგი (56), 1:6 ლოკადია (82).

**ფეიენოორდი–გრონინგენი 2:1**

გოლები: 1:0 პელე (58), 1:1 ვან დაიკი (77), 2:1 პელე (87).

**ვენლო–როდა 2:4**

გოლები: 1:0 ლინსენი (40), 2:0 მაგირე (51), 2:1 ლებედინსკი (53), 2:2 დელორჟი (56), 2:3 ფლედერუსი (58), 2:4 სუტჩუინჯუმი (65)

**უტრეხტი–აიაქსი 0:0**

**ვაალვაიკი–ვილემ II 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 18 | 13 | 1 | 4 | 60-18 | 40 |
| 2. ტვენტე | 18 | 12 | 4 | 2 | 35-14 | 40 |
| 3. აიაქსი | 18 | 10 | 7 | 1 | 42-20 | 37 |
| 4. ფეიენოორდი | 18 | 11 | 4 | 3 | 37-23 | 37 |
| 5. ვიტესი | 18 | 10 | 5 | 3 | 34-18 | 35 |
| 6. უტრეხტი | 18 | 8 | 6 | 4 | 24-19 | 30 |
| 7. ნაიმეგენი | 18 | 6 | 6 | 6 | 24-30 | 24 |
| 8. დენჰააგი | 18 | 5 | 8 | 5 | 30-29 | 23 |
| 9. ვაალვაიკი | 18 | 5 | 7 | 6 | 24-22 | 22 |
| 10. ჰერაკლესი | 18 | 4 | 8 | 6 | 35-35 | 20 |
| 11. გრონინგენი | 18 | 5 | 5 | 8 | 18-28 | 20 |
| 12. ალკმაარი | 18 | 4 | 6 | 8 | 23-32 | 18 |
| 13. ჰერენვენი | 18 | 4 | 6 | 8 | 27-38 | 18 |
| 14. ზვოლე | 18 | 3 | 6 | 9 | 17-29 | 15 |
| 15. როდა | 18 | 3 | 6 | 9 | 22-37 | 15 |
| 16. ვენლო | 18 | 3 | 6 | 9 | 22-38 | 15 |
| 17. ბრედა | 18 | 3 | 5 | 10 | 15-37 | 14 |
| 18. ვილემ II | 18 | 2 | 6 | 10 | 16-38 | 12 |

**ბომბარდირები:** 16 – ბონი (ვიტესი); 14 – ფინბოგასონი (ჰერენვენი), პელე (ფეიენოორდი); 11 – ალტიდორი (ალკმაარი); 10 – იმერსი (ფეიენოორდი).

**ტატო ბაციკაძე**



დუბლის ავტორი ტომ დე სუტერი

### ბელგია. ჟუპილერლიგა. XXI ტური

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-ლოკერენი | 2:3 |
| გენტი-შარლერუა | 1:2 |
| ს. ბრიუგე-ბევერენი | 2:2 |
| ბეერსხოტი-მეხელენი | 0:2 |
| მონსი-ვარეგემი | 1:1 |
| ლუვენი-ლიერსი | 2:2 |
| სტანდარდი-ბრიუგე | 1:3 |
| გენკი-ანდერლეხტი | 2:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 21 | 15 | 4 | 2 | 53-19 | 49 |
| 2. ვარეგემი | 21 | 12 | 5 | 4 | 34-22 | 41 |
| 3. ბრიუგე | 21 | 11 | 5 | 5 | 51-34 | 38 |
| 4. ლოკერენი | 21 | 11 | 4 | 6 | 38-30 | 37 |
| 5. სტანდარდი | 21 | 11 | 2 | 8 | 42-28 | 35 |
| 6. გენკი | 21 | 9 | 8 | 4 | 42-32 | 35 |
| 7. კორტრიიკი | 21 | 8 | 4 | 9 | 24-23 | 28 |
| 8. მონსი | 21 | 8 | 4 | 9 | 35-41 | 28 |
| 9. ლუვენი | 21 | 6 | 10 | 5 | 38-32 | 28 |
| 10. მეხელენი | 21 | 7 | 5 | 9 | 30-31 | 26 |
| 11. შარლერუა | 21 | 7 | 3 | 11 | 21-38 | 24 |
| 12. გენტი | 21 | 5 | 7 | 9 | 24-33 | 22 |
| 13. ბევერენი | 21 | 5 | 6 | 10 | 21-36 | 21 |
| 14. ბეერსხოტი | 21 | 5 | 3 | 13 | 23-42 | 18 |
| 15. ლიერსი | 21 | 3 | 9 | 9 | 22-39 | 18 |
| 16. ს. ბრიუგე | 21 | 3 | 5 | 13 | 26-44 | 14 |

**ლევან ბიბილაშვილი**

## ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი

# საჩინო – [illegible]

# ახალი თაობის ამბიცია

**სპორტკომპლექს „არენაში" ამ უქმეებზე ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავეთა საქართველოს პირველობა ჩატარდა, რომელმაც ახალ ოლიმპიურ ციკლსაც დაუდო სათავე. როგორც ეტყობა, უახლოეს წლებში მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებებსაც უნდა ველოდოთ.**



თავდაპირველად იმას გეტყვით, რომ ამ ნაკრებიდან ლონდონის ოლიმპიადის ორივე მედალოსანს ხელი მოეცარა - თამაშების ვიცე-ჩემპიონი **რევაზ ლაშხიც** (60) უმედლოდ დარჩა და - ბრინჯაოს მედალოსანი **მანუჩარ ცხადაიაც** (66). ოღონდ ამჯერად ორივე ახალ წონაში გამოვიდა, თუმცა ლაშხმა თუ პირველად სცადა ბედი 66-ში, ცხადაია ადრეც ხშირად ჭიდაობდა 74-ში და წლეულს იქ საქართველოს ჩემპიონიც გახდა და ევროპის ვერცხლის მედალოსანიც. განსხვავება იმაშიცაა, რომ ლაშხი არც აპირებს 66-ში გადასვლას (ყოველ შემთხვევაში, სადღეისოდ ეს საკითხი პრინციპულად არ დგას), ცხადაიამ კი ეს საბოლოოდ გადაწყვიტა. თუმცა ჯერ ამან შედეგი ვერ მოუტანა - **გენადი გოგიშვილთან** დამარცხდა, რომელმაც მერე საკმაოდ კარგად მოასპარეზე **უშანგი ჩიტიაშვილთან** წააგო და ოლიმპიური პრიზიორიც გავარდა.

აქვე ერთსაც ვიტყვით - მათი წაგებიდან ჯერჯერობით ტრაგედიას ნუ შევქმნით. ორივემ ოლიმპიადაზე დიდი ფსიქოლოგიური სტრესი გადაიტანა და ჯერ კიდევ სარეაბილიტაციო პერიოდს გადიან. სეზონიც ახლა იწყება და ჯერ არ არიან ფორმაში, ოღონდ ევროპის ჩემპიონატიც კარს მოგვადგა და უკვე უკან დასახევი გზაც აღარ აქვთ. მით უფრო, კონტინენტის პირველობა 19-24 მარტს თბილისში ტარდება და საკუთარი ქომაგის წინაშე გამოსვლა ორმაგად მეტს ავალებთ.

„თავისუფლებისა" თუ ძიუდოისტებისა არ იყოს, ახალმა თაობამ ბერძენ-რომაელებშიც ვაჟკაცურად იბრძოლა და ომახიანი პრეტენზია განაცხადა. ალბათ, არც ამაშია დიდად გასაკვირი რამე. ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე ჩანდა, რომ ბერძენ-რომაელებს ძალიან კარგი თაობა მოესწროთ, თუმცა დროში ცოტა დააგვიანეს და სალონდონედ ლიდერებში დამკვიდრება ვერ მოასწრეს. სამაგიეროდ, ისინი ასაკობრივ ტურნირებში იმდენად კარგად გამოდიოდნენ, უფროსებში მათი წარმატება დროის საკითხი იყო. ეტყობა, ეს დრო ახალ ოლიმპიურ ციკლში დადგა, რომელიც ბევრ საინტერესო პროცესს გვპირდება.

უმეტეს წონებში სწორედ ახალგაზრდებმა გაიმარჯვეს, თუმცა არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩემპიონატის აღმოჩენად სენაკელი **საჩინო დავითაია** (66) იქცა - რაც ამ ბიჭმა იომა და იბრძოლა; რაც მან შემართება გამოავლინა, ბარე ორ-სამ ბევრად გამოცდილსაც შეშურდებოდა. რაც მთავარია, სწორედ მან დაამარცხა ლაშხი ძირითად დროში - 2:0; 1:0. საერთოდ, დავითაიამ ყველა შეხვედრა ორ პერიოდში მოიგო და დამატებითი არსად დასჭირვებია. პირველ ორ შეხვედრაში თითო პერიოდი 7:1 და 7:2 მოიგო, რაც კარგად ადასტურებს, რაოდენ ტექნიკურად იჭიდავა და რამდენად ბევრი ქულა დააგროვა. საინტერესოა, რომ ამ ორ შეხვედრაში მეტოქეებად **ამირან შავაძე** და **არჩილ თურმანიძე** ჰყავდა, რომლებიც (მეტადრე კი - თურმანიძე) თავად აცხადებდნენ ამ წონაში ლიდერობაზე პრეტენზიას. მან ტურნირი ჩინებული სტატისტიკით მოიგო - 30:4. ის 4 ქულაც სწორედ იმ პირველ ორ ბრძოლაში დაკარგა, თორემ მერე უდანაკარგოდ გაიარა გზა ოქრომდე. ფინალში **ედნარ შავაძესაც** დამაჯერებლად მოუგო - პირველ პერიოდში ჩოქბჯენში ჩინებულად დაიცვა თავი და ქულა არ დაუთმო, მეორეში კი იმავე მდგომარეობიდან მშვენივრად დაატრიალა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

საჩინო დავითაია 21 წლისაა და ორჯერ იჭიდავა ახალგაზრდებში ევროპის პირველობის ფინალში. პარალელურად ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის შარშანდელი გამარჯვებულიცაა. ის რამდენიმე წელიწადია, თბილისში ვარჯიშობს თავის მოგვარე **დავით დავითაიასთან**.

კიდევ ერთი ახალგაზრდა, რომელმაც კარგი ჭიდაობით გამოიჩინა თავი, 20-წლამდელებში ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი, გარდაბნელი **რობერტ ქობლიაშვილია**. ამ წონაში არც ლონდონის ოლიმპიადაზე ნაჭიდავები **ვლადიმერ გეგეშიძე** გამოდიოდა და არც ქუთაისელი **დავით ჩაკვეტაძე** (ამ ბიჭის საკითხი ქართული სპორტის კიდევ ერთი პრობლემაა - რუსეთში მიდის კარიერის გასაგრძელებლად, რასაც უახლოეს დღეებში საგანგებოდ დავუბრუნდებით). საინტერესოა, რას იზამდა ქობლიაშვილი მათთან პაექრობაში, მაგრამ ახლა თავისი შანსი კარგად გამოიყენა და დამაჯერებლად იჭიდავა. საინტერესოა, რომ მან ახალი თაობის რამდენიმე ლიდერი დაამარცხა, რომლებიც წონის ლიდერობის ასევე დიდი ამბიციით გამოდიან - პირველივე შეხვედრაში ახალგაზრდებში მსოფლიოს წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი (ოღონდ - 74-ში) **თორნიკე ძამაშვილი** ორი პერიოდის ჯამში 3:0 დაჯაბნა, ნახევარფინალში კი ასევე 20-წლიანთა შორის მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონ **რევაზ ნადარეიშვილსაც** იმავე ანგარიშით სძლია.

ამ წონის ფინალში ოზურგეთელი **ვალერი მურვანიძე** გავიდა, რაც მოულოდნელ შედეგად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ისიც სათქმელია, რომ წონის ყველა ლიდერი ბადის მეორე მხარეს აღმოჩნდა. ქობლიაშვილი ფინალშიც საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, თუმცა მურვანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეორე პერიოდში ჩოქბჯენში კარგად დაიცვა თავი და პერიოდებში ანგარიში გაათანაბრა. ოღონდ ისიც სათქმელია, რომ პირველ პერიოდში ვერც თვითონ დაატრიალა მეტოქე. ალბათ იმიტომ, რომ ხელი სტკიოდა, ქობლიაშვილს კი დამატებით დროში წარმატება სწორედ ჩოქბჯენში ძლიერმა ჭიდაობამ მოუტანა, რამაც მურვანიძე ფსიქოლოგიურად გატეხა და გარდაბნელმა შეხვედრა ლამაზი გდებებით დაასრულა.

ახალი თაობიდან და ოლიმპიური გუნდიდან აღსანიშნავია **ზურაბ დათუნაშვილიც** (74), რომელმაც ფავორიტის იმიჯი სრულად გაამართლა. ამ წონის მსგავსად, ახალგაზრდების ფინალი გაიმართა მძიმეშიც, თუმცა ნაადრევად შეწყდა - 20-წლამდელთა შორის ევროპის წლევანდელმა ვიცე-ჩემპიონმა **ლევან არაბულმა** ხელი იტკინა და ბრძოლა ველარ გააგრძელა. გადამწყვეტ შეხვედრაში მისი მეტოქე არა ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი და წლევანდელი ვერცხლის მედალოსანი, ქუთაისელი **შოთა გოგისვანიძე** იყო, არამედ მისი უფროსი ძმა **სერგო გოგისვანიძე**, თავად შოთა კი ნახევარფინალში არაბულთან დამარცხდა და საბოლოოდ მესამეზე გავიდა. 55-შიც ახალგაზრდების ზეობა ვიხილეთ, ძველებმა კი გადამწყვეტი უპირატესობა მხოლოდ ორ წონაში მოიპოვეს - 60-ში **ლაშა გოგიტაძემ** გაიმარჯვა, 96-ში - ევროპის პრიზიორმა **სოსო ჯაბიძემ**. თუმცა ორივეგან ფინალში ახალგაზრდული ნაკრების წევრი გავიდა - **ქემალ ხარაბაძე** (60) შარშან მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი გახდა, **ირაკლი ქაჯაიამ** კი ამავე ასაკში წლეულს ევროპაზეც და მსოფლიოზეც მესამე იყო.



**ქვარცხლბეკი**

**55 კგ.** 1. ედნარ შავაძე; 2). ზურაბ კეკელიძე; 3). ნიკა ცეცხლაძე, გიორგი გვენეტაძე (ოთხივე - აჭარა).

**60 კგ.** 1). ლაშა გოგიტაძე (ქუთაისი); 2). ქემალ ხარაბაძე; 3). რამაზ სურმანიძე (ორივე - აჭარა), ირაკლი ჭოჭუა (თბილისი).

**66 კგ.** 1). საჩინო დავითაია (სენაკი); 2). მარადი აბულაძე (აჭარა); 3). გოგიტა გოგიბერაშვილი (სამტრედია), ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი).

**74 კგ.** 1). ზურაბ დათუნაშვილი (თბილისი); 2). უშანგი ჩიტიაშვილი; 3). შმაგი გულიაშვილი (ორივე - გარდაბანი), გენადი გოგიშვილი (თბილისი).

**84 კგ.** 1). რობერტ ქობლიაშვილი (გარდაბანი); 2). ვალერი მურვანიძე (ოზურგეთი); 3). გიორგი ცირეკიძე (ქუთაისი), რევაზ ნადარეიშვილი (თბილისი).

**96 კგ.** 1). სოსო ჯაბიძე (ბაღდათი); 2). ირაკლი ქაჯაია; 3). მიხეილ ქაჯაია (ორივე - წყალტუბო), ჯონი მინაძე (თბილისი).

**120 კგ.** 1). სერგო გოგისვანიძე (ქუთაისი); 2). ლევან არაბული (თბილისი); 3). შოთა გოგისვანიძე (ქუთაისი), რამაზ დევაძე (აჭარა).

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი

სუპერლიგა 2012-13. XI ტური

# ოთხთავიანი სუპერლიგა

## სოხუმმა არც აცხელა, არც აცივა - სენსაცია!

| სამედიცინო | შსს აკადემია |
|---|---|
| 44 | 88 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სამედიცინო | 8 | 11 | 7 | 18 |
| შსს აკადემია | 22 | 22 | 23 | 21 |

| სამედიცინო | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯიქია | 7 | 2 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 |
| არწივიძე | 12 | 1 | 2 | 2 | 1 | 0 | 7 |
| შიოლაშვილი | 9 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| გაგისონია | 10 | 2 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 |
| ლ. რევაზაშვილი | 26 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 |
| გაფრინდაშვილი | 21 | 2 | 3 | 3 | 2 | 0 | 3 |
| მაისურაძე | 13 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფირიაშვილი | 29 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 7 |
| გ. რევაზაშვილი | 34 | 6 | 1 | 3 | 0 | 0 | 16 |
| კორძაძე | 10 | 3 | 4 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ჭიჭვეიშვილი | 8 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ელიაძე | 17 | 2 | 0 | 2 | 0 | 0 | 5 |

| შსს აკადემია | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიტაშვილი | 24 | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 6 |
| ვონი | 28 | 3 | 2 | 2 | 3 | 0 | 13 |
| როგავა | 10 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ბოქოლიშვილი | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| ლონდარიძე | 14 | 6 | 4 | 3 | 1 | 0 | 9 |
| პრევიტი | 22 | 11 | 6 | 2 | 3 | 0 | 7 |
| იმნაძე | 10 | 4 | 1 | 2 | 0 | 0 | 9 |
| გოგალაძე | 10 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 5 |
| ლომოური | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ანთაძე | 28 | 10 | 2 | 2 | 0 | 1 | 8 |
| ბექაური | 21 | 2 | 1 | 1 | 2 | 0 | 7 |
| არჩიბეკი | 22 | 12 | 2 | 1 | 0 | 0 | 18 |

**მსაჯები:** *მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე, მიხეილ ვართანოვი*

კურტის მილეიჯი ირაკლი მიქელაძის წინააღმდეგ *თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*



ხუთშაბათის ნომერში ვიმსჯელეთ ალბათობაზე, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იყო სატურნირო ცხრილის სათავეში მყოფ ოთხ გუნდს თანაბარი ქულები მოეგროვებინა. ამისთვის საჭირო იყო „არმიას" „ოლიმპი" დაემარცხებინა, ხოლო „რუსთავს" სტუმრად ბათუმში ემარჯვა. ასეც მოხდა - „არმიამ", „ოლიმპმა", „შსს აკადემიამ" და „რუსთავმა" 18-18 ქულა დააგროვეს (8-8 მოგება-2-2 მარცხი). ისღა დაგვრჩენია, ციფრებში ჩავეფლოთ და გავარკვიოთ ფიბა-ს წესების მიხედვით რომელია პირველი და რომელი - მეოთხე. გუნდების განაწილება იანვარში გასამართ ქორქია-საკანდელიძის მემორიალისა და საქართველოს თასის წილისყრაზე ხომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

როცა ორ და მეტ გუნდს თანაბარი ქულები უგროვდება, კლასიფიკაციისას პირველ რიგში, ურთიერთშეხვედრების შედეგები (მოგება-წაგება) უნდა გავითვალისწინოთ. ზედა კვარტეტის ბინადართაგან 2-2 მოგება აქვთ „შსს აკადემიასა" და „ოლიმპს", თითო - „არმიასა" და „რუსთავს". ასე და ამგვარად, პირველ-მეორეზე შსს ან „ოლიმპი" უნდა იყოს. ამ გუნდების მატჩი ოლიმპელთა გამარჯვებით დასრულდა - 71:62. ჰოდა, სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი „ოლიმპმა" დაიკავა, მეორე - „შსს აკადემიამ".

ურთიერთშეხვედრაში ნაჩვენები უკეთესი შედეგის წყალობით (79:77) „რუსთავმა" „არმიას" გადაასწრო და მესამე პოზიციაზე დამკვიდრდა.

მეტი თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ ცხრილს:

| გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | * | 71:62 | 76:65 | 62:93 | 5 |
| 2. შსს აკადემია | 62:71 | * | 88:44 | 80:69 | 5 |
| 3. რუსთავი | 65:76 | 44:88 | * | 79:77 | 4 |
| 4. არმია | 93:62 | 69:80 | 77:79 | * | 4 |

როგორც ხედავთ, საქართველოს 21-ე ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი საინტერესოდ დასრულდა. ამის თქმა უშუალოდ მე-11 ტურის მატჩების მიხედვითაც შეიძლება, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, დაფიქსირდა ხმაურიანი სენსაცია. დანარჩენს ქვემოთ წაიკითხავთ.

### კადეტი სუპერლიგაში

„შსს აკადემია" ძალიან მიეჩვია ორმაგი სხვაობებით მოგებას. თანაც, მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ფავორიტს ეთამაშება თუ აუტსაიდერს: შაბათს „სამედიცინოსაც" სწორედ ისეთი ანგარიშით სძლია, როგორითაც მეოთხე ტურში „რუსთავს" - 88:44.

მატჩის სურათზე ვერაფერს ვიტყვით, ისედაც ნათელია - აკადემიელები ორი თავით მაღლა იდგნენ. შსს-ში არაერთი ახალგაზრდა კალათბურთელია, თუმცა მწვრთნელი **გიორგიოს კეცელიდისი** ფარმ-კლუბებიდან ხშირად ათამაშებს ჭაბუკებს - „სამედიცინოსთან" 15 წლის **ლევან გოგალაძეს** 10 წუთით ენდო და დაგვანახა, რომ საქართველოს ნაკრებს ნიჭიერი მომავალი თაობა ეზრდება. უფრო ადრე შსს-ში კადეტთა ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა **ვილი ისიანმა** ითამაშა.

### მაღალ ტემპში

შარშან, დეკემბრის მთავარი მატჩი „არმიასა" და ოლიმპს" შორის შედგა. ბოლო წამებზე სამქულიანებში არმიელი **რიჩარდსონი** და ოლიმპელი **სლიუკა** გაეჯიბრნენ და გამარჯვება „არმიას" დარჩა. წლეულს **კოტე ტულუშს** შარშანდელივით უძლეველი შემადგენლობა არა ჰყავს და „ოლიმპთან" ამჯერადაც თანაბარ თამაშს ველოდით. ვიხილეთ კიდეც, ოღონდ - პირველ ტაიმში, რომლის ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანით **კურტის მილეიჯმა** „არმიას" უპირატესობა 12 ქულამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში სხვაობა ფარგალივით იშლებოდა - მაღალ ტემპში მოთამაშე ძალოვნებს წითელფორმიანებმა ვერაფერი მოუხერხეს. მოხსნებში კი, „არმიამ" ბევრისთვის მოულოდნელად დიდი უპირატესობით იმარჯვა - 61:43. წინა ხაზში „ოლიმპის" მთავარი იმედი **სტეფან მილოშევიჩი** ჩვეული ეფექტურობით ვერ გაისარჯა. როგორც

| სტუ | დინამო |
|---|---|
| 71 | 78 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სტუ | 13 | 16 | 17 | 25 |
| დინამო | 21 | 20 | 19 | 18 |

| სტუ | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩაჩიბაია | 20 | 13 | 2 | 0 | 0 | 1 | 7 |
| თევზაძე | 23 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 6 |
| კვეტენაძე | 24 | 9 | 0 | 2 | 0 | 0 | 13 |
| კორკოტაძე | 23 | 5 | 3 | 1 | 1 | 0 | 16 |
| მინაშვილი | 27 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 9 |
| მაჩალაძე | 15 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 | 5 |
| პირველაშვილი | 17 | 6 | 4 | 1 | 0 | 0 | 7 |
| დ. დვალიშვილი | 11 | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კუჭავა | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ჯანაშია | 24 | 2 | 2 | 2 | 0 | 1 | 8 |
| ქორიძე | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |

| დინამო | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კარიმი | 37 | 5 | 6 | 1 | 4 | 0 | 25 |
| ჩიკვილაძე | 35 | 11 | 1 | 2 | 2 | 0 | 10 |
| ლილუაშვილი | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კოგაიძე | 14 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 | 3 |
| ნინიაშვილი | 22 | 4 | 0 | 2 | 1 | 0 | 6 |
| კეიდია | 17 | 4 | 2 | 2 | 1 | 0 | 7 |
| ორმოცაძე | 15 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გელაზონია | 6 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 | 4 |
| კარტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კლიმენი | 37 | 14 | 4 | 1 | 1 | 0 | 21 |

**მსაჯები:** *დავით ბერეკაშვილი, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი*

მწვრთნელმა, **გია კაზანჯიანმა** გვითხრა, სტეფანს ტრავმის გამო ორი ვარჯიში გაუცდა და „არმიასთან" მოედანზე გასვლა ბოლო მომენტამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

*- მეტოქემ 47 ქულა სწრაფი შეტევით ჩააგდო. ამით ყველაფერია ნათქვამი. ვერც პერიმეტრიდან ტყორცნებში ვივარგეთ, არმიელმა უილსონმა 4 სამქულიანი გამოიყენა, მაშინ, როცა მთელმა „ოლიმპმა" - 5,* - აღნიშნა გია კაზანჯიანმა და დასძინა, რომ ტრავმებისა და დარბაზში გათბობის სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო მის გუნდს მზადების პროცესში ხელი შეეშალა.

### ვახტანგი და რიჩარდი

სეზონის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაცხადდა სუპერლიგაში თამაშის მსურველი რამდენიმე გუნდის ვინაობა. ყველაზე გვიან „სოხუმის" მონაწილეობა გადაწყდა... საბედნიეროდ!

ამ გუნდში, მართალია, ფინანსურად დალხენილი ვითარება არ არის, მაგრამ ძირითადად ისეთი კალათბურთელები არიან შეკრებილნი, რომლებსაც საკუთარი შესაძლებლობები აქვთ დასამტკიცებელი. პირველივე წრის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ: **ვახტანგ ქადარიამ** და **ირაკლი ჩლაიძემ** დაამტკიცეს, რომ სუპერლიგაში უმაღლეს დონეზე შეუძლიათ თამაში. დანარჩენებიც რომ კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებენ, ამაშიც ბევრი დაგვეთანხმება.

გაცილებით ძლიერ „ქუთაისთან" პლეიმეიქერმა ჩლაიძემ შეუცვლელად ითამაშა, პირველ ტაიმში 18 ქულა ჩააგდო. გარდა ამისა, თამაშის ორგანიზებასაც კარგად ახერხებდა. მეორე ტაიმის რამდენიმე ეპიზოდში დაღლა რომ დაეტყო (ამასთან, პირველ ტაიმთან შედარებით გაცილებით მჭიდროდ მეურვეობდა **თემურ ბაბუნაშვილი**), მსროლელის პოზიციაზე გადავიდა. ხოლო ბოლო წამებზე, როცა თამაშის ბედის გადაწყვეტა იყო საჭირო, ირაკლიმ ლიდერობა კვლავ საკუთარ თავზე აიღო და სოხუმელები არც გაუწბილებია.

რაც შეეხება ვახტანგ ქადარიას, მას გამომცდელად ჰყავდა **რიჩარდ მათიაშვილი**, რომელიც სუპერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრია. საინტერესო სანახავი იყო მათი ორთაბრძოლა.

>> მე-13 გვერდზე

| ბათუმი | რუსთავი |
|---|---|
| 75 | 107 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ბათუმი-რსუ | 24 | 14 | 20 | 17 |
| რუსთავი | 26 | 23 | 31 | 27 |

| ბათუმი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ემირიძე | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| მაისურაძე | 30 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 12 |
| რამიშვილი | 38 | 4 | 7 | 4 | 2 | 0 | 15 |
| ნანიტაშვილი | 34 | 2 | 7 | 6 | 1 | 0 | 10 |
| ელიაშვილი | 21 | 4 | 0 | 0 | 2 | 1 | 6 |
| სიგუა | 12 | 2 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 |
| ყველაშვილი | 33 | 3 | 0 | 1 | 4 | 0 | 21 |
| კეშელავა | 22 | 5 | 1 | 1 | 1 | 0 | 8 |
| კოკოშინაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

| რუსთავი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 32 | 13 | 7 | 5 | 4 | 0 | 25 |
| ცეკვავა | 24 | 3 | 5 | 4 | 2 | 0 | 16 |
| აბაიშვილი | 12 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 5 |
| ჩაჩანიძე | 7 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 11 |
| გუგავა | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნელსონი | 30 | 13 | 2 | 2 | 2 | 1 | 17 |
| ჭოჭუა | 27 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 16 |
| ტუჯანი | 25 | 9 | 3 | 3 | 1 | 3 | 9 |
| ათანელიშვილი | 19 | 5 | 1 | 3 | 1 | 0 | 6 |
| მაჭავარიანი | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| არაბული | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |
| ხმელიძე | 5 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 |

**მსაჯები:** *მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე*

| არმია | ოლიმპი |
|---|---|
| 93 | 62 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| არმია | 19 | 24 | 27 | 23 |
| ოლიმპი | 16 | 15 | 11 | 20 |

| არმია | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 27 | 6 | 7 | 0 | 2 | 0 | 10 |
| ბაბიაშვილი | 10 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ა. ბოისა | 20 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4 |
| მილეჯი | 29 | 11 | 6 | 1 | 2 | 0 | 24 |
| წიწივაძე | 11 | 2 | 1 | 2 | 1 | 0 | 6 |
| ველზომი | 16 | 5 | 2 | 0 | 0 | 3 | 2 |
| საყვარელიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფეისონი | 18 | 5 | 0 | 1 | 1 | 2 | 10 |
| შარაბიძე | 16 | 4 | 1 | 2 | 0 | 0 | 4 |
| ჯგერენაია | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| უილსონი | 29 | 15 | 1 | 0 | 2 | 1 | 26 |
| ფარლალავა | 10 | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 4 |

| ოლიმპი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტომარაძე | 15 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 5 |
| სოკი | 25 | 2 | 5 | 1 | 1 | 0 | 9 |
| ბერიშვილი | 23 | 8 | 0 | 5 | 0 | 1 | 6 |
| მიქელაძე | 14 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 |
| თენიეშვილი | 26 | 5 | 3 | 2 | 1 | 0 | 11 |
| ფაცაცია | 26 | 7 | 3 | 2 | 0 | 0 | 9 |
| ტუტუსი | 23 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 8 |
| ა. დვალიშვილი | 16 | 3 | 0 | 0 | 1 | 0 | 6 |
| ჰოგერი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| მილოშევიჩი | 26 | 9 | 2 | 1 | 0 | 0 | 6 |

**მსაჯები:** *მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი*

| სოხუმი | ქუთაისი |
|---|---|
| 90 | 86 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სოხუმი | 26 | 26 | 16 | 22 |
| ქუთაისი | 18 | 27 | 17 | 24 |

| სოხუმი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნაზმიევი | 29 | 8 | 3 | 1 | 1 | 0 | 14 |
| ჩლაიძე | 40 | 5 | 3 | 3 | 2 | 0 | 27 |
| კოპალიანი | 26 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 12 |
| თავართქილაძე | 10 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 3 |
| დეკანოიძე | 24 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 9 |
| ბააკაშვილი | 29 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 3 |
| ქადარია | 37 | 16 | 4 | 5 | 1 | 0 | 20 |
| ბეშქენაძე | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |

| ქუთაისი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 30 | 3 | 5 | 1 | 1 | 0 | 18 |
| ბაბუნაშვილი | 30 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 4 |
| დიდია | 26 | 3 | 1 | 3 | 0 | 0 | 6 |
| კვიმსაძე | 18 | 1 | 2 | 0 | 1 | 0 | 10 |
| დ. ბარბაქაძე | 22 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 14 |
| ლომინაშვილი | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გ. ბარბაქაძე | 30 | 6 | 1 | 2 | 2 | 0 | 13 |
| მათიაშვილი | 36 | 15 | 2 | 5 | 2 | 0 | 21 |

**მსაჯები:** *ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი*

## კალათბურთი

« მე-12 გვერდიდან

რიჩარდმა საბოლოოდ 21 ქულა და 15 მოხსნა მოაგროვა, ხოლო ვახტანგმა 20 ქულა და 16 მოხსნა. გადამწყვეტ მომენტში ქადარია ისეთი ენერგიულობით ირჯებოდა, თითქოს საწყისი წუთები ყოფილიყო. მან ჯამში მეტოქის ფარიდან ასხლეტილი 9 ბურთი მოხსნა და დიდი წვლილი შეიტანა „სოხუმის" გამარჯვებაში, რომელსაც სენსაციის „იარლიყი" უნდა მივაკრათ. ვახტანგი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეთ.

როგორ განვითარდა მოვლენები მეოთხე პერიოდში, ქრონოლოგია მოგვითხრობს:

| | |
|---|---|
| 09:12 | გ. ბარბაქაძე (ქუთაისი) 2ქ - 68:64 |
| 08:59 | ჩლაიძე (სოხუმი) 1+1ქ - 70:64 |
| 08:42 | გ. ბარბაქაძე (ქუთაისი) 2ქ - 70:66 |
| 08:25 | დეკანოიძე (სოხუმი) 3ქ - 73:66 |
| 08:10 | ფაშაევი (ქუთაისი) 3ქ - 73:69 |
| 07:46 | დ. ბარბაქაძე (ქუთაისი) 2ქ - 73:71 |
| 07:07 | ფაშაევი (ქუთაისი) 2ქ - 73:73 |
| 06:46 | ჩლაიძე (სოხუმი) 2ქ - 75:73 |
| 06:01 | ფაშაევი (ქუთაისი) 2ქ - 75:75 |
| 05:13 | ქადარია (სოხუმი) 2+1ქ - 78:75 |
| 04:37 | ქადარია (სოხუმი) 1+1ქ - 80:75 |
| 04:21 | მათიაშვილი (ქუთაისი) 2ქ - 80:77 |
| 03:28 | დ. ბარბაქაძე (ქუთაისი) 1+1ქ - 80:79 |
| 03:07 | დ. ბარბაქაძე (ქუთაისი) 2ქ - 80:81 |
| 02:42 | ქადარია (სოხუმი) 2ქ - 82:81 |
| 02:21 | მათიაშვილი (ქუთაისი) 2ქ - 82:83 |
| 01:52 | ქადარია (სოხუმი) 2ქ - 84:83 |
| 01:35 | კოპალიანი (სოხუმი) 2ქ - 86:83 |
| 01:29 | ფაშაევი (ქუთაისი) 1+1ქ - 86:85 |
| 01:12 | ჩლაიძე (სოხუმი) 1ქ - 87:85 |
| 01:04 | დ. ბარბაქაძე (ქუთაისი) 1ქ - 87:86 |
| 00:18 | კოპალიანი (სოხუმი) 2ქ - 89:86 |
| 00:06 | ნაზმიევი (სოხუმი) 1ქ - 90:86 |

### ტრავმების ეპიდემია

„დინამოს" ყოველი მატჩის მიმოხილვაში ტრავმებზე გვიწევს წერა. სამწუხაროდ, ამ თემას ვერც ამჯერად ავუვლით გვერდს - სტუ-სთან დაპირისპირების დასაწყისშივე კოჭი იტკინა გუნდის სნაიპერმა **ქიენ კარტერმა** და მატჩის გაგრძელება ვერ შეძლო. სამაგიეროდ ნარინჯისფრებს („დინამოს" ფორმის ფერი) დაუბრუნდათ გამთამაშებელი **ლამარ ქარიმი**, რომელიც შეხვედრის ბომბარდირი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ დინამოელები 20 ქულითაც დაწინაურდნენ, მეოთხე პერიოდში სტუ-მ სხვაობის 4 ქულამდე შემცირება შეძლო, მაგრამ სეზონის პირველ გამარჯვებას მაინც ვერ მიაღწია.

### გეგმურად

„ბათუმმა" და „რუსთავმა" ზღვისპირეთში კვირას ითამაშეს. წინა დღისით ცხრილის სათავეში სიტუაციის განხილვისას ვამბობდით: თუ „რუსთავმა" ბათუმში წააგოო... მაგრამ ჩვენც ვხვდებოდით, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან დღეს ქვემოქართლელებს აჭარლებზე უკეთესი გუნდი ჰყავთ.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 10 | 8 | 2 | 865/726 | 18 |
| 2. შსს აკადემია | 10 | 8 | 2 | 830/660 | 18 |
| 3. რუსთავი | 10 | 8 | 2 | 790/696 | 18 |
| 4. არმია | 10 | 8 | 2 | 894/651 | 18 |
| 5. ქუთაისი | 10 | 6 | 4 | 782/732 | 16 |
| 6. დინამო | 10 | 6 | 4 | 782/748 | 16 |
| 7. თსუ | 10 | 4 | 6 | 693/783 | 14 |
| 8. ბათუმი-რსუ | 10 | 3 | 7 | 704/810 | 13 |
| 9. სოხუმი | 10 | 3 | 7 | 779/858 | 13 |
| 10. სამედიცინო | 10 | 1 | 9 | 604/867 | 11 |
| 11. სტუ | 10 | 0 | 10 | 640/832 | 10 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ლეგიონერი

# თორნიკეს სამმაგი ეფექტი: 22 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა

## ბობ მაქკინონი: შენგელია NBA-ს სოლიდური ფორვარდი იქნება




**თორნიკე შენგელია** „ბრუკლინ ნეთსის" მწვრთნელმა **ეივერი ჯონსონმა** განვითარების ლიგაში გაუშვა და თქვა - 2-3 თამაშის შემდეგ უკან დავიბრუნებთო. თუმცა „ბეიჰოუქსი"-„სპრინგფილდის" მატჩში თოკომ იმდენად ეფექტურად ითამაშა, რომ იგი უმალ „ნეთსში" დააბრუნეს და „ფილადელფიასთან" გასამართი მატჩისთვის მზადების პროცესში ჩართეს (დღეს გამთენიისას უნდა გამართულიყო).

მაინც რა გააკეთა შენგელიამ? - იკითხავთ. ჯერ მატჩის ანგარიშს მოგახსენებთ - თოკოს „სპრინგფილდმა" 119:127 დათმო. ქართველმა თავდამსხმელმა 42 წუთი ითამაშა, 22 ქულა, 10 მოხსნა და 12 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. სამ კომპონენტში 10-იანის ზღვრის გადაბიჯება იშვიათი შემთხვევაა და სამმაგი დუბლი ეწოდება. გარდა ამისა, მის ანგარიშზე იყო 3 ჩაჭრა და ამდენივე დაფარება. შენგელიამ 6-დან 2 სამქულიანი, 9-დან 4 ორქულიანი და 13-დან 8 საჯარიმო გამოიყენა.

განვითარების ლიგაში ქართველთან ერთად გადასულმა **ტაიშონ ტეილორმა** 32 ქულას მოუყარა თავი.

■ ■ ■

აი, რა დაწერა გაზეთ „ნიუ იორკ პოსტის" ჟურნალისტმა **ტიმ ბონტამპსმა,** რომელმაც „სპრინგფილდის" მატჩი იხილა:

*„შენგელიამ დაგვანახა, რომ მრავალმხრივი კალათბურთელია. საზაფხულო ლიგის შემდეგ სწორედ ამიტომ აიყვანა იგი „ბრუკლინ ნეთსმა". ტანმაღალია (207 სმ), თუმცა ამის მიუხედავად ბურთს კარგად ფლობს. შენგელიას შესრულებით ვიხილეთ ეფექტური პასები, ფარქვეშ შესვლები და ლამაზად, ტრიალში ჩაგდებული ბურთები. მარჯვენა ხელით ჩატენვა კი მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული მომენტი იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ფორვარდი არაერთხელ დარჩა თავისუფალ პოზიციაში, თუმცა ბურთი არ მიუღია."*

*- ძნელია მატჩის სათადარიგოთა სკამიდან ყურება. თუმცა, „ბრუკლინში" რომ გადავდიოდი, ვიცოდი, თავიდან დიდი სათამაშო დრო არ მექნებოდა. ვცდილობ ვისწავლო, NBA-ს სათანადოდ ავუღო ალღო, რათა თამაშის შანსი რომ გამომიჩნდება, ყოველმხრივ მომზადებული ვიყო,* - ასეთი კომენტარი გააკეთა თორნიკე შენგელიამ.

„სპრინგფილდ არმორის" მთავარი მწვრთნელი **ბობ მაქკინონი** ტაიშონისა და თორნიკეს თამაშით აღფრთოვანებული დარჩა:

*- მათ დიდებული მომავალი აქვთ. მალე ისწავლიან როგორ ითამაშონ NBA-ში და დარწმუნებული ვარ, ჩამოყალიბდებიან ნაციონალური ასოციაციის სოლიდურ კალათბურთელებად.*

„სპრინგფილდმა" მომდევნო დღეს „რედ ანტსთან" 107:101 გაიმარჯვა. იმ მატჩის განაცხადში არც ტეილორი იყო და არც შენგელია. ისინი „ბრუკლინის" მაისურით „ფილადელფიისთვის" ემზადებოდნენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ქართველი NBA-ში

# რქებდაბლაგვებული ხარები

შაბათსა და კვირას გამთენიისას (თბილისის დროით) **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა" ორი მატჩი გამართა. ჯერ „ფილადელფიასთან" სტუმრად 80:99 დამარცხდა, შემდეგ „ჩიკაგოს" უმასპინძლა და 92:75 სძლია.

ზაზამ პირველ შეხვედრაში უფრო მეტი ითამაშა, თუმცა დროის სხვაობის მიუხედავად ორივეჯერ ერთნაირად სასარგებლო იყო. „ფილადელფიასთან" ფაჩულიამ 28 წუთში 9 ქულა, 8 მოხსნა და 2-2 პასი-ჩაჭრა მიითვალა. მის ანგარიშზე 7-დან 4 ორქულიანია. „ატლანტას" მაისურით ყველაზე მეტი **ჯოშ სმიტმა** ჩააგდო - 17.

„ქორებს" „ჩიკაგოელ ხარებთან" გამარჯვებისკენ **ელ ჰორფორდი** გაუძღვა, რომელმაც 20 ქულა და 10 მოხსნა გაიფორმა.

ზაზა ფაჩულიას 21 წუთი ერგო და კარგად „იჭიდავა" მეტოქის ფრანგ მეფარე **იოაკიმ ნოასთან**. ქართველმა ცენტრმა 6-დან 2 ორქულიანის, 2-დან 2 საჯარიმოს რეალიზება მოახერხა და მატჩი 6 ქულით დაასრულა. ამასთან, ოქმში მის გასწვრივ 8 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა დაფიქსირდა.

„ჩიკაგოსთან" მოგებით „ატლანტამ აღმოსავლეთის კონფერენციაში მესამე პოზიცია შეინარჩუნა. მის ანგარიშზე 16 გამარჯვებაა (9 მარცხი). მეოთხე სწორედ „ჩიკაგოა" - 15 მოგება, 11 წაგება.

ჯორჯიელები მომდევნო მატჩში 26 დეკემბერს „დეტროიტს" უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



## ქართული სპორტი

● ჭადრაკი

# საგზურები განაწილდა




საქართველოს სხვადასხვა კუთხის 47 წარმომადგენელი იბრძოდა მოჭადრაკეთა 72-ე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ეშელონის 5 საგზურისათვის. პირველლიგელთა პაექრობას თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. გუშინ მე-9 ტურში ერთპიროვნული ლიდერი **დავით ლომსაძე** თეთრი ფიგურებით **გიორგი ნიკოლაშვილს** დაუზავდა, მოაგროვა 7 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა. მართალია, **ზურაბ ჯავახაძის** მძლეველმა **დავით ბენიძემაც** 7 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მე-2 ადგილი ერგო.

ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: გიგა ყუფარაძე - გაიოზ ნიგალიძე 0,5:0,5, დავით ჯოჯუა - ოთარ ჯირკვალიშვილი 1:0, შოთა აზალაძე - დიმიტრი კვარაცხელია 1:0, ნიკოლოზ შავთვალაძე - ნოე თუთისანი 1:0, გიორგი გამზარდია - ფრიდონ ყალაგაშვილი 0:1, ბაჩანა მორჩიაშვილი - ზვიად ფაცია 1:0.

6,5-6,5 ქულით III-V ადგილებზე **დავით ჯოჯუა, გიგა ყუფარაძე** და **გაიოზ ნიგალიძე** გავიდნენ. ხუთივე მოჭადრაკე ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**

# უმნიშვნელო წინსვლა

იტალიურ პადოვაში დასრულდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი ფიდეს ოსტატი **ლილე ცალუღელაშვილიც** მონაწილეობდა. ექვსი ტურის შემდეგ ჩვენებურს ურიგო სატურნირო მდგომარეობა არ ჰქონდა, მაგრამ მეშვიდე-მერვე ტურებში პოზიცია გაიუარესა, რადგან ზედიზედ დამარცხდა იგორ ეფიმოვსა და კარლო როსისთან. სამაგიეროდ, გუშინ მე-9 იყოჩალა - ლუიჯი სანტოლინის სძლია, 4,5 ქულით 27-ე ადგილი დაიკავა და რეიტინგი მხოლოდ 1,37 პუნქტით გაიუმჯობესა.

რაც შეეხებათ ლიდერებს, ბოლო ტურის წინ 7 ქულით ვლადიმირ ბურმაკინი მეწინავეობდა, შემდეგ მოდიოდნენ: რობერტო მოგრანზინი - 6, მიროლიუბ ლაზიჩი, იური სოლოდოვნიჩენკო, იგორ ნაუმკინი, დანიელ ვოკატურო, სერგეი კასპაროვი და იოზეფ სანჩესი - 5,5-5,5 ქულა. გუშინდელი შეხვედრები ასე დასრულდა: სანჩესი-ბურმაკინი 1:0, მოგრანზინი-ვოკატურო 1:0, სოლოდოვნიჩენკო-კასპაროვი 1:0, ლაზიჩი-ნაუმოვი 0,5:0,5, გოდენოტი-პეტკოვი 0:1.

საბოლოოდ 7-7 ქულით, შესაბამისად, პირველ-მეორე ადგილებზე ბურმაკინი (რუსეთი) და მოგრანზინი (იტალია) გავიდნენ. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ სოლოდოვნიჩენკო (უკრაინა) და სანჩესი (ფილიპინები), ხოლო ლაზიჩმა (სერბეთი), დვირნიმ (იტალია), პეტკოვმა (ბულგარეთი) და ნაუმკინმა (რუსეთი) 6-6 ქულა მოაგროვეს.

**ვაჟა დანელია**

● პროფესიული კრივი

# აბა, ვერის ბაღში მნახე, ვინა ვარ!



გასულ უქმეებზე ვერის ბაღში მსოფლიოს ჩემპიონ **გიორგი კანდელაკის** სასპორტო დარბაზმა პროფესიულ მოკრივეთა ტრადიციულ სარეიტინგო პაექრობებს უმასპინძლა. რინგზე 12 წყვილი გამოვიდა. მოასპარეზეთა შორის ყველაზე გამოცდილი ვარიანელი **მიხეილ ხუციშვილი** (75 კგ) იყო, რომელსაც აქამდე 46 ორთაბრძოლა (24 მოგება, 18 წაგება, 4 ფრე) გაემართა. მისი ბორჯომელი მეტოქე **დავით რიბაკონი** სულ ექვსჯერ (1, 2, 3) ასულა პროფესიულ რინგზე. ამის მიუხედავად, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია გამოცდილ მეტოქეს და 6-რაუნდიანი დაპირისპრება ფრედ დამთავრდა. 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში თბილისელმა **გარი აბაჯიანმა** (16, 13, 1) პირველსავე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო თანაქალაქელ **ლევან ბენდელიანს** (2, 5, 2). ორი რაუნდით მეტი დასჭირდა გასამარჯვებლად გორელ **გიორგი თევდორაშვილს** (12, 7, 3) - 91 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან თბილისელ **გოჩა მჭედლიშვილს** (2, 2, 0) აჯობა. დანარჩენ რვა პაექრობაში მეტოქეებმა ქულებით მიაღწიეს წარმატებას: **61 კგ. გიორგი ჯინჭარაძე** (ვარიანი, 3, 2, 0) - **მამუკა გუკასიანი** (ბორჯომი, 1, 5, 0) 40:37; **მიხეილ ავაკიანი** (ბორჯომი, 17, 8, 1) - **დავით კერესელიძე** (ვარიანი, 2, 14, 0) 59:57. **62 კგ. რუბენ მოვსესიანი** (თბილისი, 7, 8, 1) - **შალვა გიორგიშვილი** (ვარიანი, 10, 14,0) 60:55, **66 კგ. ჯაბა შალუტაშვილი** (ბორჯომი, 6, 9, 0) - **მევლუდ მანდარია** (თბილისი, 0,2,0) 60:58. **69 კგ. რუსლან ბადიშოვი** (თბილისი, 0, 3, 1) - **ნუგზარ გონიაშვილი** (გურჯაანი, 2, 6, 0) 39:37; **ნოდარ რობაქიძე** (ბორჯომი, 0, 5, 1) - **გიგა ნადირაძე** (ვარიანი, 0, 2, 0) 40:38; **70 კგ. გიორგი აბრამიშვილი** (გურჯაანი, 3, 2, 1) - დათო დავითაძე (ვარიანი, 3, 11, 0) 40:37. **81 კგ. პაატა ადუაშვილი** (ვარიანი, 2, 0, 2) - **მალხაზ გაბრიელიანი** (ახალციხე, დებიუტანტი) 40:39.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

**ჯუმბერ კვანტალიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება 25. 12; 14 სთ. ქუთაისი, გორის ქუჩა 16

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თავისუფალ ჭიდაობაში მრავალ ასპარეზობაში გამარჯვებული და პრიზიორი, ვეტერანი ფალავანი

**ოთარ დანელია**

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

რაგბი

ლეგიონერები

# შობის წინ პირველი ტულონია

## ქართველთა კლუბები ლიდერობას გაუშინაურდნენ

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა. შემოდგომის ეტაპის გამარჯვებული დამაჯერებლად გახდა ქართველ მორაგბეთა გუნდი „ტულონი", რომელმაც კიდევ ერთ „ქართულ გუნდს", „კლერმონს" შვიდი ქულით გაუსწრო.



ვიქტორ კოლელიშვილი (მარცხნიდან მესამე)

**დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" მე-13 ტურში სტუმრად ითამაშა „აჟენთან" და 15:6 მოიგო. ტულონელებს თხუთმეტივე ქულა ინგლისელმა მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** მოუტანა.

ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო, თუმცა მოედანზე არ გამოჩენილა, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში არ იყვნენ.

როგორც უკვე ვთქვით, „ტულონს" შვიდი ქულით ჩამორჩება **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელმაც ასევე სტუმრად დაამარცხა დაძაბულ ბრძოლაში „ბორდო" - 28:24. ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ „ვულკანების" ახალზელანდიელმა თავკაცმა **ვერნ კოტერმა** სათამაშოდ, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობა გაიყვანა. შედეგად, „კლერმონი" წაგებას დასკვნით ათ წუთში გადაურჩა.

კოლელიშვილი თამაშში 57-ე წუთიდან ჩაერთო, ზირაქაშვილი განაცხადში არ ყოფილა.

კლერმონელებმა ამ მოგების შემდეგ სატურნირო ცხრილში საფრანგეთის ჩემპიონ „ტულუზს" გაუსწრეს, რომელიც მოულოდნელად სტუმრად დამარცხდა გათამაშების დებიუტანტ „გრენობლთან" - 6:15. ალპელებმა **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** გუნდს ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს. დაცვაში თითქმის უშეცდომოდ გაისარჯნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ყველაზე შედეგიანმა ფრანგულმა კლუბმა მატჩში მხოლოდ 6 ქულის ალება შეძლო.

კაკოვინი თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო, ბრეგვაძეს არ უთამაშია.

„ტულუზს" წამოეწია კიდევ ერთი „ქართული გუნდი" **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი", რომელმაც შინ დაამარცხა პარიზული „მეტრო რასინგი" - 31:10. მასპინძლების უპირატესობა თამაშის დაწყებისთანავე გამოკვეთილი იყო. 22-ე წუთისთვის კასტრელები 17:0 იგებდნენ და ნათელი გახდა, რომ მეტოქეს შინ აუცილებლად დამწუხრებულს გაისტუმრებდნენ. ამ გამარჯვების შემდეგ, „კასტრს" ტულუზელთა მსგავსად 42 ქულა დაუგროვდა. ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო.

ამ ორ „ქართულ გუნდს" ექვსი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა და გიორგი ჟღენტის** „მონპელიე", რომელმაც სტუმრად წააგო „პერპინიანთან" - 19:30. აღსანიშნავია, რომ ქართველთაგან არცერთს უთამაშია. გორგოძეს ოცდღიანი დისკვალიფიკაცია აქვს, ჟღენტი და ნარიაშვილი ტრავმირებულნი არიან.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ", რომელიც 28 ქულით მე-8 ადგილზეა და ჯერ კიდევ ინარჩუნებს შანსს პლეი ოფში მოხვდეს, შინ დაამარცხა ბასკური „ბიარიცი". პარიზელებს დასაწყისში გაუჭირდათ და 31-ე წუთამდე აგებდნენ კიდეც. თუმცა მერე მატჩის ბოლომდე დომინირებდნენ და ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვეს.

ჟვანია სათადარიგოთა შორის იყო, მაგრამ არ უთამაშია.

კვლავ სატურნირო ცხრილის ფსკერზეა **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი", რომელმაც მე-13 ტურში სტუმრად წააგო ბასკურ „ბაიონთან" - 13:39. მარსანელებს ახლა ექვსი ქულა აქვთ და ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „აჟენს" 11 ქულით ჩამორჩება. მჭედლიძე განაცხადში არ იყო.

### I დივიზიონი

#### XIII ტური

ბორდო-კლერმონი 24:28, გრენობლი-ტულუზი 15:6, კასტრი-მეტრო რასინგი 31:10, პერპინიანი-მონპელიე 30:19, სტად ფრანსე-ბიარიცი 36:23, ბაიონი-მონ დე მარსანი 39:13, აჟენი-ტულონი 9:15.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 51 ქულა, 2. კლერმონი - 44, 3. ტულუზი - 42, 4. კასტრი - 42, 5. მონპელიე - 36, 6. გრენობლი - 34, 7. პერპინიანი - 30, 8. სტად ფანსე - 28, 9. ბიარიცი - 28, 10. ბაიონი - 26, 11. მეტრო რასინგი - 25, 12. ბორდო - 18, 13. აჟენი - 17, 14. მონ დე მარსანი - 6.

#### XIV ტური

კლერმონი-ბაიონი, მონ დე მარსანი-ბიარიცი, გრენობლი-ბორდო, მეტრო რასინგი-აჟენი, კასტრი-ტულუზი, მონპელიე-სტად ფრანსე, ტულონი-პერპინიანი.

მეორე წრის პირველი ტური წარმატებული გამოდგა ქართველ მორაგბეთა გუნდებისთვის საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში. მიღწეული გამარჯვებების შემდეგ სატურნირო ცხრილის მეორე, მესამე და მეხუთე, საპლეიოფო ადგილები ჩვენებურთა გუნდებმა დაისაკუთრეს.

ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა და კარლენ ასეიშვილის** „ორიაკს" აქვს, რომელიც 49 ქულით მეორე ადგილზეა. ორიაკელებმა მე-16 ტურში შინ დაამარცხეს ერთ-ერთი აუტსაიდერი **ტარიელ რატიანიძის** „დაქსი" 38:16.

მასპინძლებს პირველ ნახევარში ძალიან გაუჭირდათ და მხოლოდ ორი ქულით დაწინაურება შეძლეს - 12:10, თუმცა შესვენების შემდეგ, საკუთარი თამაში იპოვეს და მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს. გუნდის საუკეთესო მექულე კი მგეზავი **მაქსიმ პეტიჟანი** იყო, რომელმაც გუნდს 28 ქულა მოუტანა, მის ანგარიშზე ექვსი საჯარიმო, ორი გარდასახვა და ერთი არეკნია.

დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნაცარაშვილი 41-ე წუთზე შეცვალეს, რატიანიძემ მოედანი 20 წუთის შემდეგ დატოვა, ასეიშვილი განაცხადში არ იყო.

„ორიაკს" ქულით ჩამორჩება და მე-3 **ადგილზეა დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი", რომელმაც შინ მოუგო ბოლოსწინა ადგილზე მყოფ **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიეს" -22:3. ქართველთაგან ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ შველიძე იყო, რომელიც 57-ე წუთზე შეცვალეს, ნატრიაშვილი თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო, ხინჩაგიშვილსა და შეყლაშვილს არ უთამაშიათ.



გიორგი ნემსაძე (მარცხნიდან პირველი) და ირაკლი მირცხულავა (მარჯვნიდან პირველი)

**გიორგი ჩხაიძის, ირაკლი მირცხულავას, დავით დადუნაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „ტარბი" 46 ქულით მე-5 ადგილზეა. ტარბელებმა შინ დაამარცხეს გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი **გურამ კავთიძის** „ლიონი" - 22:8.

„ტარბმა", შეიძლება ითქვას, რომ სეზონის საუკეთესო მატჩი გამართა. ლიონელებმა მასპინძლებს ვერაფერი დაუპირისპირეს. „ტარბის" ოთხივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. მირცხულავა და დადუნაშვილი 48-ე წუთზე შეცვალეს, ერთ წუთში მოედანი ნემსაძემაც დატოვა რადგან ფეხი დაიშავა, ჩხაიძემ ნემსაძეზე 12 წუთით მეტი ითამაშა, კავთიძე განაცხადში არ იყო. „ლიონი" ამ წაგების შემდეგ 41 ქულით მე-8 ადგილზეა.

**ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, კახაბერ კობერიძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **ვახტანგ ახობაძის** „ალბიმ" სტუმრად წააგო „კოლომეისთან" - 6:17 და საპლეიოფო ზონასთან დაახლოების შანსი დაკარგა. ალბელებმა მასპინძლებს ვერაფერი შესთავაზეს და მხოლოდ 6 ქულის მოპოვებას დასჯერდნენ. თამაში ნამდვილად არ აეწყო და საკმაოდ უხეშიც გამოდგა. მატჩის არბიტრმა მოედნიდან ხუთი მორაგბე გაასინბინა, აქედან ორი ალბელი იყო.

კობერიძე 44-ე წუთზე შეცვალეს, მაისურაძემ მოედანი 22 წუთის შემდეგ დატოვა, თოდუა, ახობაძე და თეთრაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

ისევ დამარცხდა გათამაშების აუტსაიდერი **შალვა სუთიაშვილისა და დავით აშვეთიას** „მასი". პარიზელებმა სტუმრად წააგეს უშუალო კონკურენტ „ექსთან" - 22:34. ეს შეხვედრაც ძალიან დაძაბული გამოდგა. არბიტრმა აქაც ხუთი მოთამაშე გაასინბინა, ოღონ ამჯერად სამი სტუმართა გუნდიდან. რაც უნდა საკვირველი იყოს, ყვითელი ბარათების კორიანტელში ქართველ მორაგბეებს წვლილი არ მიუძღვით.

„მასიმ" პირველი ტაიმი მშრალი ანგარიშით 0:13 წააგო. მეორე ტაიმში კი ბევრად უკეთ გაისარჯა, თუმცა მატჩის გადარჩენა ველარ შეძლო.

სუთიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, აშვეთია მოედანზე 51-ე წუთიდან გამოჩნდა.

### II დივიზიონი

#### XVI ტური

ოიონაქსი-ლა როშელი 18:3, ექსი-მასი 34:22, პო-ნარბონი 26:23, კოლომიე-ალბი 17:6, ორიაკი-დაქსი 38:16, კარკასონი-ოში 27:10, ტარბი-ლიონი 22:8, ბრივი-ბეზიე 22:3.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ოიონაქსი - 65 ქულა, 2. ორიაკი - 49, 3. ბრივი - 48, 4. პო - 48, 5. ტარბი - 46, 6. ლა როშელი - 46, 7. კარკასონი - 44, 8. ლიონი - 41, 9. ალბი - 37, 10. კოლომიე - 33, 11. ნარბონი - 31, 12. ოში - 29, 13. დაქსი - 24, 14. ექსი - 24, 15. ბეზიე - 17, 16. მასი - 16.

#### XVII ტური

მასი-ოში, ექსი-ორიაკი, დაქსი-ლა როშელი, ნარბონი-კოლომიე, ბეზიე-ლიონი, პოტარბი, ბრივი-კარკასონი, ალბი-ოიონაქსი.

■ ■ ■

პირველი წრე დასრულდა „კელტთა ლიგაშიც", სადაც საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი" ასპარეზობს. ჩვენებურის გუნდმა მე-11 ტურში სტუმრად ითამაშა ასევე შოტლანდიურ „გლაზგო ვორიორზთან" და 14:23 წააგო. ედინბურგელებმა პირველი წრე 21 ქულით მე-8 ადგილზე დაასრულეს. ბასილაია განაცხადში არ იყო.

პირველი წრის გამარჯვებული კი ირლანდიური „ალსტერია", რომელმაც შინ შესანიშნავ სტილში დაამარცხა ასევე ირლანდიური „ლენსტერი" - 27:19. ლიდერს 9 ქულით ჩამორჩება უელსური „ჰლანეჰლი", რომელმაც სტუმრად შეძლო „კარდიფის" დამარცხება - 9:6.

### კელტთა ლიგა

#### XI ტური

ალსტერი-ლენსტერი 27:19, გლაზგო-ედინბურგი 23:14, ნიუპორტი-ოსფიზი (გადაიდო), კარდიფი-ჰლანეჰლი 6:9, ზებრე-ბენეტონი 3:10, ქონოთი-მანსტერი 12:16.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 47 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 38, 3. მანსტერი - 33, 4. გლაზგო - 32, 5. ლენსტერი - 31, 6. ოსფრიზი - 27, 7. ბენეტონი - 23, 8. ედინბურგი - 21, 9. კარდიფი - 21, 10. ქონოთი - 16, 11. ნიუპორტი - 13, 12. ზებრე - 5.

#### XII ტური

კარდიფი-ნიუპორტი, ოსფრიზ-ჰლანეჰლი, ბენეტონი-ზებრე, ედინბურგი-გლაზგო, მანსტერი-ალსტერი, ლენსტერი-ქონოთი.



დავით დადუნაშვილი და ირაკლი მირცხულავა მოლში თამაშისას

ბესიკ ჯანგავაძე

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნეშის დაბრუნება და სხვა ამბები

გასულ უქმეებზე ჩატარებულ შეხვედრებში რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს ჰქონდა ადგილი. მაგალითად, „ლოს ანჯელეს კლიპერსმა" „საკრამენტოს" დამარცხებით (97:85) 12 მატჩამდე აიყვანა თავისი მოგებათა სერია, რაც ახალი საკლუბო რეკორდი გახლავთ.

მეორე კალიფორნიულმა კლუბმა - „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" გუშინ, „გოლდენ სტეიტის" დამარცხებით ზედიზედ მეოთხე მოგება გაიფორმა, რაც მიმდინარე სეზონში არ მომხდარა. რაც მთავარია, დიდხნიანი პაუზის შემდეგ, გუნდს დაუბრუნდა ვეტერანი გამთამაშებელი **სტივ ნეში**. კანადელმა თითქმის 41 წუთი დაჰყო მოედანზე, რომლის დროსაც 12 ქულა, 9 შედეგიანი გადაცემა, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

მატჩის შემდეგ, NBA-ის ორგზის MVP-მ განაცხადა, რომ ორთვიანი შესვენების მიუხედავად კარგად გრძნობდა თამაშის რიტმს. *„ვერც კი ვიოცნებებდი, რომ შვიდკვირიანი პაუზის შემდეგ 40 წუთს გავატარებდი მოედანზე,* - განაცხადა ESPN-თან კომენტარში ნეშმა. - *თავიდანვე ვიგრძენი საჭირო რიტმი. ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. ჯერჯერობით, მუხლის არეში არის უსიამოვნო შეგრძნებები, მაგრამ ამის ატანა შესაძლებელია".*

ნეშის დაბრუნებას კომენტარი გაუკეთა „ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ გამთამაშებლის გამოჩენამ გაცილებით გაუადვილა თამაში: *„ახლა ყველაფერი გაცილებით მარტივადაა. გუნდში გვყავს ორი მოთამაშე, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ და თან სრულად ავსებენ ერთმანეთს. როგორც კი მოხსნას ვილებ, პირველ რიგში, ნეშს ვეძებ მოედანზე და მას ბურთს ვაწვდი. ახლა ზუსტად ვიცი, რომ მივიღებ გადაცემას და იოლ ტყორცნას შევასრულებ".*

კიდევ ერთი მიღწევა იქცევს ყურადღებას. „მაიამი ჰიტის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** ზედიზედ მეხუთე შეხვედრაა არ ჯარიმდება. ამ მომენტისთვის, „მეფეს" 211 წუთია პერსონალური არ მიუღია. მისი ეს სერია 8 დეკემბრიდან გრძელდება. საერთოდ, მიმდინარე სეზონში ლებრონი საშუალოდ მატჩში მხოლოდ 1.4-ჯერ ჯარიმდება.

ასევე ჯეიმსის სახელს უკავშირდება კიდევ ერთი სტატისტიკური მიღწევა. „იუტასთან" მატჩში მან 30 ქულა დააგროვა და ეს გახდა ლებრონისთვის სეზონის სტარტის შემდეგ ზედიზედ 24-ე შეხვედრა, როცა მან მინიმუმ 20 ქულა მოუტანა თავის გუნდს. ამ მაჩვენებლით ის დაეწია **კარლ მელოუნს**, რომელიც 1989-90 წლების სეზონში, ასევე სასტარტო 24 მატჩში აგროვებდა 20 ან მეტ ქულას.

■ ■ ■

„ტორონტოს" ლიტველმა ცენტრმა **იონას ვალანჩუნასმა** „ორლანდოსთან" მატჩის მეოთხე მეოთხედში მარჯვენა ხელის თითი მოიტეხა. ბალტიისპირელმა ტრავმა ფარქვეშ ბრძოლისას მიიღო.

მატჩის შემდეგ ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ მოტეხილობა დააფიქსირა, რაც იმას ნიშნავს, რომ იონასი დაახლოებით 3-4 კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

მიმდინარე რეგულარულში ვალანჩუნასი „ტორონტოს" ძირითადი ცენტრი გახლავთ და საშუალოდ მატჩში 8.1 ქულასა და 5.4 მოხსნას აგროვებს.

ასევე ტრავმის გამო გამოაკლდა „ნიუ იორკს" ვეტერანი ფორვარდი **რაშიდ უოლასი**, რომელმაც მარჯვენა ტერფის ძვალი ილრძო.

ნიუ იორკული კლუბის საწვრთნელი შტაბი იმედოვნებს, რომ უოლასი სამმატჩიანი გასვლითი ტურნეს შემდეგ დაუბრუნდება თავის გუნდს. ამ ტურნეს „ნიქსი" „ლეიკერსთან" საშობაო გასვლითი შეხვედრით იწყებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვეტერანი დეკემბრის ბოლომდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ალნიშნული დაზიანების გამო, უოლასს არ უვარჯიშია 10 დღის განმავლობაში, აგრეთვე გამოტოვა რეგულარული ჩემპიონატის ოთხი შეხვედრა.

■ ■ ■

ვეტერანი მცველი **დერეკ ფიშერი** „დალასის" ხელმძღვანელობას მოელაპარაკა კონტრაქტის გაუქმების თაობაზე, - იტყობინება ESPN. 38 წლის გამთამაშებელმა „მავერიქსის" რიგებში ცხრა მატჩის ჩატარება მოასწრო, მაგრამ იძულებული გახდა გუნდიდან გამვება მოეთხოვა ოჯახური მიზეზების გამო.

„კოვბოების" რიგებში ჩატარებულ 9 შეხვედრაში ფიშერი საშუალოდ 8.6 ქულასა და 3.6 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

ამასობაში, „მინესოტა" თავისუფალი აგენტების ბაზარზე ეძებს მსუბუქი ფორვარდის გაფორმების ვარიანტს. „მგლების" ინტერესის სფეროში მოექცა „მილუოკისა" და „ფინიქსის" ყოფილი ფორვარდი **მაიკლ რედი**, რომელმაც დღემდე ვერ იპოვა გუნდი. ჯერ კიდევ ამ სეზონის დასაწყისში, „მინესოტა" თავის საწვრთნელ ბანაკში იწვევდა რედს, მაგრამ 33 წლის კალათბურთელმა უარი განაცხადა.

ვარაუდობენ, რომ „ტიმბერვულვზი" იანვრამდე შეისწავლის რედის გაფორმების მიზანშეწონილობას. თუ შემადგენლობაში ცვლილებები არ მოხდება, 7 იანვრის შემდეგ, „მინესოტა" გამოიყენებს მოთამაშეებთან 10-დღიანი კონტრაქტების გაფორმების შესაძლებლობას.

■ ■ ■

„საკრამენტოს" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ამ გუნდის ძირითადი ცენტრი **დამარკუს კაზინსი** გაურკვეველი ვადით ჩამოაშორეს რეგულარული ჩემპიონატის მატჩებს.

21 დეკემბერს, „კლიპერსის" წინააღმდეგ გამართულ მატჩში, კალათბურთელი მთავარ მწვრთნელს **კიტ სმარტს** წაეჩხუბა და მოედანზე აღარ დაბრუნებულა.

წელს კაზინსის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 16.6 ქულასა და 9.5 მოხსნას შეადგენს.



სტივ ნეში

## 21 დეკემბერი

### ტორონტო-ორლანდო 93:90

20:15, 22:24, 29:23, 22:28

ტ: დეროზანი (17+8 მოხსნა), კალდერონი (13+9 პასი), როსი (13), ჯონსონი (10+7 მოხსნა), დევისი (10), ანდერსონი (10).

ო: აფლალო (26+5 პასი), ვუჩევიჩი (16+12 მოხსნა), აიონი (12+13 მოხსნა), მური (12).

### ფილადელფია-ატლანტა 99:80

30:23, 21:22, 21:19, 27:16

ფ: ტერნერი (21+6 პასი), ტ. იანგი (18+11 მოხსნა+5 ჩაჭრა), რიჩარდსონი (17+8 მოხსნა+7 პასი), ჰოუზი (12+8 მოხსნა), ჰოლიდეი (11+7 პასი).

ა: სმიტი (17), უილიამსი (13), კორვერი (11).

### ბოსტონი-მილუოკი 94:99 (ო)

25:17, 21:26, 24:19, 18:26, 6:11

ბ: პირსი (35+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), გრინი (14+4 ჩაჭრა), გარნეტი (12+7 მოხსნა), ლი (11), რონდო (6+11 პასი+4 ჩაჭრა).

მ: ელისი (27+7 მოხსნა), მბა ა მუტე (20), სანდერსი (17+20 მოხსნა), ჯენინგსი (12+11 მოხსნა+8 პასი).

### ნიუ იორკი-ჩიკაგო 106:110

23:30, 16:24, 22:29, 45:27

ნ-ი: ენტონი (29+3 ჩაჭრა), სმიტი (26+10 მოხსნა), ფელტონი (21), კოუპლენდი (10).

ჩ: დენგი (29+13 მოხსნა), ბელინელი (22+7 მოხსნა), ჰაინრიხი (16+9 მოხსნა+8 პასი), ნოა (15+12 მოხსნა+6 პასი), რობინსონი (11).

### დეტროიტი-ვაშინგტონი 100:68

29:14, 24:20, 24:17, 23:17

დ: მონრო (15+9 მოხსნა), ნაითი (15), დრამონდი (11+14 მოხსნა+5 დაფარება), სტაკი (11), სინგლერი (10).

ვ: ჯორ. კროუფორდი (20+7 მოხსნა+7 პასი), უებსტერი (10+9 მოხსნა), სერაფინი (10).

### კლივლენდი-ინდიანა 89:99

23:23, 22:21, 22:33, 22:22

კ: ირვინგი (17), ტომპსონი (12+13 მოხსნა), ზელერი (12+7 მოხსნა), უეიტერსი (11+7 პასი), გი (11), მაილზი (10).

ი: ჰიბერტი (18), სტივენსონი (16+7 პასი), უესტი (15+10 მოხსნა), გრინი (14), ჰილი (13+8 მოხსნა), ჯორჯი (10+5 ჩაჭრა).

### მემფისი-დალასი 92:82

25:16, 15:23, 29:18, 23:25

მ: გეი (26), რენდოლფი (17+13 მოხსნა), გასოლი (11+11 მოხსნა+3 დაფარება), ალენი (10), კონლი (9+11 პასი).

დ: მერიონი (14+11 მოხსნა), კარტერი (14+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯონსი (13+7 პასი), რაიტი (12), მაიო (10).

### სან ანტონიო-ნიუ ორლეანი 99:94

26:21, 28:21, 18:19, 27:33

ს-ა: პარკერი (25), დანკანი (15+10 მოხსნა), ჯინობილი (13+7 პასი), დიაო (12).

ნ-ო: დევისი (18+11 მოხსნა), ვასკესი (14), ანდერსონი (12), რობერტსი (11), ლოპესი (10), მეისონი (10).

### კლიპერსი-საკრამენტო 97:85

29:21, 24:18, 20:23, 24:23

კ: პოლი (24+13 პასი+5 ჩაჭრა), გრიფინი (21+13 მოხსნა), ბარნსი (13).

ს: ფრედეტი (16), ტომასი (12), ტორნტონი (11), ტომპსონი (10+8 მოხსნა), ჯონსონი (10+3 დაფარება).

### გ. სტეიტი-შარლოტი 115:100

31:23, 27:26, 31:27, 26:24

გ-ს: კარი (27+8 პასი), ლი (23+11 მოხსნა+11 პასი), ტომპსონი (20), ლენდრი (11), გრინი (11).

შ: ჰენდერსონი (23), სეშენსი (17), უოკერი (16+6 პასი), ბიიომბო (12+14 მოხსნა), კიდ-გილკრისტი (12).

## 22 დეკემბერი

### ვაშინგტონი-დეტროიტი 87:96

13:22, 22:32, 29:20, 23:22

ვ: ჯორ. კროუფორდი (21+6 პასი+3 ჩაჭრა), ოკაფორი (14+14 მოხსნა), ბილი (14), ნენე (10+7 მოხსნა), მარტინი (10).

დ: ვილანუევა (19+7 მოხსნა), სტაკი (18+8 პასი), მონრო (13+8 მოხსნა), მაქსიელი (12), ნაითი (10), დრამონდი (4+11 მოხსნა).

### ატლანტა-ჩიკაგო 92:75

17:21, 36:16, 25:17, 14:21

ა: ჰორფორდი (20+10 მოხსნა), უილიამსი (16), კორვერი (13), სმიტი (12+3 ჩაჭრა), ტიგი (11+8 პასი).

ჩ: დენგი (11), ნოა (10+9 მოხსნა).

### მაიამი-იუტა 105:89

28:25, 19:18, 26:20, 32:26

მ: ჯეიმსი (30+9 მოხსნა+7 პასი), უეიდი (21+7 მოხსნა+7 პასი), ბატიე (15+3 დაფარება), ალენი (13).

ი: მარვ. უილიამსი (16), ჰეივორდი (15), მილსეპი (11), ფეივორსი (10), ჯეფერსონი (6+11 მოხსნა).

### ნიუ ორლეანი-ინდიანა 75:81

18:11, 28:18, 7:24, 22:28

ნ-ო: ლოპესი (24+11 მოხსნა+6 დაფარება), ვასკესი (14+8 პასი), დევისი (10+9 მოხსნა).

ი: უესტი (25+7 მოხსნა), ჯორჯი (17+12 მოხსნა), ჰილი (12+6 პასი), სტივენსონი (10).

### ჰიუსტონი-მემფისი 121:96

33:32, 31:22, 30:24, 27:18

ჰ: ჰარდენი (31+8 პასი), მორისი (16), ლინი (15+11 პასი), აშიქი (14+12 მოხსნა), დელფინო (11), სმიტი (10), დაგლასი (10).

მ: კონლი (16+6 პასი), პონდექსტერი (14), გასოლი (11), ალენი (11), რენდოლფი (10+10 მოხსნა).

### მილუოკი-კლივლენდი 82:94

19:19, 18:27, 26:25, 19:23

მ: ელისი (37), სანდერსი (2+12 მოხსნა+5 დაფარება).

კ: უეიტერსი (18), მაილზი (16), ირვინგი (15), ტომპსონი (14+14 მოხსნა), ზელერი (11+10 მოხსნა), გი (10).

### დენვერი-შარლოტი 110:88

29:23, 35:23, 24:19, 22:23

დ: კუფოსი (16+5 დაფარება), ფარიდი (15+9 მოხსნა+3 დაფარება), იგუოდალა (15+8 მოხსნა+8 პასი), მაკგი (14), გალინარი (12), ჯ. ჯემილტონი (11), ბრიუერი (10+6 პასი).

შ: სეშენსი (23), მალენსი (16+14 მოხსნა), კიდ-გილკრისტი (11+5 ჩაჭრა), უოლკერი (10).

### პორტლენდი-ფინიქსი 96:93

23:25, 21:28, 31:22, 21:18

პ: ლილარდი (25+7 პასი), ჰიქსონი (19+15 მოხსნა), ოლდრიჯი (17+9 მოხსნა), ბატუმი (13+9 მოხსნა+8 პასი).

ფ: გორტატი (18+9 მოხსნა), ბრაუნი (15+4 ჩაჭრა), ო'ნილი (13), მორისი (11), დრაგიჩი (10), დადლი (8+10 პასი).

### გ. სტეიტი-ლეიკერსი 115:118 (ო)

27:31, 34:22, 26:21, 21:34, 7:10

გ-ს: ჯეკი (29+11 პასი), ლი (20+11 მოხსნა), კარი (20+8 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა), ტომპსონი (18), ჰ. ბარნსი (13+3 ჩაჭრა), ლენდრი (12).

ლ: ბრაიანტი (34+10 მოხსნა), უორლდ პისი (20), ჰილი (14+8 მოხსნა), ნეში (12+9 პასი), მიქსი (12+7 მოხსნა), ჰოვარდი (11), გასოლი (9+10 მოხსნა+6 პასი).

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ტანზანია-ზამბია | 1:0 |
| ს. აფრიკა-მალავი | 3:1 |
| ანგოლა-რუანდა | 1:0 |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| კიდერმინსტერი-დარტფორდი | 5:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლე მანი-მონაკო | 2:3 |
| სედანი-ნანტი | 0:0 |
| **ნასიონალი** | |
| პონ დუ გარი-რედ სტარი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| იგლზი-ალმერი | 2:2 |
| დენ ბოში-ტოპ ოსი | 1:2 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| რუზელარე-აალსტი | 3:0 |
| სტ. ნიკლაასი-ოსტენდე | 1:1 |
| ბორინაჟი-მუსკრონი | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სპორტინგი B-ლეიქსოეში | 0:0 |
| არუკა-ბელენენსეში | 0:3 |
| სტ. კლარა-ბრაგა B | 1:1 |
| ოლივეირენსე-პენაფიელი | 0:0 |
| ატლეტიკო-ტონდელა | 0:1 |
| მარიტიმუ B-უნიაო | 1:3 |
| ტროფენსე-ფეირენსე | 1:2 |
| ფრეამუნდე-ნავალი | 1:3 |
| გიმარაეში B-პორტიმონენსე | 1:2 |
| პორტუ B-ბენფიკა B | 2:2 |
| კოვილია-ავეში | 1:2 |
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| კოუდენბითი-ლივინგსტონი | 1:1 |
| ეირდრი-ფალკირკი | 1:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ალოა-ფორფარი | 2:1 |
| ისტ ფაიფი-სტენჰაუზმური | 3:2 |
| **III დივიზიონი** | |
| ელჯინი-რეინჯერსი | 2:6 |
| ისტ სტირლინგი-ანენი | 2:2 |
| სტირლინგი-პიტერჰედი | 1:0 |
| **უელსი** | |
| პრესტატინი-ნიუთაუნი | 2:5 |
| ლანელი-ეირბასი | 2:4 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბბ გაზიანთეფი-ბოლუ | 2:1 |
| შანლიურფა-ერჩიესი | 1:0 |
| ბუკა-დენიზლი | 1:0 |
| მანიშა-ადანა | 2:1 |
| ანკარაგიუჯუ-ქონია | 0:3 |
| თავშანლი-გიოზთეფე | 0:1 |
| 1461 ტრაბზონი-რიზე | 0:0 |
| ადანადემირი-სამსუნი | 0:0 |
| ქარსიაქა-ქართალი | 2:2 |
| **კვიპროსი** | |
| აპოლონი-აეკ | 1:2 |
| დოქსა-აპოელ | 0:3 |
| ომონია-ეთნიკოსი | 2:1 |
| ალკი-აელ | 2:3 |
| ნეა სალამისი-აეპ | 1:1 |
| ენოსისი-ანორთოსისი | 1:2 |
| ოლიმპიაკოსი-აგია | 3:2 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი. II მატჩები** | |
| ასტერასი-ლარისა | 4:1 (0:0) |
| აპოლონი-ოფი | 2:0 დ.დ. (0:1) |
| ატრომიტოსი-ოლიმპიაკ. (3) | 2:2 (1:1) |
| პაოკ-აიგინიაკოსი | 2:1 (3:1) |
| ქსანტი-ეთნიკოსი | 1:1 პენ. 2:1 (1:1) |
| ანაგენისი-[illegible] | 0:1 (1:3) |
| პანსერაიკოსი-იანინა | 0:2 (0:1) |
| არისი-კალითეა | 2:1 (1:3) |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კრუზეიდერსი-ლინფილდი | 2:2 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ჰ)-ჰაპოელი (თ-ა) | 2:2 |
| ჰაპოელი (ა)-ირონი (რ-ჰ) | 0:2 |
| აშდოდი-ბნეი შახნინი | 1:2 |
| ჰაპოელი (რ-გ)-ბნეი იეჰუდა | 1:0 |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ნ) | 2:1 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ბეითარი | 0:0 |
| **აზერბაიჯანი** | |
| ინტერი-ბაკუ | 1:0 |
| ნეფთჩი-ოლიმპიკი | 4:2 |
| **ავსტრალია** | |
| ველინგტონი-სენტრალი | 1:1 |
| ნიუკასლი-სიდნეი | 2:1 |
| მელბურნ ჰ-მელბურნ ვ | 1:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ვიურცბურგი-ალბა | 75:65 |
| ტიუბინგენი-სკაილაინერსი | 87:75 |
| **იტალია** | |
| რომა-სასარი | 81:83 |
| ბოლონია-მონტეპასკი | 66:77 |
| კრემონა-სკავოლინი | 91:73 |
| ბიელა-ბრინდიზი | 59:94 |
| მონტეგრანარო-კანტუ | 79:100 |
| იუვე კაზერტა-ვენეცია | 77:83 (ო) |
| რეჯო ემილია-აველინო | 91:64 |
| მილანი-ვარეზე | 77:83 |
| **ესპანეთი** | |
| ლაგუნ არო-რეალი | 71:85 |
| ხუვენტუდი-ესტუდიანტესი | 96:75 |
| მურსია-სარაგოსა | 77:75 |
| ვალიადოლიდი-გრან კანარია | 73:84 |
| უნიკახა-ბარსელონა | 71:69 |
| ფუენლაბრადა-კახასოლი | 82:78 |
| კახა ლაბორალი-კანარიასი | 81:62 |
| მანრესა-ვალენსია | 86:87 |
| **თურქეთი** | |
| ოლინი-ბეშიქთაში | 67:83 |
| ეფესი-პინარი | 71:65 |
| ალიაგა-თოფასი | 81:67 |
| ერდემი-მერსინი | 96:86 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ამური-დინამო (მ) | 1:3 |
| სიბირი-სკა | 1:2 |
| ატლანტი-ავტომობილისტი | 2:6 |
| ცსკა-ს. იულიაევი | 4:1 |
| ლოკომოტივი-მეტალურგი (მ) | 1:5 |
| სპარტაკი-ბარისი | 1:2 (ო) |
| ტორპედო-ტრაქტორი | 3:1 |
| ლევ პოპრადი-ნეფტეხიმიკი | 2:3 (ო) |
| დონბასი-ავანგარდი | 0:2 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ოლიმპია | 2:4 |
| ინსბრუკი-დორნბირნი | 3:4 |
| ვილახი-გრაცი | 1:2 |
| ვენა-ზაგრები | 2:1 |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 4:2 |
| ლინცი-ზნოიმო | 5:3 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-მანჰაიმი | 1:4 |
| კიოლნი-იზერლონი | 3:1 |
| აისბარენი-შტრაუბინგი | 8:0 |
| კრეფელდი-ვოლფსბურგი | 5:3 |
| ნიურნბერგი-ჰამბურგი | 2:1 |
| აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 4:3 |
| მიუნხენი-დიუსელდორფი | 4:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-კლადნო | 5:1 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-ბილი | 5:4 (ბ) |
| ციურიხი-რაპერსვილი | 4:2 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჰოკეი

# პროფკავშირი დაიშალა



ჰოკეის ეროვნული ლიგის მოთამაშეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პროფკავშირების დაშლას, - იტყობინება TSN. ხმის მიცების პროცედურაში მონაწილეობა მიიღო 728 ჰოკეისტმა, რომელთაგანაც 706-მა თანხმობა განაცხადა და მხოლოდ 22 იყო პროფკავშირების დაშლის წინააღმდეგი.

ასე რომ, 2013 წლის 2 იანვრამდე პროფკავშირს უფლება აქვს თავისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გამოაცხადოს. ამ შემთხვევაში, ჰოკეისტებს შეუძლიათ სასამართლოს ძალით აღიარონ, რომ NHL-ში ლოკაუტი უკანონოა და მოითხოვონ უთამაშებლობის პერიოდის სანაცვლოდ ფულადი კომპანსაცია. ახლა, ელოდებიან, რომ ლიგა მიმართავს ნიუ იორკის ფედერალურ სასამართლოს იმისთვის, რომ მან უკანონოდ ცნოს პროფკავშირების ლიკვიდაცია.

აღსანიშნავია, რომ ერთი წლის წინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაშიც მოხდა პროფკავშირის თვითლიკვიდაცია, მაგრამ NBA-ის ხელმძღვანელობის საპასუხო სარჩელის შემდეგ, ლიგამ და მოთამაშეებმა 12 დღეში გააფორმეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულება.

● კრივი

# დევიდ ჰეი: კლიჩკოსთან კონტრაქტი შეთანხმებულია


დევიდ ჰეი

ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, 32 წლის ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკვე შეთანხმებულია WBC-ის ჩემპიონთან, 41 წლის **ვიტალი კლიჩკოსთან** ბრძოლის კონტრაქტის დეტალები და მას მხოლოდ ხელმოწერა სჭირდება.

*„არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ 2013 წელს ვიტალი კლიჩკოს ნოკაუტირებას ვაპირებ, - ამბობს ჰეი. - კონტრაქტი უკვე შეთანხმებულია და მხოლოდ ჩვენი ხელმოწერა აკლია. ყველაფერი ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, უკვე ბრძოლისთვის მზადების პროცესში ვიქნებოდი. მე მგონი არავინ არ იცის - აპირებს თუ არა ვიტალი კვლავ რინგზე გასვლას“.*

■ ■ ■

ფილიპინელი **მენი პაკიაოს** მწვრთნელმა **ფრედი როუჩმა** თავის შეგირდს ურჩია, რინგზე დაბრუნება 2013 წლის სექტემბრამდე გადადოს. ორი კვირის წინ პაკიაომ მძიმე მარცხი იწვნია მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესთან** ბრძოლაში. თავად პაკიაომ განაცხადა, რომ უნდა აპრილში ან მაისში დაბრუნდეს რინგზე. ხოლო მოკრივის პრომოუტერის **ბობ არუმის** თქმით, მას სურს ორგანიზება გაუწიოს მენისა და მარკესს შორის მეხუთე ბრძოლას.

*„ასეთი ნოკაუტის შემდეგ აპრილში დაბრუნება ძალიან ნაადრევი იქნებოდა, - განაცხადა როუჩმა. - ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მომავალ ბრძოლაზე. მე მას ვუთხარი, რომ სექტემბერში დაბრუნება ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა და ის დამთანხმდა“.*

■ ■ ■

ამასობაში, ამერიკული პრესა წერს, რომ თითქმის შეთანხმებულია **ფლოიდ მეივეზერის** მორიგი ბრძოლის კონტრაქტი. WBC-ის ვერსიით ნახევრადსაშუალო წონის ჩემპიონი 2013 წლის 4 მაისს შეხვდება WBC-ის ვერსიით დროებით ჩემპიონს **რობერტ გერეროს**. ამ უკანასკნელს „დროებითი ჩემპიონის“ სტატუსი მეივეზერთან შეხვედრის უფლებას აძლევს.

თავისი ბოლო ბრძოლა გერერომ 24 ნოემბერს ჩაატარა, როცა ნახევრადსაშუალო წონაში ექს-ჩემპიონი **ანდრე ბერტო** დამაჯერებლად დაამარცხა. მეივეზერს კი გერეროსთან ბრძოლის მომენტში თითქმის ერთწლიანი პაუზა გამოუვა - მან ბოლოს 5 მაისს იჩხუბა **მიგელ კოტოსთან** და მას ქულებით მოუგო.

● ფორმულა 1

# ბერნი უნდა წავიდეს


ბერნი და ლუკა

როგორც იცით, ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერს **ბერნი ექლსტოუნს** კვლავ პრობლემები აქვს კანონთან. მალე გაიმართება სასამართლო მოსმენა ექლსტოუნის კორუფციულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, რის გამოც, გერმანულმა ბანკმა BayernLB-მ 400 მილიონი დოლარი დაკარგა. სწორედ ამ ოდენობის თანხას ითხოვს ეს ბანკი ბერნისგან.

სწორედ ამის გამო განაცხადა „ფერარის“ პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ**, რომ ექლსტოუნმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დატოვოს „დიდი ცირკი“.

*„ერთი ადამიანის ეპოქა, რომელიც მთლიანად მართავს ფორმულა 1-ს, დასასრულს მიუახლოვდა. თუ ექლსტოუნს არ სურს საკუთარი იმიჯის შელახვა, მალე უნდა წავიდეს. თუმცა ეს იმიჯი უკვე დიდი ხანია შელახულია. იმედია, ბერნის პრობლემები კანონთან არ ავნებს „სამეფო რბოლებს“. ასე გაგრძელება არ შეიძლება და ეს ყველას ესმის“*, - ამბობს ლუკა დე მონტეძემოლო.

● მძლეოსნობა

# ბოლტი მარტო დარჩა

მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, იამაიკელი **უსაინ ბოლტი** შეყვარებულს დაშორდა. 22 წლის **მეგან ედვარდსმა**, რომელიც ლონდონის ერთ-ერთ ფირმაში ბუღალტრად მუშაობს, თავისი ინიციატივით მიატოვა ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი. მიზეზად კი ის დაასახელა, რომ იამაიკელ სპრინტერთან დიდი მანძილი აშორებს.

*„ბოლოს და ბოლოს, გონებამ გულზე გაიმარჯვა, - ამბობს მეგანი. - იამაიკაში ყველაფერი მშვენიერი იყო, მაგრამ სწორედ იქ ჩემი პირველი ვიზიტის შემდეგ მივიღე ეს გადაწყვეტილება. მას უნდოდა, რომ მუდმივად თვითმფრინავში ვყოფილიყავი და წინ და უკან მეფრინა, მე კი ეს არ მინდა, რადგან შინ საყვარელი საქმე მელოდება. დავურეკე და ყველაფერი ავუხსენი. მან დარჩენა მთხოვა, მაგრამ არ შემიძლია. მე უბრალო გოგონა ვარ. ცნობილი ადამიანი რომ ვიყო, სავარაუდოდ, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდებოდა“.*

შეგახსენებთ, რომ ბოლტმა მეგანი ლონდონის ოლიმპიადის დროს გაიცნო. ის იამაიკის მძლეოსანთა ნაკრების მოდელად გამოდიოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

---

# საქართველოს 2012 წლის რჩეული სპორტსმენი

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ვაგრძელებთ მკითხველთა ვერსიით ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვას

*/კანდიდატების სია შედგენილია ანბანის მიხედვით/*

- ☐ **ალექსანდრე ამისულაშვილი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **ბექა ბაზაძე** - ფარიკაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი ბაინდუროვი** - სამბო: მსოფლიო-I
- ☐ **ნუკრი ბერაია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **ბესო ბერულავა** - სამბო: ევროპა-II; მსოფლიო-III
- ☐ **შალვა გაჩეჩილაძე** - ცხენოსნობა: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო მხედარი
- ☐ **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი გოგშელიძე** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიური თამაშები-III
- ☐ **მამუკა გორგოძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **ბესარიონ გუჩაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **მალხაზ ზარქუა** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-III
- ☐ **ირაკლი თურმანიძე** - ძალოსნობა: ევროპა-III
- ☐ **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გურამ კაშია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გენადი კვიკვინია** - მკლავჭიდი: ევროპა-II: მსოფლიო-I
- ☐ **მერაბ კვირიკაშვილი** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **უშანგი კუზანაშვილი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **ნიკოლოზ კუცია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **რევაზ ლაშხი** - ბ\რ ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **ირინე ლეონიძე** - სამბო: ევროპა II; მსოფლიო-III
- ☐ **ვარლამ ლიპარტელიანი** - ძიუდო: ევროპა-I
- ☐ **გიორგი ლორია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **დავით მაკარიძე** - პროფ. კრივი: WBU-ს ვერსიით მს. ჩემპიონი
- ☐ **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბ.: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **დავით მარსაგიშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-I; ოლიმპიადა-III
- ☐ **ნოდარ მეტრეველი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **დავით მოძმანაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II; ევროპა-III
- ☐ **ლევან ნახუცრიშვილი** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ადამ ოქრუაშვილი** - ქართული ჭიდაობა: საქართველოს ფალავანი
- ☐ **მირიან პავლიაშვილი** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **ამირან პაპინაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III
- ☐ **ლომერ ჟორჟოლიანი** - სამბო: მსოფლიო-II
- ☐ **ნინო სალუქვაძე** - ტყვ. სროლა: ოლიმპადის შვიდგზის მონაწილე
- ☐ **ვიქტორ სანიკიძე** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ანა ტატიშვილი** - ჩოგბურთი: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი
- ☐ **ზაზა ფაჩულია** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ავთანდილ ცერცვაძე** - სუმო: ევროპა-II (2)
- ☐ **რაულ ცირეკიძე** - ძალოსნობა: ევროპა-I
- ☐ **მანუჩარ ცხადაია** - ბ\რ ჭიდაობა: ევროპა-II; ოლიმპიადა-III
- ☐ **ლაშა შავდათუაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III; ოლიმპიადა-I
- ☐ **შორენა შარაძე** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **მერაბ შარიქაძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **გენადი ჩირგაძე** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - თ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **დავით ხუციშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **თეიმურაზ ჯულელი (გაგამარუ)** სუმო: იმპერატორის თასი-II

*გამოკითხვაში მონაწილემ უნდა მიუთითოს მხოლოდ ერთი სპორტსმენი. ორი ან მეტი ნომინანტის გამორჩევის შემთხვევაში, ანკეტა ბათილად გამოცხადდება*

მკითხველის სახელი, გვარი ..............................

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ სპორტსმენები, ვინც დიდებში, ანდა პარალელურად ახალგაზრდებში 2012 წელს თავი გამოიჩინეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, აგრეთვე სპორტის სათამაშო სახეობებიდან პოპულარობის ინდექსით.*

*თქვენი რჩეული სპორტსმენი შეიტანეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში და გამოგზავნეთ რედაქციაში, ან დააფიქსირეთ სპორტულ საიტზე www.sportall.ge ან გვაცნობეთ ტელეფონით ნომრებზე: 219 60 13; 219 60 53*
*(10-დან 21 საათამდე, კვირის გარდა).*


ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**



რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608